



ციბეხანი

№ 146 / ნოემბერი / 2013

მოსაწყენი არჩევნების სიბლი **33. 10**

ინტერვიუ: ნინო ორჯონიკიძე და ვანო არსენიშვილი **33. 20**

რეპორტაჟი: ცხოვრება კონფლიქტის ზონაში **33. 24**

განათლება: მასწავლებელი ჩაკეტილ წრეში **33. 62**

საზოგადოება: დედები, რომლებზეც არავინ ზრუნავს **33. 66**

ფოტოპროექტი: ჭიათურა – მიწის ზემოთ და მიწის ქვეშ **33. 72**

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008



მთავარი თემა

დედაქანაქი პეტიონების იბედა

ბეჩუანა ნატა ფუჩაძე

33. 38

იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ გარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიშნავი და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარილოგიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“





ლიბერალი

№ 146 / ნოემბერი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექაშვილი
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

წარმომადგენლები:
ზურაბ ვარდიაშვილი, თათია
ხალიანი, გიორგი გოგუა, გიორგი
ჭყეშვილი, სოფო აფციაური, ეკა
მაღალაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონსტრუქციები:
ჯორჯ ველტონი, ქეთი გურჩიანი,
სეიმურ ქაჯიშვილი, დემის
პოლანდოვი, ვალერი ძუცვეი,
კარინა ასატრიანი,
რუსუდან გორგილაძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექაშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
შპს „ლიბერალი“

დირექტორი
შორენა შავერდაშვილი

პრეზიდენტი
გიორგი ბარათაშვილი

პარტნიორები
საერთაშორისო გამომცემლობა
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:
გაგი გულაშვილი

წარმომადგენლები
დაგვიკავშირდით:
mziakublashvili@gmail.com



27 ოქტომბრის საინსტიტუციო ხისხვეები

ამ წუთისათვის ხმათა 90 პროცენტი დათვლილია. ცესკოს მონაცემებით, გიორგი მარგველაშვილი 61,9% – ით ლიდერობს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, დავით ბაქრაძემ ხმათა 22,15% მიიღო, ხოლო ნინო ბურჯანაძემ – 10,6%.

მინდა რამდენიმე, ჩემი აზრით, საგულისხმო მაჩვენებელზე გავამახვილო თქვენი ყურადღება.

1. მოქალაქეების აქტიურობა – 46,6% – არც ისე მაღალია (2012 საპარლამენტო არჩევნებზე ეს რიცხვი 61% იყო) და ნიშნავს, რომ სულ მცირე, პოტენციურად აქტიური ამომრჩევლების 15% არ მივიდა არჩევნებზე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არჩევნებზე არნასვლის მიზეზი მათთვის არჩევნის არარსებობა იყო. ჩემი სუბიექტური დაკვირვებით, ამ ჯგუფში არიან ახალგაზრდები და პროდასავლურად განწყობილი საზოგადოების აქტიური ნაწილი. ასევე ისინი, ვინც განიხილა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ერთნაირი მმართველობით, ალტერნატივა კი ვერ დაინახა. პოლიტიკურ აპათიაში მყოფი ეს 10-15 პროცენტი საინტერესო აქტივია.

2. „ნაციონალებმა“ ხმათა 22%-ის მოგროვება მოახერხეს (დაახლოებით, 354 000 ხმა), რაც მათთვის, ერთი წლის წინანდელი ფიასკოს შემდეგ, სერიოზული წარმატებაა. 27 ოქტომბრის არჩევნებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც უკვე არასახელისუფლებო, ოპოზიციურმა პარტიამ, დაიბრუნა ლეგიტიმაცია და, შეიძლება ითქვას, დაბრუნდა პოლიტიკურ ავანსცენაზე, არც თუ ისე ცუდი სასტარტო პირობებით. მათი მაღალი მაჩვენებელი იმასაც ნიშნავს, რომ ერთნაირი მმართველობის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ნაწილობრივ დაკარგა ამომრჩეველი, „ნაციონალებისადმი“ ბრაზი კი ცოტა მინელდა.

3. იმედისმომცემია, რომ ძალიან აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის მიუხედავად, ნინო ბურჯანაძემ 10 პროცენტზე მეტი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ეს ნიშნავს, რომ მკვეთრად პრორუსულ და ხისტ, დიდწილად პოპულისტურ პოლიტიკას, „ოცნებების“ იმედგაცრუების მიუხედავად, საქართველოში მრავალრიცხოვანი მიმდევრები არ ჰყავს. შესაბამისად, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურ სექტორში დიდი უპირატესობით ნარჩუნდება ქვეყნის პროდასავლური კურსი, რაც, იმედია, ამიერიდან ბევრად რეალური და გულწრფელი იქნება, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების შინაარსგამოცლილი რიტორიკა.

ეს რიცხვი, შესაძლოა, იმაზეც მეტყველებდეს, რომ ამომრჩეველს არც თუ ისე მოკლე მესხიერება აქვს.

გიორგი მარგველაშვილის დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად, არჩევნების ეს შედეგები, რომელიც, დიდი ალბათობით, პრინციპულად აღარ შეიცვლება, საგულისხმო მგონია და, იმედია, მას ჯეროვნად გავაანალიზებთ.

ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ გამოვედით პოლიტიკური ჯუნგლებიდან და გადავედით განვითარების შემდეგ ეტაპზე. გილოცავთ!

შორენა შავერდაშვილი, მთავარი რედაქტორი



მთავარი თემა

დაქანაჩი ჰახიზანების იქნა

რამდენიმე თვეა თბილისში პარტიზანი მებაღეები გამოჩნდნენ. ამ მოძრაობის საქმიანობა იმ მძიმე მდგომარეობის საპასუხო გამოძახილია, რომელსაც მერიის უპასუხისმგებლო პოლიტიკა უდევს საფუძვლად. მერია დღესაც აქტიურად გასცემს სარეკრეაციო ზონებში მშენებლობის ნებართვებს, მათ შორის დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რასაც ხეები ეწირებიან. ნატა ფერაძე და მოქალაქეები კი სხვადასხვა ადგილებს არჩევენ და ხეებს პარტიზანულად რგავენ.



სომეხები

ჩაბომ შიქცაბა იყოს საქახითვაცოს ეაონომიჩა ეაეთას მდბომაჩაობაში ვიქე ბვბონი

თუ სახელმწიფო მმართველობასა და მშენებლობის მონაცემებს კარგად დავაკვირდებით, იმასაც დავინახავთ, რომ ზრდის შენელება ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურაზე ხარჯების შემცირების ტენდენციას ასახავს. სახელმწიფო მმართველობის სექტორში, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური ზრდა -8%-ს შეადგენდა, საქსტატის მონაცემების მიხედვით, სექტორის რეალური ზრდა +2.4% იყო.

ამ სხვაობის მიზეზი ისაა, რომ საქსტატის ნომინალური მონაცემი სახელმწიფო აქტივების გაუფასურებასაც ითვალისწინებს მაშინ, როცა „რეალურ“ მონაცემში ეს გათვალისწინებული არ არის. გაუფასურების ასეთი მაღალი დონე, როგორც წესი, ახალი მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურაზე დახარჯული თანხით იწყება.

ეკა მაღალაძე 33.38

ჯორჯ ველტონი 33.14

საზოგადოება

დედები, ხომცაზუს ახავინ ზხუნავს


ქვეყანაში მარტოხელა დედების პრობლემა დგას, თუმცა ის არც სახელმწიფოს და არც საზოგადოების მხრიდან საჯაროდ აღიარებული არ არის. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც მარტოხელა დედის სტატუსს განმარტავდეს და სახელმწიფოს ავალდებულებდეს იზრუნოს მათ სოციალურ კეთილდღეობაზე. გარდა იმისა, რომ მათთვის არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემა და მთელ რიგ სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ, მარტოხელა დედები სიღარიბის მაღალ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან. ოფიციალური სტატისტიკით, მარტოხელა დედების რაოდენობა 31 000 აღწევს.

 თათია ხალიანი
83.66

ფოტოჰიქი

ჭიათურა მინის ზემათ და მინის ქვეშ




 გიორგი გოგუა
83.72-79



ხომცაზუს

მოსახლანი ახრეზნების სიბი

2013 წლის ოქტომბერში ქართველ ხალხს მორიგი საბედისწერო არჩევანი არ ჰქონდა გასაკეთებელი. აღარ უნდა აგვერჩია ცუდსა და კარგს, კეთილსა და ბოროტს, წარსულსა და მომავალს შორის, როგორც აქამდე ჩატარებულ ყველა არჩევნებზე ხდებოდა. ამიტომ ჩანდა კონტექსტიდან ამოვარდნილად ივანიშვილისა და მარგველაშვილის მიერ არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით გაკეთებული მკვეთრი განცხადებები და 27 ოქტომბერს „ქუდზე კაცის“ დაძახება.

 ირაკლი აბსანძე
83.10

ნომერი:



ფოტო: ლეონ სარალოძე

- 06 მოკლედ
- 08 ციტატები
კომენტარი
- 10 მოსაწყენი არჩევნების ხიბლი
- 14 რატომ შეიძლება იყოს საქართველოს ეკონომიკა უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე გვგონია
- 17 „ასე ვერ გავფრინდებით!“
ინტერვიუ
- 20 „რომ არა ეს პროექტი, სკოლაში ვერ შევიდოდით“
რეპორტაჟი
- 24 ცხოვრება კონფლიქტის ზონაში – „ეს ჩემი სოფელია!“
მთავარი თემა
- 38 დედაქალაქი პარტიზანების იმედად
სამხრეთ კავკასიის ხმები
- 50 ერთი პრეზიდენტის ვადა
- 53 უნებლიეთ მოპოვებული მოქალაქეობა
- 56 წინასაარჩევნო აქტიურობა სამხრეთ ოსეთში
- 58 რუსეთში არჩევნები ყველასთვის არ არის
- 60 უფლება, რომელიც სომხეთში პატიმრებს ეზღუდებათ
განათლება
- 62 მასწავლებელი ჩაკეტილ წრეში
წარდგენა
- 65 გიორგი ზიბზიბაძე
საზოგადოება
- 66 დედები, რომლებზეც არავინ ზრუნავს
ფოტოპროექტი
- 72 ჭიათურა – მინის ზემოთ და მინის ქვეშ
კულტურა
- 80 ყურადღება, წიგნია! წიგნები თქვენს ცხოვრებას თავდაყირა აყენებენ!
წარდგენა
- 84 შიო ხიდაშელი



სამხრეთ კავკასიის ხმები

ხსათში აჩვენები ყველასთვის ახ ახის

ჩრდილოეთ ოსეთი ჩრდილო კავკასიის მესამე ისეთი რეგიონია, რომელმაც რესპუბლიკის მეთაურის თავად არჩევაზე უარი თქვა და ეს არჩევანი რუსეთის ფედერაციის მეთაურს მიანდო.

3 ოქტომბერს ჩრდილოეთ ოსეთის საპარლამენტო საბჭომ ხმათა უმრავლესობით დაუჭირა მხარი იმ ნორმების შეცვლას, რომელთა მიხედვითაც რესპუბლიკა მეთაურს ირჩევს.

ვალერი ძუცევი 33:58

ბანათება

მასწავლებელი ჩახახილ წიგნში

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ 2012 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სადაც 1901 პედაგოგი გამოიკითხა, პედაგოგთა 30.1 პროცენტი სერტიფიცირების საჭიროებას ვერ ხედავს. 2008 წელთან შედარებით, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სერტიფიცირება საჭირო არ არის, გაიზარდა. გამოკითხულთა თითქმის მესამედი, 32 პროცენტი აღიარებს, რომ სერტიფიცირება დროული და აუცილებელია. მხოლოდ 4.2 პროცენტი მიიჩნევს, რომ სერტიფიცირების პროცესის დაწყება 2010 წლიდან დაგვიანებული იყო.



ლიკა ზაკაშვილი 33:62

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, აბაშიძის ქ. 65/67. ტელ.: (995 32) 2470246

ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

აჭყვას:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 1 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

თანხა
ბიბრუნდებით

ყოველ
შენატანზე

აქცია
სესხები



ყოველი ჩვენანი მნიშვნელოვანია

 ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC



290 90 90

* 90 90

BR.GE

შპს ბანკი რესპუბლიკა



ნობელის ჰიბრიდული ომის აღკვეთის ორგანიზაციის (OPCW) ბანკი

მშვიდობის დარგში ნობელის 2013 წლის პრემია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მიენიჭა. ნორვეგიის ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება ოსლოში კომიტეტის თავმჯდომარემ ტორნბიორნ იაგლანდმა გამოაცხადა. მისი განმარტებით, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას ნობელის პრემია ქიმიური იარაღის გასანადგურებლად მიმართული დიდი ძალისხმევისათვის მიენიჭა. „კონვენციებმა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მუშაობამ საერთაშორისო სამართლით ტაბუდ აქცია ქიმიური იარაღის გამოყენება. ბოლო მოვლენებმა სირიაში, სადაც ისევ გამოიყენეს ქიმიური იარაღი, ხაზი გაუსვა საჭიროებას, რომ გააქტიურდეს ძალისხმევა ასეთი იარაღის მოსასპობად“, – აღნიშნა ნორვეგიის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარემ. გაეროს მხარდაჭერით, ჰააგაში დაფუძნებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია 1997 წლიდან მოქმედებს. ის მეთვალყურეობას უწევს მსოფლიოში ქიმიური იარაღის კონვენციის დაცვას, ავრცელებს ქიმიური იარაღის შესახებ ინფორმაციას და ანალიტიკურ მასალებს. გაეროს გუნდი, რომელმაც მოაგროვა 21 აგვისტოს დამასკოსთან ქიმიური იარაღით თავდასხმის მტკიცებულებები, სწორედ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ექსპერტებისაგან შედგებოდა.

ჩხეთი მთავრობები თუჩეთში ახალი ბიძოლით იბრუნებინა
ქურთი მემბოხეები მზად არიან ჩრდილოეთ ერაყიდან კვლავ შევიდნენ

თურქეთში და ბრძოლები განაახლონ, თუ ანკარა სამშვიდობო პროცესზე არ იბრუნებს. ქურთების მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ქემილ ბაიკმა „როიტერს“ განუცხადა, რომ თურქეთი სირიაში იმ ისლამისტ მემბოხეებს უჭერს მხარს, რომლებიც ქურთების წინააღმდეგ იბრძვიან. ანკარა ქურთების წინააღმდეგ მემბოხეების მხარდაჭერას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ რეგულარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ სირიაში არსებულ ქურთების ჯგუფის ლიდერთან, რომელსაც ქურთების მუშათა პარტიასთან აქვს კავშირი. როგორც ცნობილია, ქურთების ლიდერმა აბდულა ოჯალანმა თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკებები გასულ წელს დაიწყო. ოჯალანმა ქურთებს ამბოხების შეწყვეტისაკენ და თურქეთის ტერიტორიის დატოვებისაკენ მოუწოდა, თუმცა ეს პროცესი გასულ თვეში შეჩერდა, ვინაიდან ქურთების განცხადებით ანკარა პირობებს არ ასრულებს. „პროცესი ჩიხში შევიდა. ისინი ან ქურთების მოძრაობასთან მოლაპარაკებებზე დათანხმდებიან, ან თურქეთში სამოქალაქო ომს მიიღებენ“, – განაცხადა ბაიკმა.

კვირთაქიანებმა მთიანი ყაჩაღების ჯონჯინაქთან დაახლოებით იზოლირებულ

24 ოქტომბერს, პლენარული სესიის დროს ევროპარლამენტმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტი მიიღო. ევროპარლამენტი აღნიშნავს, რომ ერთი ქვეყნის მიერ, რომელიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამაში



მონაწილეობს, ამ პროგრამის მეორე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფუნდამენტურ პრინციპებსა და მიზნებს ეწინააღმდეგება. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება 1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ოთხ რეზოლუციაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. ამ რეზოლუციაში პირველად არის ხაზგასმული, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიიდან შეიარაღებული ფორმირებების უპირობო, სრულ და დაუყოვნებლივ გაყვანას ითვალისწინებს.

ილჰამ ალიევი უზუბეიჯანის ჰიზბულლასი მესამე ბანკი

აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 85%-ით ილჰამ ალიევიმ გაიმარჯვა. მოქმედი პრეზიდენტი მესამე ვადით აირჩიეს. არჩევნებში მეორე ადგილზე ოპოზიციის ლიდერი, ჯამილ გასანლი, 5.44%-ით გავიდა. პრეზიდენტის განცხადებით, მისი გამარჯვება დემოკრატიის მორიგი ზეიმია. „აზერბაიჯანში არის ყველანაირი თავისუფლება. აზერბაიჯანი გააგრძელებს თავის განვითარებას, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო. გასულ წლებში ჩვენი სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტები გაძლიერდა, გაჩნდა აზერბაიჯანული იდეოლოგია. ჩვენ დღეს მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელოვანი ელემენტი გავხდით“, – განაცხადა ალიევიმ. აზერბაიჯანის კონსტიტუციით, არჩეული პრეზიდენტი მოვალეობას 5 წლის ვადით ასრულებს.

კვირთაქიანების იზოლირება ვანო ბაიბოშოვის ჯონჯინაქთან ახ მონისანიებს

23 ოქტომბერს ევროპარლამენტმა საგარეო ურთიერთობათა კომიტე-



ტის მიერ ინიცირებული რეზოლუცია დაამტკიცა. პროექტისგან განსხვავებით, დამტკიცებული რეზოლუციის 39-ე პუნქტში ვანო მერაბიშვილი აღარ არის მოხსენიებული პოლიტპატიმრად. რეზოლუცია, სახელწოდებით „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ: პარტნიორობის გაძლიერებისკენ“ შეეხება საქართველოსაც, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულ ქვეყანას, რომელიც განსაკუთრებულ იმედებს უკავშირებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილინიუსის სამიტს. რეზოლუციის პროექტის ძველი ტექსტის თანახმად, რომელიც ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გასულ კვირაში დაამტკიცა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად იყო მოხსენიებული. ევროპარლამენტი "მხარს უჭერს ასოცირების შეთანხმების ინიცირებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ წინასწარ უნდა გამოვლინდეს არსებითი პროგრესი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კანონის უზენაესობის სფეროში, რაც უნდა დაინყოს, ვანო მერაბიშვილის ჩათვლით, ყველა პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლებით და ევროპული სტანდარტების დაცვით უნდა ჩატარდეს მომავალი საპრეზიდენტო არჩე-

ვნები“, – ასეთი იყო თავდაპირველი ფორმულირება. მოგვიანებით, ევროპარლამენტში რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით ინიცირებული იყო 22 ცვლილება, საიდანაც საქართველოს შეეხებოდა 5 ცვლილება და ამ 5-დან სამი სწორედ რეზოლუციის 39-ე მუხლს უკავშირდებოდა. ტექსტის გარშემო დებატები ევროპარლამენტში 22 ოქტომბერს საღამოს გაიმართა, ხოლო 23 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცებული რეზოლუციის 39-ე მუხლში საერთოდ აღარ ვხვდებით „პოლიტიკური პატიმრების“ ცნებას და აღარც ვანო მერაბიშვილია მოხსენიებული.

ბაჩიოს ჯვარის მიხედვით, სააქტიუროში და ასოციაციო ბანათება №1 ჰიოიხიბატი

გაეროს გლობალური კვლევის – „My World / ჩემი სამყარო“-ს მიერ საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, გამოკითხულთა 80% შემდეგი ათწლეულის პრიორიტეტად ასახელებს განათლებას (78%), დასაქმებასა (71%) და ჯანდაცვის (66%) გაუმჯობესებას. ასევე პრიორიტეტულია კარგი მმართველობა, რომელსაც გამოკითხულთა 49% ანიჭებს უპირატესობას. გამოკითხულთა აზრით, განათლება ნიშნავს ღირებულებების ფორმირებას,

კრიტიკულ აზროვნებას, მეტ პიროვნულ თავისუფლებასა და „კარგი საქმეების“ კეთების მეტ შესაძლებლობას. დასაქმება, რომელიც საქართველოსთვის №2 და მსოფლიოსთვის №4 პრიორიტეტია, გამოკითხულთათვის მხოლოდ მეტ შემოსავალთან არ ასოცირდება. მათთვის დასაქმების შანსი შესაძლებლობების განხორციელებას, აქტიურ სოციალ ცხოვრებასა და ოჯახურ ჰარმონიას ნიშნავს. საქართველოსთვის №3 და მსოფლიოსთვის №2 პრიორიტეტი ჯანდაცვაა და გამოკითხულები მიუწვდომელ სამედიცინო მომსახურებაზე ჩივიან. საქართველოს მოქალაქეები ნუხან, რომ სოფლებში საერთოდ არ არსებობს სამედიცინო მომსახურება, სკოლებში არ არიან ექიმები, სასწრაფო შემთხვევებშიც კი, ექიმები პაციენტებს არ ემსახურებიან წინასწარი გადახდის გარეშე და სამედიცინო დაზღვევა ჯერ კიდევ არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი. **■**





„მისიონერის რანგში გავდივარ, აქედან გამომდინარე ჩემი გუნდში დარჩენა მინუსია. გუნდში მეუბნებიან, რომ პელე ვარ, და არავის არ უნდა რომ გუნდიდან პელე წავიდეს. მთავრობის წევრების მესმის, მაგრამ სჯობს საზოგადოებაში გავაკეთო მაქსიმუმი და თუ საჭირო იქნება მთავრობას იქიდან დავეხმარო“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი




„როდესაც პრეზიდენტი გავხდები, ავლაბრის რეზიდენციაში არ შევალ. საქართველოსნაირ ქვეყანაში ასეთი დიდი ფუფუნების საგანი ერთი ინსტიტუტის საკუთრება არ უნდა იყოს. ის ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. როდესაც ჩვენი ეკონომიკა ძალიან გაძლიერდება, სერიოზული რეზიდენციების აშენებას მერე შევძლებთ. დანარჩენს გუნდის შიგნით ვისაუბრებთ“.

პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი



„მე რომ ქართველი ვიყო, დარწმუნებული ვარ ემოციურად ძალიან წინააღმდეგი ვიქნებოდი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის, მაგრამ როგორც უცხოელი დამკვირვებელი, მე ვურჩევდი ყველას, რომ სიტუაცია ემოციების გარეშე ანონ-დანონ და საქართველოსთვის საუკეთესო გადანყვეტილება მიიღონ. მე მესმის, რომ მთავრობა ძალიან რთული არჩევანის წინაშე დგას“.

გერმანიის ელჩი საქართველოში ორთვინ ჰენიგი



„ჩემთვის ძალიან ძვირფასია ყველა ქართველი. მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე და ივანიშვილი სხვადასხვა პლანეტიდან ვართ. უფრო სწორად, მე ამ პლანეტიდან და ამ ქვეყნიდან ვარ. არაფერი საერთო მასთან არ მაქვს. ის სხვა საქართველოს წარმოადგენს“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი



„პრინციპულად ვერ დავეთანხმები პროკურორებსა და ბატონ ბიძინა ივანიშვილს იმაში, რომ პროკურატურაში კორუფცია არ არსებობდა“.

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე დავით უსუფაშვილი



ონლაინ განვადება

- აირჩიეთ სასურველი ნივთი
- შეავსეთ ონლაინ განაცხადი სახლიდან გაუსვლელად
- და დაიმტკიცეთ განვადება წინასწარ



ფოტო: ვიქტორ ბარბაქაძე

პოლიტიკა

მოსახლენი ახვანების სიბი

ირაკლი აბსანძე



„ლიბერალის“ ნიუსრუმი არჩევნების სალამოს ათ საათზე გამოვიხურეთ. არც მანამდე გვექონია დიდი განეგ-გამონევა. მონყენილობისგან გასაქცევად ნინა არჩევნების ყველაზე შთამბეჭდავ მომენტებს ვიხსენებდით – ვისთვის ფოტოკამერა ნაურთმევიათ, ვინ საარჩევნო უბნის კიბეებიდან დაუგორებია არც თუ ნეიტრალურ დამკვირვებლებს...

ცესკოს მიერ 28 ოქტომბერს გავრცელებული წინასწარი შედეგებით, საქართველოს არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია. საარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველთა 62,07%-მა მას მისცა ხმა. მეორე ადგილზე 21,76%-ით დავით ბაქრაძეა. ნინო ბურჯანაძე, რომელმაც თავი წინასაარჩევნო პროცესში აგრესიული და არაადეკვატურად თავდაჯერებული კამპანიით დაგვამახსოვრა, მესამე ადგილს უნდა დასჯერდეს. მას ხმა აქტიური ამომრჩევლის 10,02%-მა მისცა.

დიდი სიურპრიზი არც ამომრჩეველთა შედარებით დაბალი აქტივობა ყოფილა. 2013 წელს პრეზიდენტი ქვეყნის მოსახლეობის 46,6%-მა აირჩია, როცა შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებში ეს მაჩვენებელი 61,1%-ს შეადგენდა. ამის მიზეზებზე სოციოლოგები და პოლიტოლოგები, ალბათ, უახლოესი კვირების განმავლობაში იმსჯელებენ, თუმცა ერთ-ერთი მთავარი მიზეზის პოვნა დამატებითი კვლევების გარეშეცაა შესაძლებელი.

2013 წლის ოქტომბერში ქართველ ხალხს მორიგი საბედისწერო არჩევანი არ ჰქონდა გასაკეთებელი. ჩვენ ახლა აღარ უნდა აგვერჩია ცუდსა და კარგს, კეთილსა და ბოროტს, წარსულსა და მომავალს შორის, როგორც ეს აქამდე ჩატარებულ ყველა არჩევნებზე ხდებოდა. ამიტომ ჩანდა კონტექსტიდან ამოვარდნილად ივანიშვილისა და მარგველაშვილის მიერ არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით გაკეთებული მკვეთრი განცხადებები და 27 ოქტომბერს „ქუდზე კაცის“ დაძახება.

ამ განცხადებებმა და ნინო ბურჯანაძის თავდაჯერებულმა, ლამის უკვე არჩეული პრეზიდენტის ტონმა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს გარემოება რომ არა, არჩევნების დღე, ალბათ, კიდევ უფრო დუნედ და მოსაწყენად ჩაივლიდა.

ცნობილი და სანდო გერმანული კვლევითი კომ-

პანიის GFK-ს მიერ ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები „რუსთავი2“-მა 20.00-ზე გამოაქვეყნა. თითქმის იმავდროულად გამოქვეყნდა ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგებიც. ტენდენციის ფაქტობრივმა დამთხვევამ მაშინვე გახადა ნათელი, რომ მარგველაშვილი ხმათა დაახლოებით 60%-ით ლიდერობდა, მას დამაჯერებელი 20%-ით დავით ბაქრაძე მოსდევდა და ნინო ბურჯანაძე მოკრძალებული 10%-ით უნდა გამოსთხოვებოდა საკუთარ საპრეზიდენტო ამბიციას.

ერთგვარი პოლიტიკური „ჰეფი ენდი“ მაშინ დაიწყო, როცა დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბიდან მიულოცა. ასეთი რამ აქამდე არ გვექონია ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

წარსულის გახსენება იყო დაბნეული და ცოტათი განიწმატებული ნინო ბურჯანაძის განცხადება, როცა მან ეგზიტპოლებს უნდობლობა გამოუცხადა, გაყალბების შემთხვევებზე ისაუბრა და დაგვარწმუნა, რომ ბოლომდე დაიცავს მოპოვებულ ხმებს. ეს მონაკვეთი სრულიად იყო ამოვარდნილი საარჩევნო დღის ზოგადი დრამატურგიიდან. არც მანამდე და არც მას შემდეგ სერიოზულ დარღვევებზე, რასაც არჩევნების შედეგის შეცვლა შეეძლო, მის გარდა არავის უსაუ-

ბრია.

როგორც ჩანს, ბურჯანაძეს მარცხთან შეგუება მაინც მოუწევს. საარჩევნო დღის მომდევნო ორშაბათმა ცხადყო, რომ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არჩევნების შედეგები აღიარა და მშვიდად განაგრძო ცხოვრება. რაიმენაირად ნიშანდობლივი სანახაობის შექმნა ვერც მარგინალთა ჯგუფმა შეძლო, რომელთაც ორგანიზება არჩევნების ღამეს, მომდევნო კორკოტაშვილის ფეისბუქის გვერდზე სცადეს და ხმაურიანი აქციით „ნაციონალური

ერთგვარი პოლიტიკური „ჰეფი ენდი“ მაშინ დაიწყო, როცა დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბიდან მიულოცა. ასეთი რამ აქამდე არ გვექონია ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

მოძრაობის“ კანდიდატის 20%-ანი წარმატების გა-
პროტესტებას აპირებდნენ.


ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქართულ საზოგადოებას
პოლიტიკური სიმნიფის პირველი ნიშნები დაეცყო?
ცხადია, ნიშნავს.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩე-
ვებში ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების
შემდეგ, 27 ოქტომბრის მოსაწყენი არჩევნები პო-
ლიტიკური სისტემის სტაბილიზაციის მეორე და
ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანია. ამავე ჭრილობა
განსახილველი ბურჯანაძის მარცხიც. დახარ-
ჯული უზარმაზარი რესურსის მიუხედავად, სა-
ქართველომ უარი თქვა აშკარად პრორუსულ
არჩევანზე, რომელიც ქვეყანას პოლიტიკური
მოუსაველეთის სპირალში დააბრუნებდა. ქართვე-
ლი ამომრჩეველი აღარ ნამოეგო უკვე ბევრჯერ
გადაცლაპულ ანკესს – უსამართლობის ელვის
სისწრაფით აღმოფხვრისა და ქვეყნის უსწრაფე-
სად გამთლიანების შემპირებელ ქარიზმატულ
კანდიდატს მოსაწყენი, მაგრამ სტაბილური მარ-
გველაშვილი არჩია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით ბაქრაძის
21,76%. ქართული დემოკრატიისათვის სასიცო-
ცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებაში
ყოფნის გამოცდილების მქონე პარტიამ ოპოზი-

ციაში სულ მცირე ერთ საარჩევნო ციკლს გაუ-
ძლოს. ამის შანსი „ნაციონალურ მოძრაობას“
დღეს გაცილებით მეტად აქვს, ვიდრე, თუნდაც
1 თვის წინ. ქართველი ამომრჩევლის მიერ ქვეყ-
ნის მთავარ ოპოზიციურ ძალად დადასტურებამ
პარტიას პასუხისმგებლობის გრძობა და კონს-
ტრუქციულობა უნდა შეჰმატოს. თუ „ნაციონა-
ლური მოძრაობა“ ოდიოზური ფიგურებიდან კი-
დევე უფრო დისტანცირებას და საკუთარ წიაღში
ახალგაზრდა, კომპეტენტური, ფასეულობებზე
ორიენტირებული მხარდამჭერების კონსოლიდი-
რებას შესძლებს, ქვეყანასაც წაადგება და საკუ-
თარ თავსაც.

ზედმეტად ვარდისფერ პერსპექტივაში რომ არ
გადავვარდეთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ
ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება:

ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტზე ბევრად
უფლებამოსილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. ჩვენ
პრეზიდენტი ავირჩიეთ. როგორც ჩანს, ძლევამო-
სილ პრემიერ-მინისტრს კვლავ ერთი, უკეთეს შე-
მთხვევაში, რამდენიმე ადამიანი დაგვინიშნავს.
უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილს
უფრო მნიშვნელოვანი არჩევანი აქვს გასაკეთებე-
ლი, ვიდრე ქართველმა ხალხმა 27 ოქტომბერს გა-
აკეთა. 



ფოტო: ანტონი მუხა

ეკონომიკა

ჩახომ შიქდაზ იყოს სქახთოვადოს ეკონომიკა ხათოს მდომახოზაში, ვიღე ბზბონია

18 სექტემბერს საქსტატმა განაცხადა, რომ მიმდინარე კვარტლისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი 1.5%-ს უდრიდა. ეს საშინლად ჟღერს, თუმცა, ამ მონაცემის და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოს მიერ გამოქვეყნებული სხვა მონაცემების უფრო დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო სექტორს მიღმა, ეკონომიკა კარგ ფორმაშია და თავდაპირველ მონაცემთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის (FDI) მხრივაც უკეთესი მდგომარეობაა. პოლიტიკური რყევებიდან გამომდინარე, ეს ტენდენციები საკმაოდ გასაკვირია, თუმცა 2014 წლისათვის ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

ჯორჯ ველტონი, „GeoWel Research“-ის აღმასრულებელი დირექტორი

ეკონომიკური ზრდის საფუძვლის დადგენის ყველაზე მარტივი მეთოდი ნომინალური ზრდის (ინფლაციის გათვალისწინების გარეშე) შესწავლაა. ეს მისაღები მიდგომაა, რადგან გასული წლის განმავლობაში ინფლაცია ძალიან დაბალი იყო (1%-ზე ნაკლები), „რეალური“ ზრდის მონაცემები კი, გარკვეული მიზეზების გამო, შეიძლება ადეკვატურად ვერ ასახავდეს ეკონომიკური აქტივობის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

როდესაც ზრდას განვიხილავთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ შედარებითი ზრდა თითოეულ სექტორში, და ამ სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკაში. ქვემოთ მოცემული ცხრილი, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ასახავს თითოეული სექტორის მნიშვნელობას, ასევე, ამ სექტორში 2012 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობას და 2013 წლის მეორე კვარტალამდე ნომინალურ ზრდას.

სექტორის ზომა და მშპ-ს ზრდა

(2012 წლის მეორე კვარტლიდან 2013 წლის მეორე კვარტლამდე)

	სექტორის წილი მშპ-ში	ნომინალური ზრდა სექტორის მიხედვით
ვაჭრობა	17%	3%
მრეწველობა	10%	4%
სახელმწიფო მმართველობა	10%	-8%
სოფლის მეურნეობა	10%	11%
ტრანსპორტი	8%	-2%
ჯანდაცვა	6%	8%
უძრავი ქონება	6%	13%
განათლება	6%	12%
მშენებლობა	5%	-15%
ფინანსური შუამდგომლობა	3%	8%
კომუნიკაცია	3%	-5%
სხვა	16%	-1%
ჯამური		2.0%

წყარო: საქსტატის მონაცემები მშპ-ის სექტორული წილი მიმდინარე ფასების მიხედვით (გადახედილია 2013 წლის ოქტომბერში)

რა თქმა უნდა, ზრდის შენელება ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში ზოგად სურათზე გავლენას ახდენს, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება ეკონომიკაში, ნომინალურად, სახელმწიფო მმართველობაში მოხდა. ამ სექტორმა 8%-იანი შემცირება განიცადა, მაშინ როცა ის მთლიანი ეკონომიკის 10%-ს შეადგენს. მხოლოდ ეს შემცირება, მთლიანი ეკონომიკური ზრდის 0.8%-ით შემცირებას ნიშნავს. მსგავსად, მშენებლობის სექტორი შემცირდა 15%-ით, ის მთლიანი ეკონომიკის 5%-ს შეადგენს – შესაბამისად ეს ეკონომიკურ ზრდას 0.75% დაუჯდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სექტორების გარეშე, ეკონომიკური ზრდა 2%-ის ნაცვლად 3.5% იქნებოდა. ამ შემთხვევაში, არც კი ვითვალისწინებთ იმ მულტიპლიკატორის ეფექტს, რომლებიც ამ სექტორებში ზრდას ექნებოდა. თუ სახელმწიფო მმართველობასა და მშენებლობის მონაცემებს კარგად დავაკვირდებით, იმასაც დავინახავთ, რომ ზრდის შენელება ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურაზე ხარჯების შემცირების ტენდენციას ასახავს. სახელმწიფო მმართველობის სექტორში, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური ზრდა -8%-ს შეადგენდა, საქსტატის მონაცემების მიხედვით, სექტორის რეალური ზრდა +2.4% იყო. ამ სხვაობის მიზეზი ისაა, რომ საქსტატის ნომინალური მონაცემი სახელმწიფო აქტივების გაუფასურებასაც ითვალისწინებს მაშინ, როცა „რეალურ“ მონაცემში ეს გათვალისწინებული არ არის. გაუფასურების ასეთი მაღალი დონე, როგორც ნესი, ახალი მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურაზე დახარჯული თანხით იწყება.

სწორედ ეს შენელებაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მშენებლობის სექტორის შემცირებისა. საქსტატი მშენებლობის კატეგორიას სამ ქვეკატეგორიად ჰყოფს. ცხრილში შეგვიძლია ვნახოთ თითოეულის ზომა და ზრდის მაჩვენებელი.

მშპ-ის ზრდა კვაკატეგორიების მიხედვით

(2012 წლის მეორე კვარტლიდან 2013 წლის მეორე კვარტლამდე)

	წლილი მშპ-ში	ზრდა 2012 წლის მეორე კვარტლიდან 2013 წლის მეორე კვარტლამდე
ნაგებობისა და სამოქალაქო შენობების მშენებლობა	3%	10.6%
გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა	0.8%	-50.9%
სხვა მშენებლობა	0.8%	-27.8%

წყარო: საქსტატის მონაცემები მშპ-ის ქვეკატეგორიების მიხედვით მუდმივ ფასებში (2013 წლის ოქტომბერი)

■ თუ სახელმწიფო მმართველობასა და მშენებლობის მონაცემებს კარგად დავაკვირდებით, იმასაც დავინახავთ, რომ ზრდის შენელება ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურაზე ხარჯების შემცირების ტენდენციას ასახავს. სახელმწიფო მმართველობის სექტორში, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური ზრდა -8%-ს შეადგენდა, საქსტატის მონაცემების მიხედვით, სექტორის რეალური ზრდა +2.4% იყო.

ცხრილი გვაჩვენებს, რომ მშენებლობის კომპონენტის უმთავრესი ნაწილი კარგ მდგომარეობაშია და ეს ბევრი ჩვენგანის ყოველდღიურ აღქმას ემთხვევა. თბილისში ბევრი სამშენებლო სამუშაო მიმდინარეობს, მაგრამ ინფრასტრუქტურისა და გზების მშენებლობა 50%-ით არის შემცირებული.

ამ ქვეკატეგორიის როლი მთლიან ეკონომიკაში არც თუ ისე დიდია, მაგრამ მას მაინც აქვს გავლენა საბოლოო შედეგზე.

ასევე, მშენებლობის ზრდის ტემპის შემცირება შეიძლება დაგვეხმაროს სხვა სექტორებში ზრდის ტემპის შემცირების განალიზებაში. ფოლადი და ცემენტიც, მრეწველობის სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი, მშენებლობასთან არის დაკავშირებული.

იმავედროულად, „ვაჭრობის“ სექტორის დიდი წილი სახელმწიფო შესყიდვებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებულ იმპორტზეა მიბმული.

შესაბამისად, მშენებლობის სექტორში ზრდის შენელებას მნიშვნელოვანი მულტიპლიკატორის ეფექტი აქვს.

იმ აზრს, რომ ეკონომიკის ზრდის შენელება, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ხარჯვის შემცირების შედეგი იყოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ზაფხულში გამოქვეყნებული ანგარიშიც ამყარებს. ანგარიშში სავალუტო ფონდი მთავრობას მოუწოდებს „შეცვალოს სახელმწიფო ხარჯვის შემცირების ტენდენცია“. უფრო მეტიც, სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას ეკონომიკური ზრდის რთულ პირობებში საჯარო დეფიციტის მიზნების გადახედვასაც ურჩევს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც უკეთ გამოიყურება, ვიდრე საერთო მაჩვენებელი, თუმცა, სურათი აქ ცოტა უფრო რთულია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წლიური ზრდა 2012 წლის მეორე კვარტლიდან 7% იყო. თუმცა, ეს მონაცემი საინტერესო დეტალებს მალავს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში განვიხილავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სექტორს, მთლიანი ზომისა და ზრდის ტემპის მიხედვით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საქტორის მიხედვით

საქტორი	რაოდენობა (000 USD)	სრული FDI-ის წილი	2012 წლის მთლიანი კვარტლის შედეგად ზრდა
ენერჯეტიკა	66,337	29%	12%
მრეწველობა	59,103	25%	75%
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	45,979	20%	-4%
მშენებლობა	38,594	17%	801%
ფინანსური სექტორი	13,077	6%	-16%
მადნეულის მოპოვება	9,735	4%	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2012 წლის მეორე კვარტალში უარყოფითი იყო, შესაბამისად პროცენტის დათვლა შეუძლებელია
კონსულტაციები	7,417	3%	79%
უძრავი ქონება	4,605	2%	-52%
სოფლის მეურნეობა	3,822	2%	-27%
ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო	1,769	1%	-19%
სხვა სექტორები	-5,475	-2%	-114%
სასტუმროები და რესტორნები	-12,571	-5%	-221%
სრული	232,395	100%	7%

წყარო: საქსტატი, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სექტორის მიხედვით

პირველი, რაც თვალში გვხვდება ის არის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სექტორების უმრავლესობა 7%-ზე ბევრად მეტად გაიზარდა. განსაკუთრებით ენერჯეტიკაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 7%-ით, მრეწველობაში – 75%-ით, მშენებლობაში – 800%-ით გაიზარდა.

შემცირება, რომელიც ამ ზრდას აბალანსებს, აშკარად ინვესტიციასთან დაკავშირებულ ღირებულებასთან უფრო არის დაკავშირებული ვიდრე ზოგადად, სხვა სექტორებში ზრდის შემცირებასთან. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირეა, მაშინ როცა ამ სექტორში, მშპ-ის მხრივ, აშკარა ზრდა არის. ასევე, ფინანსურ სექტორში ინვესტიცია მცირდება მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სექტორი მოგების მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს.

სასტუმროებსა და რესტორნების სექტორში უცნაური, უარყოფითი ზრდის ტენდენცია, შესაძლოა, დიდი წარმატებითა და ამავდროულად, გაუგებრობით აიხსნას. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ასახავს შემოსულ უცხოურ ინვესტიციას და მოგებას, რომელიც უცხოურმა კომპანიებმა საქართველოში ნახეს. ეს მოგება უკან არ იგზავნება (ანუ ითვლება, რომ ამ მოგების ინვესტირება ადგილობრივად ხდება). შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იმ შემთხვევაშია უარყოფითი, თუ ქართველები უცხოეთში დებენ ინვესტიციებს ან უცხოურ კომპანიებს თავიანთი მოგება ქვეყნიდან გააქვთ.

სასტუმროების სექტორში მაღალი უარყოფითი FDI ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ სასტუმროები ამ დროისთვის სავსეა და უჩვეულოდ მომგებიანია. ეს ალბათ უცნაურად ჟღერს, მაგრამ FDI-ის მაჩვენებელი რომ ასეთი მაღალი და უარყოფითი იყოს, კომპანიები დიდ მოგებას უნდა ნახულობდნენ, რადგან მოგების

გარეშე უკან, სათაო ოფისში ვერაფერი გაიგზავნებოდა. ასე რომ, ეს მონაცემი ერთდროულად შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც. ცუდია, რომ სასტუმროებს ამ დროისთვის არ უნდათ საქართველოში რეინვესტირება, მაგრამ კარგია, რომ ეკონომიკა კარგ მდგომარეობაშია და სასტუმროებიც მოგებას ნახულობენ.

ეს მაჩვენებლები არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ეკონომიკა შენედა. თუმცა, ეს ყველაფერი ბიზნესმენს ან პოტენციურ ინვესტორს ფრთხილი ოპტიმიზმის სამ ნიშანს უნდა აძლევდეს.

პირველი, მიუხედავად პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე რადიკალური ცვლილებებისა, კოჰაბიტაციის სირთულეებისა და ხელისუფლებაში გამოუცდელი გუნდის მოსვლისა, ეკონომიკა არც თუ ისე ცუდ მდგომარეობაშია.

მეორე, ეკონომიკა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნება როცა ხელისუფლება ინფრასტრუქტურაზე დანიყებს ფულის ხარჯვას. ის ფაქტი, რომ ამ სექტორში ხარჯვის გაზრდისკენ მთავრობას საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიც მოუწოდებენ, მინიშნებს, რომ სახელმწიფო ფინანსები არც თუ ისე ცუდ მდგომარეობაშია.

დაბოლოს, მაინც შეინიშნება გარკვეული დინამიკა. მშენებლობის სექტორი, სახელმწიფო კონტრაქტების გამოკლებით, კვლავ იზრდება. სოფლის მეურნეობა, როგორც ჩანს, პასუხობს მისი სტიმულირების მცდელობებს, მაგრამ FDI სუსტადაა. სასტუმროები და რესტორნები კვლავ მომგებიანია. ამავდროულად, ეკონომიკის დიდი ნაწილი კვლავ გაჩერებულია და სიტუაციის გარკვევას ელოდება.

ეს შეიძლება არ იყოს ბრწყინვალე ეკონომიკური დასკვნა, მაგრამ მოცემულ პირობებში არც თუ ისე ცუდია. **█**

მასწავლა

"ასე ვიხ ბავფინდებით!"

2014 წლის ბიუჯეტის მიხედვით მეცნიერებისთვის გამოყოფილი თანხის ჯამური რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა კვლევითი გრანტებისთვის გამოყოფილი თანხა – 10 მილიონი ლარითაა შემცირებული იმ სამეცნიერო გრანტების დაფინანსება, რომელსაც კონკურსის საფუძველზე გასცემს რუსთაველის ფონდი

ქეთი გურჩიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამჟამად „ნიუ იორკის უნივერსიტეტის“ მონვეული მკვლევარი



არ ვიცი, რამ იმოქმედა ყველაზე მეტად, შეიძლება ქრისტიანულმა მგალობლიშვილმა „შერეკილებიდან“ ან მოარულმა ისტორიებმა დაბნეულ მეცნიერებზე, მაგრამ ცხადია, ქართველ პოლიტიკოსებში უკვე კარგა ხანია გამყარდა მეცნიერის იმიჯი, რომელიც მონყვეტილია რეალობას და სადღაც ხაროშია დამწყვედული. თავისი იდეა აქვს და ხაროშიც ახერხებს, ამ იდეაზე იმუშაოს, ექს-

პერიმენტსაც ატარებს, მონაფეც კი ჰყავს და არც არაფერს აპროტესტებს. ორმოს გარეთ კი არიან ძალაუფლების მქონე მეცნიერები, რომლებიც იოლად ირგებენ ფსიქიატრის ფორმას. სანამ ორმოში გაფრენაზე მსჯელობენ, გარეთ მყოფები რაღაცას უპირებენ, ოღონდ რას, ეს ამათ არ იციათ.

საქართველო უკვე წლებია, მეცნიერების დაფინანსების სიმცირით გამოირჩევა. დაფინანსების გა-

ზრდა და ნახალისების ინსტრუმენტების შემოღება მნიშვნელოვანია, ოღონდ იმგვარად, რომ გაზრდილი დაფინანსება პრობლემების მოგვარებას ემსახურებოდეს. იმისთვის, რომ ცვლილებები წარმატებული იყოს, აუცილებელია, ვიცოდეთ, რას მივალნივთ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებით, რა იყო წარმატებული და რა – არა. ამგვარი კვლევა და შეფასება წინ უძღოდეს გადაწყვეტილებებს, ხოლო ახალი მოდელის შემოღება აკადემიურ სივრცეში განხილვის საგანი უნდა გახდეს შემოღებამდე და არა შემოღების შემდეგ.

რამდენიმე კვირის წინ პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროექტის მიხედვით, მეცნიერებისთვის გამოყოფილი თანხის ჯამური რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ რადიკალურად შემცირდა კვლევითი გრანტებისთვის გამოყოფილი თანხა. 2013 წელთან შედარებით 2014 წლის ბიუჯეტში 10 მილიონი ლარით შემცირდა სამეცნიერო გრანტების დაფინანსება, რომელსაც რუსთაველის ფონდი კონკურსის საფუძველზე გასცემს (მუხლი: „სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“; იხ. თავი VI, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები, გვ.109-112) საგრანტო პროექტებისთვის მოკლებული 10 მილიონი ლარი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადავიდა პროგრამულ მუხლში, რომელსაც “მეცნიერების აღდგენა და განვითარება” ჰქვია. ბიუჯეტის პროექტის განმარტებაში ამ მუხლთან დაკავშირებით ერთადერთ ფრაზას ვკითხულობთ: „მეცნიერების აღდგენისა და განვითარებისთვის ფონდის შექმნა, სამეცნიერო – კვლევითი დაწესებულებებისათვის დაფინანსების უზრუნველსაყოფად“.

გაუგებარია, ზუსტად რა იგულისხმება ამ მწირ განმარტებაში და ასევე, როგორ შეიძლება, განვითარებას ხელს უწყობდეს დაფინანსების ჩამოშორება ძირითადი აქტივობისთვის, კვლევისთვის. ეროვნული ფონდი ამჟამად ერთადერთია, სადაც მეცნიერს შეუძლია, წარადგინოს პროექტი და კონკურსის საფუძველზე მიიღოს დაფინანსება.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ასევე, დაახლოებით 10 მილიონი ლარი სამეცნიერო გრანტებს აკლდება. 2012 წელს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, დაახლოებით 23 მილიონი უნდა დახარჯულიყო საგრანტო პროექტებზე, მაგრამ მხოლოდ 14 მილიონის პროექტები დაფინანსდა. ამის შედეგი იყო ის, რომ მთელ რიგ მიმართულებებში 100-ქულიან შკალაზე 97 ქულით შეფასებული პროექტებიც არ დაფინანსდა.

ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი ცვლილება რამდენიმე მიზეზის გამო არის პრობლემური და აკადემიური სივრცისგან დროულ რეაგირებას მოითხოვს. ვფიქრობ, რომ ამგვარი ცვლილება

კანონზომიერების ნაწილია, როცა, ერთი მხრივ, გადაწყვეტილებები მიიღება საკითხის წინასწარი შესწავლის, მისი განხილვის გარეშე და რევენშიზმის ელფერი დაკრავს.

შემოთავაზებული ცვლილებით, 2014 წლისთვის მიღებულ რეჟიმში გადადის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ეს კი ნიშნავს, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი ამაოდ ელის იანვარს და გამარჯვებული საგრანტო პროექტების გამოცხადებას. შემცირებული დაფინანსება წინა ორი წლის მანძილზე აღებული ვალდებულებებისა და გამარჯვებული პროექტების დასრულებას ეყოფა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება ახალი პროექტების დაფინანსება.

იმისთვის, რომ ნათელი იყოს, რაზე ვსაუბრობთ, მოკლედ ავხსნი დღევანდელ მოქმედ მოდელს: არსებობს სახელმწიფოს მიერ დაარსებული რუსთაველის ფონდი, რომელიც აცხადებს კონკურსს სამეცნიერო პროექტებისთვის. შემოტანილი განცხადებები იგზავნება საერთაშორისო რეფერირებაზე: ჩვენთვის უცნობი მეცნიერები წერენ რეცენზიებს ჩვენს პროექტებზე და აფასებენ მათ. ამ შეფასებების მიხედვით პროექტებზე არსებული ბიუჯეტი ნაწილდება.

აღწერილი მექანიზმი ყველაზე მეტად გავრცელებულია დღეს ევროპის ქვეყნებში. მას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ის არ არის მეცნიერების დაფინანსების ერთადერთი საშუალება, მაგრამ ხშირად არის ერთ-ერთი გზა. ჩვენთან ხშირად ისმის საყვედური რუსთაველის ფონდის მიმართ: რეცენზენტები ხშირად ურთიერთგამომრიცხავად აფასებენ პროექტებს, მეცნიერების ყველა მიმართულებისთვის ერთნაირი ზღვარი არსებობს, თანხა მცირეა და არ ითვალისწინებს თავისებურებებს და ა. შ. მაგრამ ამ ნაკლოვანებების გამოსწორების ნაცვლად მთლიანად მექანიზმზე უარის თქმა და მისთვის დაფინანსების შემცირება და გაუქმება ძალიან დიდი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

საქართველოში გრანტების გამცემი სამეცნიერო ფონდის არსებობას სამი ძირითადი უპირატესობა აქვს: ის აძლევს მკვლევარს კვლევით თავისუფლებას, დამოუკიდებლობას პროექტის წარმართვისას და ბიძგს, იყოს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცის ნაწილი. თუ დაფინანსება მხოლოდ ინსტიტუციას იქნება მიბმული, ისევე ძველ მოდელს დავუბრუნდებით, როცა ინსტიტუციის მმართველი ორგანო არა პროექტის აკვარგინაობის, არამედ უფრო პირადი სიმპათიების თუ „ღვანულმოსილების“ გამო წყვეტს, ვინ რაზე შეიძლება, იმუშაოს.

ამ მოდელისგან განსხვავებით ფონდი აძლევს მეცნიერს თავისუფლებას, გახდეს დამოუკიდებელი მკვლევარი, შეარჩიოს სასურველი თემა, პარტნიორები, თანამშრომლები, თავისი კვლევითი პროექტი

გააგრძელოს ინსტიტუციის შეცვლის პრობლემაშიც (თუ სპეციფიკური კვლევით არ არის მიბმული). ხშირად ამგვარი გრანტი ერთადერთი საშუალებაა პროფესორებისთვის, ანარმოონ კვლევა, რადგან საქართველოში უნივერსიტეტების დიდი ნაწილი კვლევას პრიორიტეტად არ მიიჩნევს.

გრანტის გაცემის მექანიზმი უზრუნველყოფს არა მხოლოდ შედარებით ობიექტურ შერჩევას, მას მნიშვნელოვანი ირიბი ფუნქციაც აქვს: რეფერირების პროცესი საშუალებას აძლევს მეცნიერს, თავისი კვლევა საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანოს. თუ ეს პროცესი დაიხვეწება და მიეხმება კვლევის შედეგების საერთაშორისო სივრცეში გამოქვეყნების აუცილებლობას, როგორც ნარმატივის ინდიკატორს, ის უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

ბიუჯეტიდან ნათლად ჩანს, რომ ის თანხა, რაც წინა წელს ფონდმა განკარგა, პროგრამულ მუხლში გადადის და რაღაც სხვა მოდელის ამოქმედებას ვარაუდობს, რომელსაც, პროექტის ავტორებმა, ნოსტალგიურად, „აღდგენა“ უწოდეს.

მოგეხსნებათ, რომ ყველანაირი მოძრაობა კარგი არ არის. ზოგი სვლა უბრალოდ უკანსვლაა. ბიუჯეტის კანონში ჩანერილი საიდუმლოებით მოცული ფრაზა: „მეცნიერების აღდგენის“ შესახებ და ამავდროულად საგრანტო დაფინანსების რადიკალური შემცირება გვავარაუდებინებს, რომ რაღაც წარსულში არსებულის დაბრუნებაზეა საუბარი („აღდგენა“ ხომ ერთ დროს არსებულის დაბრუნებაა). როგორც ჩანს, რაღაც მოდელი უკვე შემუშავებულია, მაგრამ მის შესახებ აკადემიურმა საზოგადოებამ ჯერ არაფერი იცის.

ბიუჯეტის პროექტთან ერთად გამოქვეყნდა ინტერვიუ პროფესორ ჯემალ მებონიასთან, რომელიც საუბრობს დაგეგმილ ცვლილებებზე. ინტერვიუდან ჩანს, რომ ცვლილებების ინიციატორების ერთი ნაწილი მაინც ამ აღდგენაში საბჭოთა სისტემის დაბრუნებას გულისხმობს, რაც გამოიხატება კვლავ ორსაფეხურიანი დისერტაციების შემოღებასა და სადოქტორო დისერტაციების გადატანაში მხოლოდ კვლევაზე ორიენტირებულ ინსტიტუტებში. ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ საბჭოთა სისტემა არა მარტო უსამართლო, არამედ არაპროდუქტიულიც იყო. კვლევისა და სწავლების გაყოფა არაეფექტურად არის მიჩნეული და უარყოფითად მოქმედებს როგორც სწავლების, ისე კვლევის ხა-

რისხზე. უნივერსიტეტი უნდა იყოს ის ადგილი, სადაც იქმნება ახალი ცოდნა და ხდება მისი როგორც გადაცემა, ისე დახვეწა.

როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მყოფი პროგრესული ნაწილი საბჭოთა სისტემაზე ორიენტირებული გუნდის საპირწონედ კომპრომისის სახით აპირებს სხვა მოდელის ამოქმედებას. ზოგი ინფორმაციით, ეს შეიძლება, იყოს საქართველოში მაქს პლანკის ინსტიტუტების მოდელი. რადგან ამ მოდელის ქართული ვარიანტის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, მსჯელობა შეუძლებელია. მნიშვნელოვანია, რომ ის მორგებული იყოს საქართველოს რეალობას და შემოღებამდე განვიხილოთ.


არსებული სისტემის გაუმჯობესების საუკეთესო გზა იქნებოდა ზოგადად მეტი ნახალისების ინსტრუმენტის ამოქმედება და სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ჩარევა ყოველდღიურ აკადემიურ ცხოვრებაში.

კონკრეტული გამოსავალი იქნებოდა უნივერსიტეტების ხელშეწყობა, რომ კვლევა მათ ფარგლებში გაძლიერდეს. ეს შეიძლება მოხდეს, როგორც სხვადასხვა საგრანტო კონკურსებით, ისე სხვადასხვა ტიპის ინიციატივებით, რეიტინგებით და ა. შ.

მნიშვნელოვანია ეროვნული სამეცნიერო ფონდის გაძლიერება, რეფერირების და გრანტის გაცემის არსებული მექანიზმის დახვეწა, დაფინანსების გაზრდა და დივერსიფიკაცია.

სამეცნიერო ფონდის ფარგლებში კონკრეტული სასიკეთო ცვლილება შეიძლება იყოს, მაგალითად, გრანტებისთვის დაწესებული შეზღუდვების და ა. შ. მორგება სხვადასხვა მიმართულებებზე (150 000

გრანტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის ძალიან ცოტაა, მაშინ როცა მათემატიკა ან ფილოლოგია ამას აიტანს).

მეცნიერების განვითარებისთვის დაფინანსების გაზრდა აუცილებელია, თუმცა მას არაფერი აქვს საერთო მეცნიერების დაფინანსებად შენიღბულ სოციალურ დახმარებასთან. სოციალური დახმარება სხვა თემაა და ის არ შეიძლება მეცნიერების განვითარებად ითარგმნოს. თუ ასე გვაგარძელებთ, ხაროში გათხრილი გვირაბის მეორე ბოლოდან ისევ ხაროში აღმოვჩნდებით ან საგიჟეთში, არადა, ქრისტეფორესი არ იყოს, „უნდა გაფორინდეთ!“ 

■ შემოთავაზებული ცვლილებით, 2014 წლისთვის მიღვად რეჟიმში გადადის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ეს კი ნიშნავს, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი ამაოდ ელის იანვარს და გამარჯვებული საგრანტო პროექტების გამოცხადებას. შემცირებული დაფინანსება წინა ორი წლის მანძილზე აღებული ვალდებულებებისა და გამარჯვებული პროექტების დასრულებას ეყოფა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება ახალი პროექტების დაფინანსება.



ფოტო: ლევან სარგაძე/საბ

"ჩემი ახალი კინო, სტრატეგიული პოლიტიკით"

ინტერვიუ ფილმის რეჟისორებთან,
ნინო ორჯონიკიძესთან და ვანო არსენიშვილთან

ნინო ორჯონიკიძისა და ვანო არსენიშვილის ფილმი „ინგლისურის მასწავლებელი“ საერთაშორისო ფესტივალის CinéDOC-Tbilisi-ის გამარჯვებული გახდა. ეს დოკუმენტური კინოს პირველი საერთაშორისო ფესტივალია კავკასიაში, რომელშიც 20-მდე სხვადასხვა ქვეყანა მონაწილეობდა. „ინგლისურის მასწავლებელი“ სამეგრელოს ერთი პატარა სოფლის, საჯიჯაოს სკოლის და ამ სკოლაში მოხვედრილი ახალგაზრდა მასწავლებლის, სამხრეთაფრიკელი ბრედლი ნელსონის ცხოვრებას აღწერს.

რატომ დაინტერესდით ამ პროექტით და რატომ გადანიშნავთ გაცოლოდით ინგლისურის მასწავლებელს?

ვანო არსენიშვილი – რა ხდებოდა სკოლებში, ისედაც ორივეს გვაინტერესებდა, მაგრამ როცა ეს პროექტი და მისი პროპაგანდა დაიწყო, რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესი გაიზარდა. გვაინტერესებდა, გვენახა, როგორ ხდება ცენტრში დაგეგმილი იდეების განხორციელება ადგილზე, ანუ როგორ შეიძლება რეალობაში დიდმა პროექტმა იმუშაოს. ამას გარდა, ვიცოდით, რომ დრამატურგიულად ძალიან დაგვეხმარებოდა ის, რომ უცხოელი ჩადიოდა დახურულ თემში – ვიცოდით, რომ ეს ფაქტი იქ რალაც გაღიზიანებას გამოიწვევდა და უფრო მარტივად დასანახი იქნებოდა სოფლის სახეც. ინგლისურის მასწავლებელი გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ დრამატურგიულად ხაზი კარგად აწყობილიყო – კლასიკური დრამატურგიის ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტი ესაა – ადამიანი მიდის უცხო სამყაროში სამოგზაუროდ და შემდეგ უკან, შინ ბრუნდება.

ნინო ორჯონიკიძე – ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისიც იყო, რომ სკოლაში შეღწევა გვინდოდა. ფილმი 2011 წელსაა გადაღებული. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში სკოლა და განათლების სისტემა გაცილებით უფრო მეტად დაიხურა, ვიდრე რომელიმე სხვა ინსტიტუტი. მე თვითონაც ვასწავლი, ეს თემა მაინტერესებს, და მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია სკოლა. რომ არა ეს პროექტი, სკოლაში ვერ შევიდოდით.

ექვსი თვის მანძილზე დავდიოდით და ვითხოვდით უფლებას ამ პროექტზე სამუშაოდ. სინამდვილეში, უცხოელი მასწავლებელი იყო ხერხი და საშუალება, რათა სოფლის სკოლაში შევსულიყავით. ვერც ერთ სკოლაში ვერ შეხვიდოდით, თუ პირადად მინისტრის ნებართვა არ გექნებოდა. საბოლოოდ, ბევრად უფრო გაგვიადვილდა პრეზიდენტზე და მინისტრზე გასვლა, ვიდრე რესურსცენტრებზე. დაგვეხმარა ვანოს მამა (გია არსენიშვილი), რომელმაც აუხსნა შაშკინს, რომ ჩვენ ჟურნალისტები არ ვიყავით, სამი-ხუთი წელი ვიღებდით თითო ფილმს, ეს ტელევიზიით არ გავიდოდა და რალაცნაირად დაარწმუნა მინისტრი, მოეცათ ჩვენთვის სკოლაში შესვლის უფლება. ამის მერე ყველა კარი გაიხსნა და ყველასთვის უცებ გავხდით მისაღები, მაშინ როდესაც წინა ექვსი თვე რესურსცენტრის ეზოშიც კი ვერ შევიდოდით. როცა გადაღებები დაიწყო, ვერც ხვდებოდნენ კარგად, რას ვაკეთებდით. გავიდა ერთი კვირა, ორი კვირა, ტელევიზორში

არაფერი გვიჩვენებია, სამსახურიდან არავინ მოუხსნიათ და დამშვიდნენ – ალარ ეშინოდათ ჩვენი.

რა ნიშნით აარჩიეთ ეს ბიჭი? რატომ გააჰყვით მანცდამანც მას?

ნინო ორჯონიკიძე – დავიწყეთ ინგლისურის მასწავლებლების ტრენინგ ცენტრიდან, მასწავლებლები პარტიულად ჩამოდიოდნენ, ვხვდებოდით, ვესაუბრებოდით, ვწერდით ინტერვიუებს. ხუთი მასწავლებელი შევარჩიეთ და ხუთივეს ვიღებდით, მაგრამ ძირითადად გავყევით ერთს.

ბრედლი ნელსონი ცოტათი გულუბრყვილო მომეჩვენა, ვკითხე, რატომ აირჩია საქართველო. აღმოჩნდა, რომ სამხრეთ აფრიკის პროვინციიდან 23 წლის ასაკში ის პირველად გავიდა საზღვარგარეთ და საქართველო იყო პირველი უცხო ქვეყანა მისთვის. მითხრა, პარიზში ყოველთვის წავალ, ასეთი შანსი, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი, მერე ალარ მომეცემოდაო. ის ძალიან გულანთებული იყო და ეგონა, რომ დიდი პოლიტიკური ცვლილებების მონაწილე გახდებოდა. მაგრამ მთავარი და გადაამწყვეტი იყო არა ეს ბიჭი, არამედ საჯიჯაოს სკოლის დირექტორი. ჩვენ გვირეგებდნენ სიებს, სადაც ეწერა, რომელი ქვეყნიდანაა მასწავლებელი, რომელ სოფელში მიდის და ვინაა სკოლის დირექტორი. რომ წავიკითხეთ – ბრედლი ნელსონი, სამხრეთ აფრიკა, საჯიჯაო, ხობის რაიონი და სკოლის დირექტორი – ელშუქი ტყეებუჩავა, მომეჩვენა, რომ ეს იყო ძალიან საინტერესო კომბინაცია. მომეჩვენა, რომ ბატონი ელშუქი ძალიან საინტერესო გამოცდილების მქონე ადამიანი უნდა ყოფილიყო.

რამდენად ტიპურია ის, რაც საჯიჯაოს სკოლაში ხდება?

ნინო ორჯონიკიძე – ნამდვილად ტიპურია. ვებ სივრცეში განთავსებული გვაქვს პროექტი, შეგიძლიათ აირჩიოთ გმირი და გაჰყვით ნებისმიერ მასწავლებელს, იმ ეპიზოდებიდანაც ნახავთ, რომ ძალიან ტიპურია. თუმცა, მე არ ვთვლი, რომ ბრედლი დამარცხებული გამოდის ამ მოგზაურობიდან. თავად ამბობს, ამ გამოცდილებაზე მისი ცხოვრება შეცვალა. თუმცა, ბრედლი იმას არ გულისხმობს, რაც პოლიტიკურად იყო დაგეგმილი. ადამიანურად და პროფესიულად ეს მისთვის დიდი გამოცდილება იყო. ჩვენ მეცნიერულ კვლევას არ ვატარებდით და მეცნიერულ დასკვნას ვერ დავდებთ – ზოგი მასწავლებელი მიიჩნევდა, რომ მისი მისია ძალიან წარმატებულია, ზოგი ფიქრობდა, რომ – არა.

■ **ექვსი თვის მანძილზე დავდიოდით და ვითხოვდით უფლებას ამ პროექტზე სამუშაოდ. სინამდვილეში, უცხოელი მასწავლებელი იყო ხერხი და საშუალება, რათა სოფლის სკოლაში შევსულიყავით. ვერც ერთ სკოლაში ვერ შეხვიდოდით, თუ პირადად მინისტრის ნებართვა არ გექნებოდა. საბოლოოდ, ბევრად უფრო გაგვიადვილდა პრეზიდენტზე და მინისტრზე გასვლა, ვიდრე რესურსცენტრებზე.**

■ მე არ ვთვლი, რომ ბრედლი დამარცხებული გამოდის ამ მოგზაურობიდან. თავად ამბობს, ამ გამოცდილებამ მისი ცხოვრება შეცვალა. თუმცა ბრედლი იმას არ გულისხმობს, რაც პოლიტიკურად იყო დაგეგმილი. ადამიანურად და პროფესიულად ეს მისთვის დიდი გამოცდილება იყო.

ვანო არსენიშვილი – ჩვენი პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, რაში სჭირდებათ ბავშვებს ინგლისურის მასწავლებელი, როცა არა აქვთ წიგნები და რვეულები და რატომ ხარჯავენ ამხელა ფულს იმაში, რომ უცხოელი მასწავლებლები ჩამოიყვანონ. სკოლას რომ დღეს სხვანაირი დახმარება სჭირდება, ეს აშკარად დაინახეს უცხოელებმაც. ყველას, ვისაც ჩვენ ვესაუბრეთ, ერთნაირი შეგრძნება ჰქონდათ – რომ ისინი რაღაც მხრივ არასწორად ადგილას მოხვდნენ. ის კამპანია, რომლის შემდეგაც მათ საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტეს, რაღაც მხრივ, არასწორად იყო დაგეგმილი.

როგორც ვიცი, ეს „ინგლისურის მასწავლებელი“ სხვა ფესტივალზეც გიჩვენებიათ, მაგრამ ეს ფილმის პირველი გამარჯვებაა...

ნინო ორჯონიკიძე – ეს ფილმი ვაჩვენეთ თბილისის და ბათუმის კინოფესტივალზე. ჩვენ მაინც გვგონია, რომ ამ ფილმის ძირითადი სამიზნე ჯგუფი მაინც ქართული აუდიტორიაა. არ ვიცი, რამდენად მოვახერხეთ, რომ საერთაშორისო აუდიტორიაზე გავსულიყავით, ქართველი მაყურებელი ინტერესით შეხვდა ფილმს. თუმცა ამ ფესტივალზე გამარჯვება, ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, გვეგონა, რომ „ინგლისურის მასწავლებელი“ წარსულს ჩაჰბარდა. საინტერესო იყო, რომ ფილმის ჩვენების შემდეგ დარბაზი აქტიურობდა, მაყურებლები სვამდნენ შეკითხვებს, პატარ-პატარა დეტალებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ფულადი პრემიაც მოგვცეს 2000 ლარი და გვინდა, ეს ფული საჯიჯაოს სკოლაში ჩავიტანოთ და რაღაც გავუკეთოთ ამ ბავშვებს.

რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ფესტივალური პრემია? რას მატებს დოკუმენტურ კინოს და ხელოვანს?

ნინო ორჯონიკიძე – შეიძლება, მე სუბიექტური ვარ, რადგან ეს მაინც ჩემი პროფესიაა, მაგრამ ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. აუდიტორიის აქტიურობამაც დამარწმუნა, რომ ინტერესი ძალიან დიდია. შესვლა უფასო იყო, შეიძლება ესეც იყოს ამ აქტიურობის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ დარბაზები სავსე იყო. არადა ფართო მაყურებელი ჩვენთან არ არის მიჩვეული დოკუმენტური ფილმის დიდ დარბაზში ყურებას. განსაკუთრებით, ახალგაზრდები უფრო სხვა რიტმს არიან შეჩვეულები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის ვორქშოპები და ვერბალური პრეზენტაციის ფორუმები,

ე.წ. „ფიჩინგები“, რომლებიც ფესტივალების ფარგლებში იმართება. თუმცა ეს პირველი არ ყოფილა – „საკდოკს“ და „კავკადოკს“ აქვთ დიდი პროექტი და თბილისის კინოფესტივალზეც უკვე 5 წელია ტარდება ფიჩინგები, რაც ახალგაზრდებს აძლევთ საშუალებას, საერთაშორისო რედაქტორების წინაშე წარდგინონ, გაყიდონ თავისი პროექტები და მოიზიდონ ფონდები, იმიტომ, რომ ფული საქართველოში დოკუმენტური კინოსთვის არ არის.

სად შოულობთ თქვენ ფულს თქვენი ფილმებისთვის? ვიცი, რომ აფინანსებს კინოცენტრი, ალბათ ტელევიზიებიც...

ნინო ორჯონიკიძე – ტელევიზიებში ამ კუთხით ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ვერა და ვერ განვითარდა ეს მიმართულება. თავიდან ეს პროექტი „PIIK“-თან ერთად დაგინიჭეთ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „PIIK“-ს ჰყავდა ბრიტანელი პროდიუსერები და ბრიტანეთში დოკუმენტური კინოს დიდი ტრადიცია არსებობს. ნაწილი თანხისა გადაგვიხადეს, მაგრამ სანამ ჩვენ ფილმი დავასრულეთ, ბრიტანელი პროდიუსერები შინ გაუშვეს. როცა ფილმი მივიტანეთ, ახალმა დირექტორმა, ალექო ფარულავამ გვითხრა, რომ ფული აღარ ჰქონდათ. ეს იყო უარის ოფიციალური მიზეზი, თუმცა, ვფიქრობ, მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ფილმი მაინც მაინც არ შეესაბამებოდა მეინსტრიმ პოლიტიკის წარმოდგენას ამ პროექტის – უცხოელი ინგლისურის მასწავლებლების შესახებ.

ზოგადად, ჩვენთან დოკუმენტური კინოს აღქმა არის ან როგორც საგანმანათლებლო, ან პროპაგანდისტული. ე.წ. საავტორო დოკუმენტური კინოს ტრადიცია მაინცდამაინც არ არსებობს, თუმცა შარშან კინოცენტრის დაფინანსებით დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებში უკვე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს ტელევიზია აჩვენებდა.

ვანო არსენიშვილი – მთავარი პრობლემა ისაა, რომ ტელევიზიებს არ უნდათ გაიგონ, რა ჯდება თანამედროვე დოკუმენტური საავტორო კინო. რასაც შემოგთავაზებენ, რეალურად ის არასოდეს გეყოფა ფილმის გადასაღებად და უნდა ეძებო დაფინანსების სხვა წყაროები. მე მგონი ისიც პრობლემაა, რომ მათ არა აქვთ გამოყოფილი ცალკე თანხა და საეთერო დრო დოკუმენტური კინოსთვის.

როგორ ფიქრობთ, რატომაა ასეთი დამოკიდებულება საავტორო დოკუმენტური კინოს მიმართ?

ნინო ორჯონიკიძე – როცა კი გაჩნდა სურვილი, რომ საავტორო დოკუმენტური კინო გამხდარიყო პრიორიტეტი, აღმოჩნდა, რომ ეს მინცდამინც კონტროლირებადი სფერო არ იყო, მით უმეტეს, თუ სხვადასხვა პატარ-პატარა სტუდიებს მისცემ ამის გაკეთების საშუალებას, რომლებიც პარალელურად თანხებს სხვაგან მოიძიებენ. დღეს ამ კუთხით განათლების მიღების შესაძლებლობა და ინფორმაცია უფრო მეტია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სფერო დღემდე არ განვითარდა.

არის რამდენიმე ნამდვილად გახმაურებული და წარმატებული ქართული დოკუმენტური ფილმი... რომლებიც, კინოცენტრის გარდა, ასევე უცხოური კოპროდუქციაა. ყველა წარმატებული ფილმი ან თანადაფინანსებით არის გადაღებული, ან რაღაც წვლილი აქვთ უცხოურ ფონდებს და კომპანიებს, ან რეჟისორები მოდიან იმ წარმოდგენით და ცოდნით დოკუმენტურ კინოზე, როგორც არის დასავლეთში.

რამდენადაა დღეს საქართველოში შესაძლებელი განათლების მიღება კინო დოკუმენტალისტიკაში?

ნინო ორჯონიკიძე – დღეს მთელ მსოფლიოში საავტორო დოკუმენტური კინოს აფეთქებაა, ძალიან ხელმისაწვდომი გახდა აპარატურა – კარგი მაგალითები გვაქვს, როცა მობილურით გადაღებული ფილმი, შეიძლება არა მხოლოდ ინფორმაციულად იყოს საინტერესო, არამედ, ძალიან მაღალი მხატვრული ღირებულებაც კი ჰქონდეს. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ დოკუმენტური კინოს გადასაღებად სამეტაპიანი განათლება უნდა გქონდეს გავლილი, დღეს აღარ არის ადეკვატური. ახალგაზრდები მობილური ტექნიკით საინტერესო ფილმებს ქმნიან.

ახლა დოკუმენტურ კინოში არის მიმართულება, ტრანსმედია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული ნარატივით კი არ უნდა მოყვე დოკუმენტური ფილმი, არამედ პატარ-პატარა ვიდეოებისგან ააწყო ვებპროექტი.

საქართველოში არის რამდენიმე პლატფორმა, რომლებიც ატარებენ ვორკშოფებს, ფესტივალის ფარგლებშიც არის “დოკსტორის”, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე ტარდება, ტრენერები უცხოელი და ქართველი დოკუმენტალისტები არიან. ასევე კავკასიონს აქვს ვორკშოფები, რომლებიც ერთი წლის მანძილზე გრძელდება, ეხმარებიან დოკუმენტალისტებს განავითარონ თავიანთი პროექტები.

ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, 10 დოკუმენტალისტი, რომელსაც იცნობს საერთა-

შორისო აუდიტორია, უკვე დიდი მიღწევაა. დღეს ძალიან პატარა ბიუჯეტით საინტერესო პროექტების კეთება შეიძლება და ამისთვის უმაღლესი განათლება ერთადერთი წინაპირობა არ არის. უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური გადანყვეტილების მიღება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოხდეს დოკუმენტური ფილმების თანადაფინანსება და შექმნილი პროდუქციის გარეთ გატანა.

ჯიპაში, ჟურნალისტიკის მაგისტრატურაში გვაქვს დოკუმენტური კინოს ერთი სემესტრი. ნაწილს მე ვასწავლი, ნაწილს – თიკო ნაჭყებია. ისიც დოკუმენტალისტიკა. კურსის ბოლოს ფესტივალს ვატარებთ, სადაც ვინვეთ კინოცენტრს, ტელევიზიებს, დოკუმენტალისტებს, ვმართავთ ვერბალურ პრეზენტაციებს, სტუდენტები წარუდგენენ თავის იდეებს და უკვე მეორე წელია „აირექსი“ აფინანსებს რამდენიმე პროექტს. სტუდენტები ძალიან საინტერესო ფილმებს იღებენ.

ვანო არსენიშვილი – როგორც ვიცი, კინოცენტრს იგივე დაფინანსება აქვს, რაც შარშან ჰქონდა, არც გაზრდილა და არც შემცირებულია. წელიწადში 3-4 დოკუმენტურ ფილმს აფინანსებს. რაც შეეხება ტელევიზიებს, ისინი უფრო მეტად უნდა იყვნენ თანადაფინანსებლები, ტელევიზიები ფილმის ერთ გაშვებაზე 200 ლარს იხდიან. გვირჩევნია ჩვენს ვებგვერდზე დავდოთ ფილმი, ვიდრე ტელევიზიამ 200 ლარად გაუშვას. რეალურად, პროფესიულ დონეზე რომ არსებობდეს დარგი, ამისთვის აუცილებელია, იყოს ფინანსური საფუძველიც. ფაქტობრივად, ჩვენ, ვინც დოკუმენტურ კინოში ვმუშაობთ, საარსებოდ სხვა რალაცების კეთება გვინევს.

ხედვის პრობლემაც არის?

ნინო ორჯონიკიძე – რაღაც თვალსაზრისით ეს პრობლემაც დგას. ჩვენთან, ტელევიზიებში, თვლიან რომ დოკუმენტური კინო მხოლოდ ტრადიციული დრამატურგიით აწყობილი საგანანმანათლებლო ფილმია, ან პროპაგანდისტული პროდუქცია. მაგალითი რომ მოვიტანოთ, მათთვის „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ არის დოკუმენტური კინო. ვთქვათ, როცა ერთი კადრია 20 წუთი და იმ კადრში ვითარდება ამბავი, გეტყვიან, რომ ეს დოკუმენტური კინო არ არის. ტელევიზიებს აუცილებლად სჭირდებათ რედაქტორი, რომელიც შექმნის ამ მიმართულებას. **■**

■ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის 10 დოკუმენტალისტი, რომელსაც იცნობს საერთაშორისო აუდიტორია, უკვე დიდი მიღწევაა. დღეს ძალიან პატარა ბიუჯეტით საინტერესო პროექტების კეთება შეიძლება და ამისთვის უმაღლესი განათლება ერთადერთი წინაპირობა არ არის. უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური გადანყვეტილების მიღება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოხდეს დოკუმენტური ფილმების თანადაფინანსება და შექმნილი პროდუქციის გარეთ გატანა.

ესაუბრა ნინო ბუქიშვილი



სსოვხება ჯონფინიასის ზონაში - "ეს ჩემი სოფელია!"

ავტორი: გიორგი ჭეიშვილი, ფოტო: სოფო აფციაური



საზღვრისპირა სოფლებში ხალხი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს ცხოვრებას. სამართალდამცველები მუდმივად აკონტროლებენ ტერიტორიას.

შემოდგომაა და ე.წ. ცხინვალის რეგიონის მოსაზღვრე სოფლებში მოსავალს აბინავებენ და ზამთრისთვის ემზადებიან. საზღვარზე ცხოვრება რთულია, თუმცა „საზოგადო გასაჭირის“ – მავთულხლართებისა და მოძრავი საზღვრის გარდა, ადგილობრივები სხვა კონკრეტულ პრობლემებსაც უხვად აწყდებიან. ამის მიუხედავად, სოფლების დატოვებაზე, ახალგაზრდების გარდა არავინ ფიქრობს.

„სოფლის შესასვლელში ჩვენი ეკიპაჟი დაგვდებოდა, თქვენივე უსაფრთხოებისთვისაა საჭირო“, – საგუშაგოზე რამდენიმე წუთიანი ლოდინის შემდეგ სამართალდამცავი გზის გაგრძელების საშუალებას გვაძლევს. გორის რაიონის სოფელ კარბიდან ზარდიანთკარის მიმართულებით მივდივართ.

გზაზე შემხვედრი სატვირთო მანქანები ვაშლითაა სავსე, სხვადასხვა სოფლის შარაზე საქმიანად მოსიარულე ადგილობრივებსაც ბალებიდან ვაშლით დატვირთული სათლები გამოაქვთ, ან პირიქით – ცარიელები შეაქვთ ასავსებად, ალაგ-ალაგ შემხვედრი „ტრანგალექებიც“ ვაშლებითაა სავსე; მოკლედ, ყველგან ვაშლია, ხეზეც, ხის ყუთებშიც, სათლებშიც, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ფურგუნის „ტორპედოზეც.“

„ყუთებს, რომლებიც 20-30 კილო ვაშლს იტევს, 1.25 ლარად იბარებენ. სოფლებში „კამაზი“ დადის და ის აგროვებს, მერე ტყეიაში, წვენი ქარხანაში აბარებენ. ისეთი სასაცილო ფასია, ამის გამო ვაშლის ხიდან ჩამოკრეფა კი არა, ძირს ჩამოყრილი ხილის შეგროვებაც არ ღირს“, – გვიხსნიდა საგუშაგოს პოლიციელი.

სოფლის შესასვლელში პოლიციის ეკიპაჟი გვხვდება და თან მოგვყვება. ზარდიანთკარში მეორედ ვართ, სოფელი ისევ ორ საგუშაგოს შორისაა მოქცეული, თუმცა თითქმის ერთი წლის შემდეგ აღარც ჩუმი ეთქმის და აღარც ადგილობრივების პოვნაა რთული. შემოდგომაა და ზარდიანთკარელებიც მოსავალს აბინავებენ – ბალებში ფუსფუსებენ და ზამთრისთვის ემზადებიან.

ზარდიანთკარი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საზღვრისპირა სოფელია და აქ ეთნიკურად ქართველი და ოსი მოსახლეობა



შენობების დემონტაჟის შემდეგ დარჩენილი ვარგისი საშენი მასალა იქვე ქუჩაშია შეგროვებული.

ცხოვრობს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფელი მოსახლეობისგან თითქმის დაიცალა. ომის შემდეგ ზარდიაანთკარს, ოფიციალურად, ქართული მხარე აკონტროლებდა, თუმცა ადგილობრივები შინ დაბრუნებას იმ დრომდე ვერ ახერხებდნენ, ვიდრე სოფლის ბოლოს ქართული საგუშაგო არ განთავსდა.

„ერთი წელი იქნება, რაც აქ ვართ და სიტუაცია შედარებით დამშვიდდა. ჩვენი საგუშაგოს ზემოთ რუსებს აქვთ პოსტი, ამ ტერიტორიის მაღლა აღარ აგვიშვებს. ქართულ და რუსულ საგუშაგოებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე სამი ოსური ოჯახი სახლობს“, – გვიხსნის პოლიციელი.

სოფელი 30-კომლიანია, აქაურთა ნაწილს სხვაგანაც აქვს სახლები, 10 ოჯახი კი სტაბილურად ზარდიაანთკარშია.

ამ ოჯახებიდან ერთ-ერთში ნიკოლოზ თაზიაშვილი 3 ძმასთან ერთად ცხოვრობს – „სამი ძმა სახლის ერთ ნაწილში ვართ, მეოთხე დოჯახებულია და 5 შვილთან ერთად მეორე ნაწილს იკავებს“, – ამბობს მასპინძელი, რომელმაც საპენსიო ასაკს წელს მიაღწია, სოციალური დახმარება მოხსნილი აქვს, თავი კი ბაღში მონეული მოსავლითა და ერთი ძროხით გააქვს.

ერთი წლის წინ თაზიაშვილებს სახლის კარამდე მიღწევა დანგრეული კიბისგან მორჩენილი რელსითა და აივნის რიკულეზე მოჭიდებით უხდებოდათ, დღეს კი მეგობრის ნაჩუქარი საფეხურნაკლული და კიდეჩამოშლილი კიბით სარგებლობენ. შარშანდელი ვითარებისგან განმსახვავებელი კიდევ რამდენიმე ნიშანი – მოვლილი ეზო, აივნის ბოძებზე გაკრული ქარისაგან დამცავი ტენტი და აქა-იქ გაშლილი კაკალი, ლობიო და სიმინდია; რთული წარმოსადგენი იყო, რომ ადამიანები აქ საცხოვრებლად დაბრუნდებოდნენ.

თამაზაშვილების მეზობლად (სოფელი იმდენად პატარაა, რომ თითოეული ადგილობრივი თავისუფლად შეიძლება ერთმანეთის მეზობლად ჩავთვალოთ) ეთნიკურად ოსი ცოლ-ქმარი: ტრისტან ბესტაევი და ლუდა დოგუზოვა ცხოვრობენ.

ოჯახის უფროსი ვაზს კრეფს, თუმცა საუბრისთვის მალევე იცლის და გვიყვება, თუ როგორი რთულია კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფელში ცხოვრება, როგორ წვალობს, როდესაც ბაღში მოყვანილი ვაშლის, ყურძნისა, თუ პომიდვრის გასაყიდად „იქით“ წაღება, ტრანსპორტის გარეშე უწევს. „იქით“ რუსი სა-

მხედროების მიერ კონტროლირებადი ზონა და ცხინვალია, ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილება კი დღეში მხოლოდ ორჯერ, ორსაათიან ინტერვალებშია შესაძლებელია.

„ქართული პასპორტი არ გვაქვს, ოსური საბუთებით ვსარგებლობთ. კვირაში მხოლოდ 4-ჯერ გიშვებენ ცხინვალში. იქით გადასვლა დილის 9-დან 11 საათამდე შეგიძლია, უკან კი 14-დან 16 საათამდე თუ არ დაბრუნდი, გამშვებებ პუნქტთან არც ადრე და, მითუმეტეს, არც გვიან მისულს აღარ გაგატარებენ. რუს სამხედროებს რალაც სია აქვთ შედგენილი და იქ თუ არ ხარ ჩანერილი, აქეთ-იქით ვერ ივლი. ჩემი შვილი სოფელ დმენისშია გათხოვილი და ჩვენს სანახავად ვერ ჩამოდის – სიაში ვერ მოხვდა“, – გვიხსნის ტრისტან ბესტაევი, ამ დროს კი სახლიდან მისი მეუღლე გამოდის და საუბარში ერთვება – „ცოტა მარტივად თქვი კაცო, ცხეში ხარ, ცხეში! ვითომ არა ხარ, მაგრამ ხარ!“.

ტრისტანსა და მის მეუღლეს ზარდიანთკარის დატოვება პირველად 90-იანი წლების კონფლიქტისას მოუხდათ. 1997 წელს, უკან დაბრუნებულებს, სახლი განადგურებული დახვდათ. ამ დროიდან მოყოლებული ცხოვრება თავიდან დაიწყო, მცირე მეურნეობაც შექმნეს, თუმცა 2008 წლის ომის გამო ოჯახს ისევ ცხინვალში წასვლა მოუწია: „ომის დასაწყისმა ჩვენს თვალწინ ჩაიარა, ეს ნამდვილი წამება იყო, ჩვენ შორის ოსისა და ქართველის გარჩევა არც ადრე ყოფილა და არც ახლაა, უბრალოდ ვიღაცას ასე აწყობდა და ცხოვრება დაგვიწერია“, – ამბობს ლუდა დოგუზოვა.

ოჯახი ზარდიანთკარში 2008 წლის აგვისტოს ბოლოს დაბრუნდა, როგორც ამბობენ, გარკვეული პერიოდი სოფელში სულ 3-4 ოჯახი სახლობდა.

დღეისათვის ზარდიანთკარში სულ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობს, ეთნიკურად ოსი 4 ოჯახი კი პოსტის ზედა მხარეს – ქართულ და რუსულ საგუშაგოებს შორისაა მოქცეული. მათგან ერთ-ერთი ტრისტან ბესტაევის ძმაა, თუმცა ძმებს სახლებს შორის განთავსებული საგუშაგო ურთიერთობაში ხელს არ უშლის.

მასპინძლები ამბობენ, რომ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფელში ცხოვრება რთულია, მატერიალური პრობლემების გარდა კი სამედიცინო დაწესებულებების არარსებობაც აწუხებთ – „ექიმთან წასვლა თუ დაგვჭირდა, „იქით“ გადავდივართ, როგორც გითხარი, ქართული საბუთები არ გვაქვს. შეგვპირდნენ გაგიკეთებთო, მაგრამ ქართული პასპორტი რომ ავიღოთ, შეიძლება შვილის სანახავად საერთოდ აღარ

გადაგვიშან, ასე თუ მოხდა, აქაურობის დატოვება მოგვინევს. არ ვიცი, რა იქნება მომავალში, ძნელია სახლისა და მამულის მიტოვება, თუმცა, სახლს ყველგან ააშენებ, ცხოვრება და შვილები კი ადამიანს ერთხელ გეძლევა და რად მინდა ან სახლი, ან სიცოცხლე, თუკი ჩემს შვილს ვეღარ ვნახავ?!“

სოფლის ბოლოს ქართული საგუშაგოს განთავსების შემდეგ, ზარდიანთკარში დაბრუნებული კიდევ ერთი ოჯახის დიასახლისი ეზოში საქმიანობს. ცივინო ელიკაშვილი მეუღლესთან ერთად გორიდან სახლში შარშან დაბრუნდა, თუმცა ხანძრისა და 4-5 წლის მანძილზე უპატრონობით დაზიანებული სახლის აღდგენა დახმარების გარეშე უჭირთ.

გასულ წელს ცივინო ელიკაშვილსა და მის მეუღლეს იმ დროს შეეხვდით, როდესაც ეზოში ჭას თხრიდნენ. მატერიალურად მაშინაც უჭირდათ, რის გამოც შვილების დატოვება გორში მოუხდათ. მასპინძელი ამბობს, რომ დღეს მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო ეზოში მონეული მოსავალი და სოციალური დახმარებაა, თუმცა ოთხსულიანი ოჯახისთვის ეს ძალიან ცოტაა.

„ეკონომიკურად ძალიან უჭირს ხალხს, რთულია მთავრობის დახმარების გარეშე აქ რამის მიღწევა. სოფელში სამსახური საერთოდ არავის აქვს, თუმცა, მადლობა ღმერთს, დავბრუნდით და სახლებში გაჩერება საშიში აღარაა. 13-14 წლის ქალ-ვაჟი მყავს, ამ წლის დასაწყისში გორიდან ჩვენთან გადმოვიყვანეთ, მერეთის საჯარო სკოლაში დადიან, მაგრამ აქაც პრობლემაა – ტრანსპორტი არ მოძრაობს, რის გამოც ბავშვებს 4 კილომეტრზე წინ და უკან სიარული ფეხით უწევთ. ახლა კიდევ არაუშა-

■ ტრისტანსა და მის მეუღლეს ზარდიანთკარის დატოვება, პირველად, 90-იანი წლების კონფლიქტისას მოუხდათ. 1997 წელს, უკან დაბრუნებულებს, სახლი განადგურებული დახვდათ. ამ დროიდან მოყოლებული ცხოვრება თავიდან დაიწყო, მცირე მეურნეობაც შექმნეს, თუმცა 2008 წლის ომის გამო ოჯახს ისევ ცხინვალში წასვლა მოუხდა: „ომის დასაწყისმა ჩვენ თვალწინ ჩაიარა, ეს ნამდვილი წამება იყო, ჩვენ შორის ოსისა და ქართველის გარჩევა არც ადრე ყოფილა და არც ახლაა, უბრალოდ ვიღაცას ასე აწყობდა და ცხოვრება დაგვიწერია“, – ამბობს ლუდა დოგუზოვა.



ზარდიანთკარში ნიკოლოზ თაზიაშვილი სამ ძმესთან ერთად ცხოვრობს. თავი ბაღში მონეული მოსავლით და ერთი ძროხას გააქვთ.

ვს, მაგრამ ზამთარში?! მავთულხლართებს რომ აბამენ, ზოგჯერ მეშინია კიდეც, მაგრამ ჩვენი სამართალდამცავების იმედი მაქვს; არადა ჩვენ, ქართველებს და ოსებს ნათესაობა გვაკავშირებს, დაბალი ფენის ხალხს კი გასაყოფი საერთოდ არაფერი გვაქვს“, – გვემშვიდობება ციციწო ელიკაშვილი და გვთხოვს, რომ კიდეც ვესტუმროთ.

სოფლიდან მოვდივართ, ჩვენს შესახვედრად შეკრებილი ადგილობრივებიც ნელ-ნელა ასრულებენ საკუთარ გასაჭირსა და პოლიტიკაზე საუბარს და საქმეებს უბრუნდებიან. ზარდიაანთკარში ერთხელ მაინც თუ მოხვდით, მალევე დარწმუნდებით, რომ აქაურებისათვის ყურადღება მნიშვნელოვანია, დახმარება კი მათთვის, უბრალოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელია.

პოლიციის თანამშრომლები დიცისაკენ მიმავალ უმოკლეს გზას გვიჩვენებენ, იქაურ საგუშაგოს ჩვენ მარშრუტს ატყობინებენ და გვემშვიდობებიან.

სოფელ დიცის გარშემო ხმაური პირველად 2013 წლის მაისის ბოლოს ატყდა, მაშინ რუსმა სამხედროებმა ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გავლების სამუშაოები დაიწყეს. შემდეგ შეწყვიტეს, მერე ისევ განაახლეს და ეს სამუშაოები 17 სექტემბრამდე გაგრძელდა.

ილია ბერუაშვილი დედასთან ერთად სოფელში გამავალი ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე ასეულ მეტრში ცხოვრობს და ერთ-ერთი პირველია, ვინც დე-ფაქტო საზღვარზე მომხდარ ამბებს იგებს.

ბოძებზე დამაგრებულ რკინის ბადებთან ახლოს ცხოვრება კიდეც ერთი მიზეზია იმისა, რომ მას რუს სამხედროებთან ხშირად უწევს კამათი. იყო შემთხვევები, როცა „დაუპატიჟებელი სიტუმრების“ გაცრა საკუთარი ბალიდანაც მოუხდა.

ილია ბერუაშვილი ამბობს, რომ ერთ-ერთი ბოლო შელაპარაკებისას, როდესაც დე-ფაქტო რესპუბლიკის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსს სასაფლაომდე მისასვლელი სამანქანო გზის დატოვებას სთხოვდა, რობერტ გაზაევმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა ქართველი სამართალდამცავების ადგილზე მისვლის შემდეგ ეს ფაქტი უარყო, რაც მომხდარის შემსწრე რუსმა სამხედროებმაც დაუდასტურეს – „ძნელია, როცა ვიღაც მიწას გართმევს და თან შეურაცხყოფას გაყენებს. არ ვიცი რუსი სამხედროები რას აპირებენ. ერთი პერიოდი ისე ლობავდნენ, რომ ბაღებსა და სახლებს ჩვენს მხარეს ტოვებდნენ, მერე მიწაში ჩასობილი ბოძები ამოიღეს და წაიღეს“.



უამრავი სირთულის მიუხედავად, ილია ბერუაშვილს სოფლის დატოვებაზე არასდროს უფიქრია – „ეს ჩემი სოფელია, პაპაჩემის ნაყი-დია ეს მიწა-წყალი, აქ გავიზარდე, მამა აქ და-ვკრძალე, ჩემი ახალგაზრდობა, რაც ვისწავლე, რაც ვიმეცადე, აი აქ ჩანს, აქ დევს ყველაფერი. სხვაგან მე რა მაქვს? სად უნდა წავიდე?! როგორია ჩემი ცხოვრება? ალბათ ჩვეულებრივი, შევეგუეთ ამ სიტუაციას. მართალია ოკუპან-

■ **დღეისათვის ზარდია-ანთკარში სულ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობს, ეთნიკურად ოსი 4 ოჯახი კი პოსტის ზედა მხარეს - ქართულ და რუსულ საგუშაგოებს შორისაა მოქცეული. მათგან ერთ-ერთი ტრისტან ბესტაევის ძმაა, თუმცა ძმებს სახლებს შორის განთავსებული საგუშაგო ურთიერთობაში ხელს არ უშლის.**



ტები ადრე ასე ახლოს არ იყვნენ, მაგრამ რაც დაეკაცდი, აქ სულ ომია“.

მომავალს იმედიანად უყურებს, ომის დროს დაზიანებულ კარ-მიდამოს უვლის და სურს, რომ მეურნეობა აღადგინოს, თუმცა დახმარებას საჭიროებს, რადგან ომის შემდეგ, როგორც სასმელი, ასევე მთელი სოფლისთვის საზიარო პრობლემად ქცეული სარწყავი წყლის არქონა ბევრ დაბრკოლებას უქმნის – „ცხოვრება ძნე-

ლია, ყველაფერი ახლიდანაა გასაკეთებელი, ძველ მასალას ვენვალები და ხან რას ვაკეთებ, ხან რას. ომის მერე სასმელი წყალი არ მქონია, „ბოჩკებით“ ვეზიდები და ამ წყალს ვიზოგავ. ჩემი მეზობელიც ძალიან წვალობს, მეტრანახევარი თოვლი იცის აქეთ და მოხუც კაცს სასმელი წყლისთვის კილომეტრზე უწევს წასვლა. აბანოსთვის კი არ ვთხოვლობთ წყალს? მხოლოდ დასალევად, რომ არ დავიხრჩოთ. ზო-

აკაკი კორაშვილმა საკუთარი სახლი თავისი ხელით დაანგრია. ახლა ცხრასულიანი ოჯახი ოროთახიან კოტეჯში ცხოვრობს.



ილია ბერუაშვილი დედასთან ერთად დიჯზე გამავალი ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე ასეულ მეტრში ცხოვრობს.

■ „ძნელია, როცა ვილაც მიწას გართმევს და თან შეურაცხყოფას გაყენებს. არ ვიცი რუსი სამხედროები რას აპირებენ. ერთი პერიოდი ისე ლობავდნენ, რომ ბაღებსა და სახლებს ჩვენს მხარეს ტოვებდნენ, მერე მიწაში ჩასობილი ბოძები ამოიღეს და წაიღეს“.

გვერ ისეც ხდება, რომ თოვლს ვადნობთ და იმას ვსვამთ“.

სოფელში შემოდგომა იგრძნობა. ერთ-ერთი სახლის წინ ხის დაჭრილი მორები აწყვია, შარაზე მიმავალ ერთ ადგილობრივს მხარზე ლუმელში დასანჯავად „განწირული“ ხის მსხვილი ტოტი აქვს შემოდებული, მეორე ლენის დასაწურად ემზადება და ხელში ვერმოსხელთებულ ჭურჭელს წვალბით „მიერეკება“. ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს სულაც არ ჰგავს „მდიდარი და ბედნიერი“ სოფლის ზამთრისთვის მზადებას. წყლის არქონა კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე დიჯში 2008 წლის შემდეგ გადაუჭრელ პრობლემადაა ქცეული, რის გამოც, თუკი „ადრე 100 ტონა ვაშლი იკრიფებოდა, ახლა ყველა ბაღი რომ შემოიარო შეიძლება 10 ტონაც ვერ მოაგროვო“.

ერთ-ერთ ოჯახს სოციალური დახმარება აქვს შეჩერებული, მეთორმეტეკლასელი გიორგის თანაკლასელი 15 მოსწავლიდან კი ყველას თბილისში წასვლა სურს, თუმცა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას მხოლოდ ნახევარი გეგმავს.

ბინდდება და დიციდან ქარელის რაიონის სოფელ დვანისკენ მიგდევართ. სოფლამდე

მისასვლელი გზა, რომელზეც ველოსიპედით მოსიარულეთა ბილიკები ყვითელი ხაზითაა გამოყოფილი, ახალდაგებულია – როგორც აქაურებმა გვითხრეს, საგზაო სამუშაოებისას აქ უძველესი სამარხები აღმოაჩინეს. ასფალტის საფარი ქართულ საგუმბაგოსთან წყდება, სოფლის შიდა გზა მტვრიანი და ქვალორღიანია, წყლის არხზე გადებული, ალაგ-ალაგ ჩაღუნული რკინის სქელი ფირფიტები კი იმ ხიდს ქმნის, რომელიც ზედ გადასვლისას საშინელ ხმას გამოსცემს.

ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან, იქ, სადაც მავთულხარეთები დვანსა და ოსურ სოფელ მუგუთს ჰყოფს, ახლა სამი სახლის ნანგრევებია. მთაზე რუსი სამხედროები დვანს და პერიმეტრს აკონტროლებენ – ხან ერთი ჯარისკაცი ჩანს, ხან - ორი. ერთ-ერთი ნასახლარის ეზოში ჭრელნაჭრებშებულ ნატვრის ხე დგას, კანტიკუნტად მოსავალია დარჩენილი – მიწაზე პატარა წითელი პომიდვრებია გართხმული, ხეებზე ალაგ-ალაგ ვაშლია შერჩენილი, იქვე კი უპატრონოდ დარჩენილი ქვევრია მიყუდებული.

მავთულხარეთების გვერდით მდებარე 3 სახლი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 21 სექტემბრის ღამეს დაწვეს, თითქმის

მთლიანადაა დაშლილი. შენობების დემონტაჟის შემდეგად დარჩენილი ვარგისი საშენი მასალა: „არმატურა“, შიფერი და ცემენტის „ბლოკები“ ოდნავ მოშორებით აწყვია, აქვეა დახვავებული ჯართის დიდი გროვა, აივნის ლითონის რიკულები, რკინის სკამები და მილები.

ეს იმ სამი სახლიდან მორჩენილი სამშენებლო მასალაა, რომელთა დაშლაც მეზობლად მცხოვრებ ოჯახებს საკუთარი ხელით მოუწიათ. სოციალურ დახმარებას მათგან მხოლოდ ერთი ოჯახი იღებს. მახაჭაშვილებსა და კორაშვილებს დახმარება შეჩერებული აქვთ. აკაკი კორაშვილი, რომლის 9-წევრიან ოჯახს მე-7 თვეა რაც დახმარება შეუჩერდა, ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი გორში სასწავლებლად წასული შვილიშვილის დაბრუნებაა – „გვითხრეს, ოჯახის წევრი რომ შემოგემატათ, ამის გამო საბუთების დალაგება საჭიროო“. მახაჭაშვილებს აინტერესებთ, მისცემს თუ არა სახელმწიფო ლტოლვილის სტატუსს, ასევე, ამბობენ, რომ სოციალური დახმარების მოხსნის მიზეზად ჯართის ჩაბარება ჩაუწერეს, აღდგენას კი დაჰპირდნენ და დაპირების რეალურობაში დასარწმუნებლად 20 ოქტომბერს ელოდებიან.

ამასთანავე, სამივე ოჯახი აღნიშნავს, რომ სამშენებლო მასალით „თბილისის განვითარების ფონდი“ დაეხმარათ.

მახაჭაშვილებს სახლის დაშლა მას მერე მოუწიათ, რაც გაიგეს, რომ მათი სახლი ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის იქით მოხვდებოდა და 38 წლის განმავლობაში ნალოლიავენ „კარ-მიდამოს მიწასთან გაასწორებდნენ“.

„ჩემი სახლი აღარც კი ჩანს, გაპარტახებული და გაუბედურებულია იქაურობა. ერთი ჰექტარი შემოღობილი ნაკვეთი, 15 ძირი კაკლის ხე, ვაზი, ტყე, ორი წყარო, საკალმახე, ცენტრალური გათბობა და 10 სათავსო; წარმოიდგინეთ, ჯერ ეს ყველაფერი დამინვეს, შემდეგ კი ჩვენი ხელით მოგვინია მთელი ცხოვრების ნანვალების დანგრევა – ეს ყველაზე დიდი საშინელებაა“, – ჰყვება გივი მახაჭაშვილი, რომელიც მეუღლესთან ერთად შვილის სახლში ცხოვრობს.

მახაჭაშვილები ამბობენ, რომ ახალმა დე-ფაქტო საზღვარმა მათი ვაჟიშვილის სახლის უკან, 2 მეტრში უნდა გაიაროს და შესაძლოა მათი ბაღიც მოიყოლოს, რაც ცუდ ამბავთან ერთად სახიფათოცაა, რადგან ამ სახლში მათი 4-5 წლის შვილიშვილებიც ცხოვრობენ, რძალი კი შიშისგან დიაბეტით დაავადდა.

„ჩემი მეუღლე ჩვენს ძველ სახლში ვერ ადიოდა, უნდოდა ისევ ის ძველი კარ-მიდამო დარჩე-

ნოდა მეხსიერებაში. სახლის დაშლის შემდეგაც რომ ჰკითხოთ, რომელი ფიცარი სად იდოო, ზუსტად გეტყვით. დანგრევის შემდეგ დღეს პირველად ავიყვანე და ცუდად გახდა. 5 წლის შვილიშვილიც არ იყო იქ ნამყოფი, გამუდმებით ესმოდა დამწვარ სახლზე საუბარი და ამასწინათ მასაც ვაჩვენებთ იქაურობა. „რად დაგვიწვეს ბაბო სახლი, ცუდებია ოსებიო?“ მეკითხება, რა ვუპასუხო?! არ არიან ბებო ცუდები-მეთქი ვეუბნები. არადა ოსებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ომამდე 1 წლით ადრე ჩვენი შვილის ქორწილში 50 ოსი გვყავდა სტუმრად“, – იხსენებს ანო მახაჭაშვილი.

„არსად წამსვლელი მე არ ვარ, თუ სახლს ავაშენებ, ისევ აქ. მე რომ წავიდე, მერე სხვა წავა და დაიცლება დვანი, არადა იცით რა საყვარელი სოფელია?! ახლა მოსავლის აღების პერიოდია, მაგრამ, რომ გაიგეს, სახლები უნდა დაიშალოსო, 20-30 კაცი მოდიოდა და მეხმარებოდა, თავიანთი საქმე დატოვებს და მე მეხმარებოდნენ. აი, სად უნდა წავიდე აქედან?! რა წამიყვანს! ჩემზე უარესი სხვას გადახდა, ზოგმა შვილები, სახლ-კარი, მამა-პაპური საფლავი დაკარგა. ეს ადამიანები ცოცხლობენ, ვიცხოვრებთ ჩვენც!“ , – გვემშვიდობება გივი მახაჭაშვილი.

მახაჭაშვილების სახლიდან ოდნავ მოშორებით, 2008 წლის შემდეგ აშენებულ ორ კოტეჯში აკაკი კორაშვილის 9-სულიანი ოჯახი ცხოვრობს. ოჯახში პენსიას ოთხი ადამიანი იღებს, მათ შორის აკაკი კორაშვილის 2 ვაჟია, რომლებიც 2008 წელს შეიარაღებულმა ოსებმა სცემეს და მას მერე ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ.

მასპინძელი იხსენებს, რომ მავთულხლართებთან მდებარე მათი სახლი ჯერ გაქურდეს,

■ „ეს ჩემი სოფელია, პაპაჩემის ნაყილია ეს მიწა-წყალი, აქ გავიზარდე, მამა აქ დავკრძალე, ჩემი ახალგაზრდობა, რაც ვისწავლე, რაც ვიშრომე, აი აქ ჩანს, აქ დევს ყველაფერი. სხვანაირად მე რა მაქვს? სად უნდა წავიდე?! როგორია ჩემი ცხოვრება? ალბათ ჩვეულებრივი, შევეგუეთ ამ სიტუაციას. მართალია, ოკუპანტები ადრე ასე ახლოს არ იყვნენ, მაგრამ რაც დავკაცი, აქ სულ ომია“.

შემოდგომა და ზარდიანთკარელებიც მოსავალს აბინავებენ – ბაღებში ფუსფუსებენ და ზამთრისთვის ემზადებიან.



შემდეგ დანვეს, სულ ცოტა ხნის წინ კი რუსმა სამხედროებმა გააფრთხილეს, „აქ აღარ დაგინახოთ, წაიღეთ რისი წაღებაც გინდათ, თორემ მინაში ავურ-დავურევთ ყველაფერსო“.

„გავკაფეთ ვენახი, კაკალი, ვაშლი... ამ კოტეჯებში ვერ ვეტყვი, ზაფხულობით იმ სახლში ავდიოდით და ვრჩებოდით, რომელიც დაგვანგრევენ, ბეტონისგან აშენებული ოთახები გვქონდა და ისინი არ დაინვა. 6 ვენახი მაქვს, სულ 3 ჰექტარი, ჰექტრის 30 მეასედი მინდორში გვაქვს და შიგნით ვეღარ შევდივართ, გვეშინია. აქ პომიდორი და ყურძენი მოგვყავს, თუმცა არაფერში გვყოფნის. შეგვპირდნენ სოციალურ დახმარებას ალგიდგენტო, მაგრამ ჯერ არ ვიცით რა იქნება“, – ამბობს აკაკი კორაშვილი.

მესამე ოჯახი, რომელსაც კორაშვილების მსგავსად საკუთარი სახლის დანგრევა მოუხდა, ომის შემდეგ აშენებულ კოტეჯებში ცხოვრობს. მერაბ მეკარიშვილი მეუღლესთან, შვილებთან და მშობლებთან ერთად მავთულხლართების გვერდით მდებარე პირველივე სახლში ცხოვრობდა.

ოჯახში იხსენებენ, რომ ომამდეც „იქ სულ სროლები იყო, ოსი სამხედროები გვერდით იდგნენ და თუ პატარა პურს და საჭმელს არ მიანვდიდი, ბავშვებს რომ არ დაეძინათ მთელი ღამე ისვროდნენ. ოსებს შტაბი ჩვენი სახლის გვერდით ჰქონდათ, ბედის ანაბარა ვცხოვრობდით. ამ გაჭირვების მოუხდავად, 2008 წლის 21 სექტემბრის ღამეს დამწვარ სახლში 2 ოთახი აღვადგინეთ, თუმცა, მას შემდეგ რაც ოსებმა შეგვატყობინეს, საზღვარი 50 მეტრით გადმოედის და გაიტანეთ რასაც გაიტანთო, ჩვენი სახლი ჩვენივე ხელით დავშალეთ, საშინელი გრძნობაა, თუმცა ოსი, ან რუსი რომ დაანგრევდა, ამაზე უფრო გვეტკინებოდა გული“.

მოუხდავად იმისა, რომ თითქმის ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაკარგა, ოჯახის უფროსი, მერაბ მეკარიშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ჩვენ იარაღი კი არ გვაქვს მოშვერილი?! უღელი გვადგას მხრებზე და ამის მოშორება გვინდა, მთავრობის დახმარების გარეშე ამას ვერ შევძლებთ. მხოლოდ ჩემზე არ ვლაპარაკობთ, ეს მთელი სოფლის გასაჭირია. არავის არ უნდა აქედან წასვლა. თუ ეს უღელი უკიდურესად არ მოგვიჭერს, აქედან არავინ წავა, იმიტომ, რომ ამ უბედურებას მივეჩვიეთ. აი ახლაც, სახლის აშენებაზე რომ ვფიქრობ, ისევ სოფლის ბოლოსკენ მიმინევს გული, სხვანაირი სიყვარული გვაქვს ალბათ აქაურობისა“.

ღამდება და 21 საათისთვის სოფელი თითქ-

მის მთლიანად ჩაბნელებულია. ერთადერთი, რაც სინათლეს გამოსცემს, ალაგ-ალაგ, სახლებში ანთებული ნათურები, კანტი-კუნტად მოძრავი მანქანები და ბავშვების ველოსიპედის „დინამოებია“. ამის ფონზე კარგად ჩანს განათებული რუსული ბაზა.

გამთენიისას სოფლის საფიხნოში მოსახლეობა შეკრებილი და მათი ნაწილი „ნარდს აგორებს“. სოფლის სკოლაში ვაპირებთ მისვლას. ეს ის ობიექტია, რომელიც ბორდერიზაციის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა, მავთულხლართების მახლობლად აღმოჩნდეს.

გზად შემხვედრი ერთ-ერთი სახლის კარზე ცარცით 41 ანერია, იქვე მდებარე ბოძზე კი „ქართული ოცნების“ დროშა ფრიალებს. მოუხდავად ამისა, ამ და კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სხვა სოფლის მცხოვრებლებთან საუბარში იგრძნობა, რომ მათთვის მთავრობა არა რომელიმე პოლიტიკური გუნდი, არამედ ის ჯგუფია, რომელიც პირველ რიგში მათ უსაფრთხოებაზე, შემდეგ კი იმ პრობლემების მოგვარებაზეა პასუხისმგებელი, ასე რომ აწუხებთ და დაბრკოლებებს უქმნით მათ.

სკოლის გარშემო ადგილობრივთა ბალები და საცხოვრებელი სახლებია. შესასვლელი კარის გვერდით, კედელიდან დიდი ყავისფერი ასოებით შესრულებული წარწერის ავტორი „გვესალმება“, ისევე როგორც მიმო და ცარცით შესრულებული, ნახევრად გადაშლილი ავტოგრაფების ავტორები. სკოლის შესასვლელში თეთრ ფონზე გაკეთებული შავი წარწერა გხვდება თვალში – „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

დვანის საჯარო სკოლა დამწვარი იყო, სასწავლო პროცესი აქ 2010 წლის 20 იანვარს აღდგა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რამაზ მედოიძე ამბობს, რომ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებით შექმნილი ვითარების მოუხდავად, ბავშვები სკოლაში ჩვეულებრივ დადიან და ამით სასწავლო პროცესი არ ფერხდება, თუმცა შიშობს, რომ სკოლის სიახლოვეს მავთულხლართების გაბმის შემთხვევაში სიტუაციის გაკონტროლება გართულდება.

„სამწუხაროდ, ბავშვები მიჩვეულები არიან ყველაფერს, მათ შორის სროლებსაც. გასროლის ხმის გაგონებაზე ამბობენ – ეს კარაბინია, ეს „AKS“-ი. ძალიან მძიმეა, როცა ბავშვი გეუბნება – „იქ მესაზღვრებმა გაიარეს ძალით“, „იქ ბაზებია“, „გუშინ ჩვენი ნაკვეთი წაგვართვეს, ნეტა არ მოეხნა მაინც მამაჩემს“, ეს ყველაფერი



მუდმივი დაძაბულობის მიუხედავად, ხალხი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს ცხოვრებას.

მათ ფსიქიკაზე მოქმედებს. მავთულხლართების სკოლის მახლობლად გავლების შემთხვევაში ბავშვებისთვის ყურადღების მიქცევა გაჭირდება. ალბათ ერთ-ერთ მასწავლებელს, ან თანამშრომელს გამოეყოფო ეზოში მეთვალყურედ, რომ მოსწავლეები იქით მხარეს არ გადავიდნენ. ამას სირთულეები ახლავს თან, ბავშვი ცელქია და ცნობისმოყვარე, ასე რომ, ძალიან გაგვიჭირდება“, – ამბობს რამაზ მედიოძე.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანის საჯარო სკოლაში დღეს 135 მოსწავლე დადის. პირველ კლასში წელს მხოლოდ 7 ბავშვი მივიდა, მომავალ წელს კი მხოლოდ ორ ახალ მოსწავლეს ელოდებიან. მეორე-მესამე კლასელთათვის კლასკომპლექტებია შექმნილი. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი იხსენებს, რეგიონში პირველი არეულობის შემდეგ, როდესაც ვითარება ცოტათი დასტაბილურდა, შობადობა გაიზარდა და 1994 წლის 1 სექტემბერს პირველ კლასში 25 მოსწავლე მივიდა, რაც მაშინ საკმაოდ დიდი მაჩვენებელი იყო – „2008 წლის შემდეგ ისე დაიფანტა ხალხი, შეიძლება კაცი აქ ცხოვრობდეს, მაგრამ ბავშვი სოფლის სკოლაში არ მიიყვანოს, ამხელა სოფლიდან 2-3 ბავშვი შედის პირველ კლასში“.

დვანის სკოლას 2014 წელს 15 მე-12 კლასელი ამთავრებს. ჟანა მამაგულაშვილს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, თუ რომელ უნივერსიტეტში, ან რა ფაკულტეტზე უნდა ჩაბარება, თუმცა ზუსტად იცის, რომ მას, როგორც მისი თანაკლასელების აბსოლუტურ უმრავლესობას, უმაღლესი განათლების მიღება და თბილისში წასვლა უნდა.

„სხვებს უკვირთ, მანდ როგორ სწავლობთო. აქ გასართობი არაფერია. სკოლაში კომპიუტერები გვაქვს, მაგრამ ინტერნეტი მხოლოდ ერთ კომპიუტერზეა. ინფორმატიკის საათი გვაქვს, მაგრამ რაიმე პროგრამა რომ ვისწავლოთ, მსგავსი არაფერია. ყველაზე მეტად გარემოსთან კომუნიკაცია გვაკლია, სოფელში ხარ ჩაკეტილი, აქ კი არაფერი ხდება, ტელეფონიც კი არ იჭერს გამართულად. ჩემი კლასელების 90% აქედან წასვლაზე ფიქრობს, არ მგონია ვინმეს სოფელში დაბრუნება უნდოდეს“, – ამბობს ჟანა მამაგულაშვილი.

დვანიდან აძეში უნდა წავიდეთ. სკოლის გამოსასვლელში ორი პატარა მოსწავლე, სავარაუდოდ, პირველკლასელები, მათზე გაცილებით უფროს ბიჭს ეთამაშებიან, ერთ მათგანს ხელში პლასტმასის ავტომობილი უჭირავს, მეო-

■ **ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით, 2012 წლის სექტემბრიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, საოკუპაციო ძალებმა საქართველოს 35 მოქალაქე დააკავეს, 2013 წლის იანვრიდან სექტემბრამდე კი ამ რიცხვმა 113-ს შეადგინა, დაკავებულითა შორის 11 ქალი და 7 არასრულწლოვანია.**

რეს კი ცელოფნის ის შავი პარკი, რომელშიც სათამაშო ჰქონდათ შენახული.

სოფლის ცენტრში გამოვლისას უცხოობის შეგრძნება გიჩნდება. ადგილობრივები ცნობის-მოყვარე თვალებით ჯერ უცხო მანქანას აკვირდებიან, შემდეგ კი მასში მსხდომთა პროფესიის გამოცნობას ცდილობენ, ჩამოსვლის მიზეზს ისედაც ხვდებიან – ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრები და ბოლო დროს განვითარებული მოვლენები.

აქვისაკენ მიმავალ გზას გაჩერებაზე მდგომ ორ ქალბატონს ვეკითხებით. რამდენიმე წუთში გზას ერთად ვაგრძელებთ. მგზავრები მე-ჯვრისხევი ცხოვრობენ და უკვირთ, „რატომ არაა მეჯვრისხევი კონფლიქტის ზონა, მათულობით და საგუშაგოები ხომ აქაცაა! სალამობით ბავშვები რომ იკრიბებიან, რუსული ბაზებიდან პროექტორებით ამონებენ – რა ხდება. თან ერთი ჩვენი თანასოფელელის შვილი ჰყავთ დაჭერილი რუსებს, იცით რა კარგი ბიჭია?!“.

ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის მეჯვრისხევი მშობლებთან ჩასული 24 წლის ბექა თითქმის ერთი წლის წინ დააკავეს. საზღვრისპირა ბაღში საქონელს აძოვებდა, როცა რუსმა მესაზღვრეებმა დაიჭირეს და ცხინვალის ციხეში წაიყვანეს. „ამბობენ, 2 წელი აქვს მისჯილი, ვითომ ტელეფონით ფოტოებს იღებდა, არადა ძალიან უბრალო მობილური აქვს. წითელი ჯვრის დახმარებით ჩავდივარ ცხინვალში და იქ ვნახულობ შვილს, ყოველ მისვლაზე, სანამ სანახავადად გამოიყვანენ, იმის შიში მაქვს, როგორი დამხვდება, როგორი იქნება. სულ სამი ქართველი ჰყავთ დაჭერილი, ერთი დვანელი ბიჭიცაა, ისიც საზღვრის დარღვევისთვისაა დაკავებული. როცა ჩვენებს ვაკითხავთ, ერთ ოთახში გამოჰყავთ, ვსხედვართ და ვლაპარაკობთ. არავინ გისმენს, არავინ გადგას თავზე. მოპყრობას არ ემდურებიან, თუმცა ჩემს შვილს ადვოკატი სულ ერთხელ ჰყავს ნანახი“, – ჰყვებიან ბექას მშობლები და რამდენჯერმე გვთხოვენ, „ამ ამბავმა“ ცხინვალამდე არ ჩააღწიოს, რომ შვილს საქმე არ გაურთულდეს – „იქ ჩვეულებრივად უყურებენ ქართულ არხებს“.

ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით, 2012 წლის სექტემბრიდან, ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, საოკუპაციო ძალებმა საქართველოს 35 მოქალაქე დააკავეს, 2013 წლის იანვრიდან სექტემბრამდე კი ამ რიცხვმა 113-ს შეადგინა, დაკავებულთა შორის 11 ქალი და 7 არას-



რულწლოვანია.

მეჯვრისხევიდან აქვისაკენ ვაგრძელებთ გზას. ეს ერთ-ერთი ბოლო სოფელია, სადაც რუსმა სამხედროებმა მათულობით გაავლეს. ქართული საგუშაგოს გაგლის შემდეგ იმას ვაწყდებით, რასაც კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფელში ყველაზე ნალებად ელოდები – ერთ-ერთ ოჯახში მუსიკაა ჩართული, რამდენიმე ადამიანი კი სახლს არემონტებს.

ბალამნარაშვილები ორ ქართულ საგუშაგოს შორის ცხოვრობენ. იმედი აქვთ, რომ სიტუაცია დაწყნარდება, აბა სულ ასე ხომ არ ვიქნებითო?! – ამბობენ. 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის დროს სოფელი არ დაუტოვებიათ, რადგან ომის სიმძიმე დიდად არ უგრძნობიათ – „ჩვენს სოფელს ომი დიდად არ შეხებია. ეს გზა ცხინვალთან დამაკავშირებელი გზა იყო, აქ გამოიარა ტექნიკამ და ჯარმა. არავინ არ შეგვხებია, გამოიარეს, გაიარეს. ხომ ხედავთ კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე რუსული ბაზაა, არადა, ბაზა კი არა, მაგ მაღლობზე რამე თუ გაკეთდებოდა არც დამესიზმრებოდა. 90-იანი წლებიდან სახლმა ომში შვილები დაკარ-

■ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან, იქ, სადაც მათულობით დვანსა და ოსურ სოფელ მუგუთს ჰყოფს, ახლა სამი სახლის ნანგრევებია. მთაზე რუსი სამხედროები დვანს და პერიმეტრს აკონტროლებენ - ხან ერთი ჯარისკაცი ჩანს, ხან - ორი. ერთ-ერთი ნასახლარის ეზოში ქრელნაჭრებშემბული ნატვრის ხე დვას, კანტიკუნტად მოსავალია დარჩენილი - მინაზე პატარა წითელი პომიდვრებია გართხმული, ხეებზე ალაგ-ალაგ ვაშლია შერჩენილი, იქვე კი უპატრონოდ დარჩენილი ქვევრია მიყუდებული.



გა, ოჯახები დაიკარგა, ქონება – გაქრა, თუკი ჩვენც ის გვინერია, რომ მათ რიცხვში ჩავენეროთ, რას ვიზამთ, მაგრამ იმედი გვაქვს რომ ასე არ მოხდება“.

ნანული ბალამნარაშვილი იხსენებს, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც რუსი სამხედროების კოლონა უკან ბრუნდებოდა, ერთ-ერთი მანქანა მათი სახლის კართან გაჩერდა და რუსმა ჯარისკაცმა პური სთხოვა – „ძალიან გვშია, უჭმელები ვართ და თუ შეგიძლიათ დაგვეხმარეთო. შეშინებულები რომ ვიყავით, საჭმელი უცბად მივანოდეთ, უკვე ეზოდან გადიოდა როცა უკან მობრუნდა და გვითხრა – „ჩვენ გვითხრეს საქართველოში ჩეჩნების მაგვარი ხალხი ცხოვრობსო“, მაღლობა გადაგვიხადეს და წავიდნენ“.


ადგილობრივები ჰყვებიან, რომ 2008 წლამდე ოსებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ახლა რუსები დგანან და ოსებს ქართველებთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევენ.

საგუშაგოსთან მდებარე ბოლო სახლის ღობე მანქანის ბორბლებითაა შეკონინებული. ეთნიკურად ოსი გალინა ბალამნარაშვილი ამბობს,

რომ ბლოკპოსტის გვერდით ცხოვრება არ არის სასიამოვნო, რადგან ცუდი შეგრძნებაა, როცა შენი დაცვა უნევთ.

„და-ძმა იქით მხარეს მყავს და მიუხედავად იმისა, რომ ოსი ვარ, საზღვარზე გადასვლის საშუალებას არ მაძლევენ. ცოტა ხნის წინ ჩემმა ძმამ რამდენიმე დღით მოახერხა ჩამოსვლა. 20 წელი არ მყავდა ნანახი, თავი სიზმარში მეგონა“, – ამბობს გალინა ბალამნარაშვილი.

ამ დროს საუბარში ბალამნარაშვილების მეზობელი, ნუნუ ელიოზიშვილი ერთევა – „უნდა შევრიგდეთ შვილო, სხვა გამოსავალი არ არსებობს. ოდითგანვე ერთად ვიყავით და იყო დრო, როცა ოსები აძვის სკოლაში სწავლობდნენ. გამსახურდიას ერთმა ნაბიჯმა ნელ-ნელა ამ შედეგამდე მიგვიყვანა. ასეა თუ ისე, უნდა შევრიგდეთ, სხვა გზა არა არის, ჩვენ შორის მესამე არ უნდა იყოს ჩარეული!“

სამხედრო ბაზებით წარმოდგენილი „მესამე“ აძვიდან კარგად ჩანს და არც რამე ნიშანი ჩანს იმისა, რომ ქართველებსა და ოსებს შორის „ჩარევას აღარ აპირებდეს“. საზღვრისპირა სოფლებში კი ზამთარს ელოდებიან. 

უსაფრთხოების მიზნით, სამართალდამცველები სოფლებში მუდმივად გადაადგილდებიან.



„პროკრედიტ ბანკი“ საქართველო – ბუნების მეგობარი



„პროკრედიტ ბანკი“ ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი ის კომპანიაა, რომელიც ფინანსური ოპერირებისა და კლიენტთათვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზებასთან ერთად ბუნებასა და გარემოზე ზრუნავს, მისი გაჯანსაღებისა და ნეგატიური ზეგავლენისაგან დასაცავად კი, როგორც საქართველოში, ასევე ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კომპანიაა წარმოდგენილი, სპეციალურად შექმნილი განყოფილება მუშაობს.

„პროკრედიტ ბანკი“ – ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც საქმიანობის თითოეულ მიმართულებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება, ბუნებასა და გარემოზე ზრუნვას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სპეციალურად მოწვეულ გერმანელ ექსპერტებთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, გარემოს დასაცავად კომპანიამ საკუთარი სტანდარტები ჩამოაყალიბა.

„პროკრედიტ ბანკის“ ეკო ქვეგანყოფილების უფროსი, იოსებ როსტომაშვილი განმარტავს, რომ გარემოსადმი ბანკის მეგობრული მიდგომა ძირითადად 3 მიმართულებას ეფუძნება:

„I მიმართულება ბუნებაზე ნეგატიური ზემოქმედების მაქსიმალურ შემცირებას, თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლებას და გარკვეული უნარ-ჩვევების გამო-მუშავებას ითვალისწინებს, რითაც ჩვენ თანამშრომლებს ვაჩვენებთ, თუ როგორი ზეგავლენა შეუძლიათ იქონიონ იმ გარემოზე, რომელშიც ვცხოვრობთ. მთლიანად ჩვენი ინფრასტრუქტურა, ფილიალების რემონტიც კი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ რაც შეიძლება ნაკლები ენერჯია დაიკარგოს - ვყიდულობთ ენერგოეფექტურ მასალებს, განათების სისტემებს და ა.შ.

ასევე ცალსახად გადავწყვიტეთ უარი ვთქვათ პლასტ-

მასის ჭიქების გამოყენებაზე და ისინი ქალაქის ჭიქებით ჩავანაცვლეთ, რაც საქართველოში 3-ჯერ უფრო ძვირი ჯდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც „პროკრედიტ ბანკმა“ გადადგა, ეს არის მაკულატურის გადამამუშავებელ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, რის შემდეგაც, როგორც ბანკის სათავო ოფისში, ასევე ფილიალებში განთავსებულ ყუთებში შეგროვილი მაკულატურა კი არ იყრება, არამედ მუშავდება“, – ამბობს იოსებ როსტომაშვილი.

„პროკრედიტ ბანკის“ გარემოსადმი მეგობრული მიდგომის II მიმართულება ბუნებაზე ირიბი, ნეგატიური ზეგავლენის შემცირებას ითვალისწინებს – კომპანია გარემოსთვის ზიანის მომტანი პროექტების დაფინანსებასა და ამ ტიპის სესხების გაცემაზე უარს ამბობს.

III მიმართულება, – „პროკრედიტ ბანკის“ დაბალროცენტიანი ეკო-დაკრედიტებაა, რითაც – „მაქსიმალურად ვცდილობთ კლიენტების წახალისებას, რათა მათი ინვესტიცია ენერგოეფექტური იყოს. მაგალითად, ავიღოთ ქარხანა, რომელსაც გამონაბოლქვი აქვს. მის მეპატრონეს შესაბამისი ფილტრის დასაყენებლად და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად იაფ ეკო-სესხს ვთავაზობთ. ამით მოგებას ვიმცირებთ, მაგრამ კლიენტს ვაძლევთ გადაიარაღების, ენერგოეფექტური დანადგარების შესაძენისა და ნაკლები ენერჯიის მოხმარებით, იმავე რაოდენობის პროდუქტის წარმოების საშუალებას“, – განმარტავს „პროკრედიტ ბანკის“ ეკო ქვეგანყოფილების უფროსი.

როგორც კომპანიის მარკეტინგის განყოფილების უფროსი ნატო ბოჭორიშვილი აღნიშნავს, ენერგოეფექტუ-

რობა ზოგჯერ არასწორად ესმით და ნაკლები ენერჯის დახარჯვას სიბნელეში, ან სიცივეში ყოფნასთან აიგივებენ. რეალურად ეს ტერმინი კომფორტთან ასოცირდება – ნაკლები ენერჯის მოხმარებითა და, შესაბამისად, შემცირებული კომუნალური გადასახადებით, სასურველი ეფექტს ვიღებთ.

„პროკრედიტ ბანკის“ ენერგოეფექტური სათავო ოფისი, რომელიც ისეა აგებული, რომ ზამთარში მინიმალურ სითბოს კარგავს, განათებისათვის კი მაქსიმალურად იყენებს დღის სინათლეს, „BMS“ სისტემითაა (building management system) აღჭურვილი, რომლის მეშვეობითაც იმართება შენობის გათბობის, გარვილების, ვენტილაციის და განათების სისტემები. აღნიშნული სისტემის ოპერირება ხორციელდება ერთი პერსონალური კომპიუტერიდან. მსგავსი შენობის აშენება და საჭირო დანადგარებით აღჭურვა დიდ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრად მომგებიანია.

შენობის გარშემო, 1500 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი ბალისთვისაა გამოყოფილი. ადრე ამ ტერიტორიაზე ნაგავს და ფაქტობრივად მკვდარ მცენარეებს ნახავდით, აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად ბანკმა სპეციალური კომპანია დაიქირავა, რომელმაც კვლევების საფუძველზე სხვადასხვა სამუშაოები ჩაატარა: კულტივაცია, მწვანე საფარის დაგება, ახალი მცენარეების დარგვა და ა.შ. ამ ყველაფრის შედეგად განადგურების პირას მისული სარეკრეაციო ზონა გადარჩა და ახალი სიცოცხლე შეიძინა.

კიდევ ერთი ნაბიჯი, რაც „პროკრედიტ ბანკმა“ ბუნების სასარგებლოდ გადადგა, თანამშრომელთათვის გადაადგილების საშუალებად ველოსიპედების შეთავაზებაა. ამ ტიპის პირველი პროექტი ბათუმში განხორციელდა, რადგან ქალაქის ინფრასტრუქტურა ამის საშუალებას იძლეოდა. დღეისათვის „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალის 20 თანამშრომელი საჩუქრად მიღებული ველოსიპედებით გადაადგილდება.

ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ქუთაისშიც მიმდინარეობს, რაც ქალაქის რელიეფთან ერთად, ბანკის თანამშრომლებს საშუალებას მისცემს ტრანსპორტად აქტიურად გამოიყენონ ველოსიპედი – გარემოსთვის სრულიად უსაფრთხო გადაადგილების საშუალება.

„აღბათ დაკვირვებისხართ, თბილისში მოძრავი ავტომობილების დიდ უმრავლესობაში მხოლოდ ერთი მგზავრი ზის, მანქანების გამონაბოლქვი კი გარემოს საკმაოდ გვიბინძურებს. თუკი პატარა დისტანციებზე გადავადგილდებით, ამისათვის ველოსიპედის გამოყენება ძალიან მოსახერხებელია. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის ამ სახეობის სადგომიც გვაქვს და გვყავს როგორც უამრავი მსურველი, ასევე რამდენიმე თანამშრომელი, რომელიც აქტიურად იყენებს ველოსიპედს, ამ ნებაყოფლობითი პროექტის თბილისში დანერგვას უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით საკმაოდ ფრთხილად ვეკიდებით“, – აღნიშნავს „პროკრედიტ ბანკის“ მარკეტინგის სპეციალისტი თეა ლეჟავა.

„პროკრედიტ ბანკის“ ეკო-აქტივობები საგანმანათლებლო საქმიანობასაც მოიცავს. დასაწყისისათვის, ენერგოეფექტური მიდგომისა და გარემოსთვის ნაკლები ზიანის

მიყენების შესახებ ბანკის მიდგომები საინფორმაციო ტრენინგების საფუძველზე კომპანიის თანამშრომლებს განუმარტეს, შემდეგ კი აღნიშნული ინფორმაციის უშუალოდ კლიენტებისათვის მიწოდების ეტაპზე გადავიდნენ.

„პროკრედიტ ბანკმა“ ეკო-დაფინანსების საპილოტე პროექტი ფიზიკური პირებისათვის 2012 წლის აგვისტოდან დაიწყო, დეკემბრიდან კი ბიზნესსესხებიც მოიცვა. ამ ბაზარზე ძირითადი დაბრკოლება ცნობიერების პრობლემაა, თუმცა დაწყებულ გზას ბანკი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება და საკმაოდ პოზიტიურ შედეგებს იღებს – საკმაოდ მოქნილი და კლიენტის ინტერესებზე მორგებული ეკო-სესხების პორტფელს მზარდი დინამიკა აქვს.

შემოთ ჩამოთვლილი პროექტების გარდა, როგორც სათავო ოფისის ინიციატივით, ასევე ფილიალების დონეზე, ბანკი ბუნებისადმი მეგობრული დამოკიდებულების გამოხატვად არაერთი აქციას ატარებს.

უკვე მესამე წელია, რაც „პროკრედიტ ბანკი“ დაცული ტერიტორიების სააგენტოს პარტნიორია და ლაგოდეხის ნაკრძალის მოვლასა და განვითარებაზე ზრუნავს. ბანკის თანამშრომლებმა წელს ნაკრძალში არსებული დანგრეული ბილიკი აღადგინეს, შარშან კი ჩანჩქერის მიმართულებით მარკირების სამუშაოები შეასრულეს. სხვადასხვა დროს ბანკმა ნაკრძალს სისუფთავის შესანარჩუნებლად ურნები, ცხენით მგზავრობის პოპულარიზაციისთვის კი უნაგირები გადასცა საჩუქრად. ასევე წლებგანდელი აქტივობებიდან აღსანიშნავია სოფელ დისველის სკოლის მახლობლად გაშენებული სკვერი, სადაც 40-ზე მეტი სახეობის ხე დაირგო.

„პროკრედიტ ბანკი“ აგრძელებს ბუნებასთან მეგობრობას და სურს, რომ ამ კუთხით ყველა გააქტიურდეს – „ჩვენს მიკროკლიმატს თავად ვქმნით და ყველას სურვილია ისუნთქოს სუფთა ჰაერი“.






20 ოქტომბერს პარტიზანმა მებაღებმა სტალინის რეჟიმის მსხვერპლთა სახსოვრად ე.წ. სოლანლულის ველზე 81 ნერგი დარგეს. 14 მათგანს სპეციალური ფირფიტები დაამაგრეს, რომლებზეც რეპრესირებულთა სახელებია ამოტვიფრული.

დაეყანაჩი ჰახიზანაზის იმედა

ეკა მაღალდაძე



ფოტო: ლევან ჩინკაძე

რამდენიმე თვეა თბილისში პარტიზანი მებალები გამოჩნდნენ. ამ მოძრაობის საქმიანობა იმ მძიმე მდგომარეობის საპასუხო გამოძახილია, რომელსაც მერიის უპასუხისმგებლო პოლიტიკა უდევს საფუძვლად. მერია დღესაც აქტიურად გასცემს სარეკრეაციო ზონებში მშენებლობის ნებართვებს, მათ შორის დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რასაც ხეები ეწირებიან. ნატა ფერაძე და მოქალაქეები კი სხვადასხვა ადგილებს არჩევენ და ხეებს პარტიზანულად რგავენ.

■ „ამ ადამიანებმა არ ისურვეს ვინაობის საჯაროდ გამხელა. არც იმ მაღაზიებს უთხოვიათ რეკლამა, რომლებიც ან სარებს გვჩუქნიან, ან ნერგებს გვაძლევენ ფასდაკლებით. ამას თითქმის ყველა სრულიად გულწრფელად, უანგაროდ აკეთებს. მიხარია, რომ ნელ-ნელა ამ საქმის ირგვლივ საზოგადოება ერთიანდება და იკვრება.“


8 ივლისს ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, 42 ხე მოიჭრა. ახალი მფლობელი ამ ადგილას საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას გეგმავს. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურში აცხადებდნენ, რომ ნებართვა დაავადებული ხეების მოჭრაზე გაიცა, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტროს ექპერტებმა დაადგინეს, რომ მოჭრილი ხეების დიდი უმრავლესობა დაავადებული არ იყო.

ხეების მოჭრიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ „ფეისბუქზე“ ახალი გვერდი – „პარტიზანული მებალება თბილისში“ – შეიქმნა. დაბნეულ მომხმარებლებს მალევე აუხსნეს, რომ საინიციატივო ჯგუფი ქალაქში კონკრეტული ადგილების შერჩევას და პარტიზანულად, საკუთარი ინიციატივით გამწვანებას გეგმავდა. ამ საქმეში მონაწილეობის მიღება კი თითოეულ მოქალაქეს შეეძლო.

თბილისის მთავარი პარტიზანი-მებალები პროფესიით მხატვარ-რესტავრატორი ნატა ფერაძეა. ბოლო წლებში გამწვანების საკითხებით დაინტერესდა, სხვადასხვა კომპანიაში მუშაობდა, ქალაქის გამწვანებას ლეგალური გზებით ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მოგვიანებით სამსახურიდან წამოვიდა და ზაჰესში საკუთარი კერძო მეურნეობა დაიწყო. მეურნეობას შაბათ-კვირას „ზაჰესის მწვანე სკოლის“ მოსწავლეებიც სტუმრობენ. თბილისში

დარგული ნერგებიც, თავიდან, ნატას სწორედ პირადი მეურნეობიდან მოჰქონდა.

„ის, რაც დღეს ქალაქში ხდება, სრულიად არაადეკვატურია. გამწვანების სამსახური რომ კარგად და პროფესიონალურად აკეთებდეს იმას, რაც ვვალევა, ცხადია, ჩვენ ამ საქმით არ დავკავდებოდით. მოჭრეს უამრავი ჭადარი და ჯუჯა, დეკორატიულ ხეებს რგავენ, სრული ეკოლოგიური კოლაფსი გვემუქრება. ამიტომ მივეცი თავს უფლება





ფოტო: ლევან სერაფილოვიძე

თვითმარქვია პარტიზანი გავმხდარიყავი. ვრგავთ ყველაფერს, რაზეც ხელი მიგვიწვდება“, – ამბობს ნატა.

თითქმის 4 თვის შემდეგაც საინიციატივო ჯგუფი ოფიციალურად არ დარეგისტრირებულა. ნატა ამბობს, რომ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას არც აპირებენ. არც სტაბილურ დაფინანსებას ეძებენ. დღემდე ყველა აქტივობა სოციალური ქსელით, ამ გვერდზე იგეგმება. თუკი პირველი რამდენიმე

აქციისთვის ნერგები ნატას პირადი მეურნეობიდან მოჰქონდათ, მოგვიანებით სხვადასხვა ორგანიზაციამ მათთვის ნერგების შეღავათიან ფასად შეთავაზება დაიწყო. ზოგჯერ ჩუქნიან მიწას, ბამბუკის სარებს ან სხვა საჭირო ნივთებს. მოქალაქეებმა რამდენჯერმე თავადაც შეიძინეს ნერგები. ამავე გვერდის მეშვეობით, პარტიზანები იმ ადგილებს ინაწილებენ, რომლებსაც ყურადღებას მიაქცევენ, მორწყავენ და

ნატა ფერაძე – მთავარი პარტიზანი მეზაღა. პარტიზანულად აბაშიძის ქუჩაზე ნერგები თავდაპირველად სწორედ მან და მისმა მეგობრებმა დარგეს.

მოუვლიან. „ნარგავების მონიტორინგის“ შედეგებიც აქვე ქვეყნდება. რამდენჯერმე პარტიზანებს თანხაც აჩუქეს. მის ხარჯთაღრიცხვას მთავარი პარტიზანი დანარჩენებს აბარებს, დარჩენილ თანხას კი მომავალი აქციებისთვის ინახავს.

“ამ ადამიანებმა არ ისურვეს ვინაობის საჯაროდ გამხელა. არც იმ მაღაზიებს უთხოვიათ რეკლამა, რომლებიც ან სარებს გვჩუქნიან, ან ნერგებს გვაძლევენ ფასდაკლებით. ამას თითქმის ყველა სრულიად გულწრფელად, უანგაროდ აკეთებს. მიხარია, რომ ნელ-ნელა ამ საქმის ირგვლივ საზოგადოება ერთიანდება და იკვრება.”

თბილისში დაწყებული მოძრაობის გააქტიურების შემდეგ პარტიზანები ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმშიც გამოჩნდნენ.

პარტიზანული მებაღეობა, როგორც მოძრაობა და აქტივიზმის ფორმა, თბილისზე ბევრად უფრო დიდი ურბანული ქალაქების რეალობაში გაჩნდა, როგორც მოქალაქეების პასუხი მწვანე საფარის სიმცირეზე. პარტიზანები პირველად 1973 წელს, ნიუ-იორკში გამოჩნდნენ, როდესაც აქტივისტი ლიზ ქრისტი ე.წ. „მწვანე პარტიზანებთან“ ერთად ჰიუსტონის უბნის გამწვანებას ცდილობდა.

ნახევრადოფიციალური განმარტებით, პარტიზანული მებაღეობა ნიშნავს მებაღეობას მიწაზე, რომლის გამოყენების უფლებაც ამ ადამიანებს კანონით არ აქვთ. ლონდონი, მანჩესტერი, ნიუ-იორკი, მელბურნი, კოპენჰაგენი, ამ და სხვა ქალაქებშიც ენთუზიასტი მებაღეები თავისი ქმედებით ხელისუფლებას ერთგვარ პროვოკაციას უწყობენ და მოთხოვნას – „მეტი სიმწვანე ქალაქში“ – თავადვე ასრულებენ. ზოგიერთი ამ ყველაფერს მართლაც პარტიზანულად, ღამით აკეთებს, ზოგი კი, პირიქით, ოფიციალური პირებისა და მოსახლეობისთვის დასანახდროსა და ადგილას. პარტიზანი მებაღეები 30-ზე მეტ ქვეყანაში არიან. 2007 წლიდან ყველა ამ ქვეყანაში პარტიზანები ტრადიციულად 1 მაისს, მზესუმზირებს რგავენ.

თბილისში, ხეების დარგვასთან ერთად, მწვანე საფარის შემცირებას საპროტესტო აქციებითაც უპირისპირდებიან და ამაში დედაქალაქის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურს ადანაშაულებენ. გასული ზაფხული ამ მხრივ საკმაოდ აქტიური იყო. განსაკუთრებული ხმაური მოჰყვა ასათიანის პარკისა და კუს ტბის ფერდობზე ე.წ.

„ციყვების“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიას პარკის სტატუსი ოფიციალურად არასდროს ჰქონია. მაგრამ მოსახლეობა ამ ადგილს „დელისის ფილტვებს“ უწოდებს და მის განაშენიანებას კატეგორულად ეწინააღმდეგება. ეჭვები არსებობს როგორც ხეების მოჭრის, ისე ხმობისა და მთლიანად, ტერიტორიის გასხვისების სქემასთან დაკავშირებითაც.

გარემოს დაცვის სამინისტრომ, რომელსაც დედაქალაქის გამწვანების მონიტორინგის ფუნქცია კანონით არ აქვს, მოსახლეობას, ინვესტორ კომპანიასა და მერიას შუამავლობა შესთავაზა და მოჭრილი ხეების კვლევა ჩაატარა. ექსპერტების დასკვნით, მოჭრილი ხეების უმეტესობა დაავადებული არ იყო. ნაწილს კი ისეთი მავნე ორგანიზმები აღენიშნებოდა, რომლებიც ხეების მთლიან ხმობას არ იწვევს და მკურნალობა შესაძლებელია.

საინიციატივო ჯგუფმა პროკურატურას მიმართა. ჯგუფის ხელმძღვანელი მარია ჩიქოვანი ამბობს, რომ ეჭვები არსებობს იმის შესახებაც, თუ რატომ დაიწყო ბოლო პერიოდში ხეებმა ხმობა, როცა რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული კვლევების თანახმად, ხეები ჯანმრთელი იყო.

“მოსახლეობას აქვს ეჭვი, რომ ხეებს ხელოვნურად ახმობენ, ზოგს დაუნახავს, რომ სხვადასხვა საშუალებით, რალაცებს ასხურებენ. მეორე საჩივარი სწორედ ამას ეხება. თუმცა, ისიც საეჭვოა, რატომ გასხვისდა ეს ტერიტორია პირდაპირი წესით სწორედ ამ კომპანიაზე“, – ამბობს ჩიქოვანი.

2010 წლის მარტში, ეკონომიკის სამინისტრომ, ყოფილი ფსიქიატრიული ტერიტორია, შენობა-ნაგებობებით და 32 935 კვ.მ მიწის ნაკვეთით, 2 400 000 ლარი საწყის ფასად, აუქციონზე გაიტანა.

აუქციონის პირობებით 300-საწლიანზე მეტი თავშესაფარი უნდა აშენებულიყო. აუქციონი ჩაიშალა, რადგან ტერიტორიის შესყიდვის არც ერთი მსურველი არ გამოჩნდა.

იმავე წლის ნოემბერში, ეკონომიკის სამინისტრომ, ტერიტორია შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალზე დარიცხა და უკვე დეკემბერში ხელშეკრულება შპს BD Property-სთან გააფორმა და ასათიანის 10-ში არსებული ქონება, 37 541

■ პარტიზანული მებაღეობა, როგორც მოძრაობა და აქტივიზმის ფორმა, თბილისზე ბევრად უფრო დიდი ურბანული ქალაქების რეალობაში გაჩნდა, როგორც მოქალაქეების პასუხი მწვანე საფარის სიმცირეზე. პარტიზანები პირველად 1973 წელს, ნიუ იორკში გამოჩნდნენ, როდესაც აქტივისტი ლიზ ქრისტი ე.წ. „მწვანე პარტიზანებთან“ ერთად ჰიუსტონის უბნის გამწვანებას ცდილობდა.

კვ.მ. მიწის ნაკვეთი თავისი შენობა ნაგებობებით 6 300 000 დოლარად პირდაპირი მიყიდვის წესით Property-ს მიჰყიდა. ხელშეკრულების მიხედვით, მიყიდველი ვალდებულია ქონებაზე საკუთარი შეხედულებებისა და განახორციელოს საცხოვრებელი, ბიზნეს და/ან სხვა ტიპის შენობებისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ამასთან ეკისრება ვალდებულება მესაკუთრედ რეგისტრაციიდან 3 წლის ვადაში განახორციელოს სულ მცირე 13 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ისიც, რომ მიყიდველს ამ ან ქალაქის ნებისმიერ ტერიტორიაზე 1200 კვ.მ ფართობზე პარკის მოწყობა დაევალოს.

2012 წლის 10 ოქტომბერს ტერიტორიის მფლობელმა BD Property-იმ თბილისის მერიასთან მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების პროექტი შეათანხმა, რომლის მიხედვითაც ტერიტორიაზე ექვსი 24-სართულიანი და ორი 30-სართულიანი კორპუსის აშენება განსაზღვრული. მშენებლობის ნებართვა, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი 30-სართულიანი ნაგებობის ასაშენებლადაა გაცემული.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორია იმ სახელმწიფო ქონებისა და აქტივების ნუსხაშია, რომელთა გაყიდვითაც საქართველოს პარლამენტის მშენებლობის დიდი ნაწილი დაფინანსდა.

BD Property-ის პიარ-მენეჯერი ნინი გორგოძე ამბობს, რომ კომპანია ცდილობს, ხეები მაქსიმალურად შეინარჩუნოს. „მაგრამ ერთია სურვილი და მეორე მდგომარეობა: ეს ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში მოუვლელი იყო და შესაბამისად, ხეების ნაწილი სანიტარულ ჭრას ითხოვს. ჩვენ ეს მიწა ყველა წესის დაცვით, კანონიერად შევისყიდეთ სახელმწიფოსგან. ავიღეთ ვალდებულებები, უზრუნველვყოფთ ამ ვალდებულებების შესრულებას და ამ პროცესს გამჭვირვალედ ვახორციელებთ. შესაბამისად, ჩვენი მხრიდან მოსახლეობასთან მოლაპარაკებაზე საუბარი არასწორად მიმაჩნია“, – ამბობს გორგოძე.

მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი მალხაზ კუმელაური ამბობს, რომ ეს ადგილი ქალაქის გენგეგმით სრულიად ჩვეულებრივი, სამშენებლო ფუნქციით და-

ტვირთული ტერიტორია იყო, სადაც დასაშვებია მშენებლობა. „არ შეიძლება, ადამიანს იმის იურიდიული ინტერესი ჰქონდეს, რომ ვიღაცის კერძო საკუთრება ოდესმე სარეკრეაციო ბაღის ან სკვერის სტატუსის მატარებელი აღმოჩნდეს“, – ამბობს კუმელაური.

ასათიანის პარკი ერთადერთი გახმაურებული ამბავი არ ყოფილა, როდესაც ქალაქში ხეები იჭრებოდა. ბოლო თვეებში ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული კუს ტბის ფერდობზე ე.წ. „ციყვების“ ტერიტორიაზე, კვების ობიექტის მშენებლობისთვის ნერგების ამოღება იყო. მოქალაქეთა პერიოდული პროტესტის მიუხედავად, შემოღობილი ადგილი მოსწორდა, ნერგები ამოიღეს და კომპანია მშენებლობას აგრძელებს.

2 500-მდე კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ახლა ობიექტი შენდება, ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის შუაგულში მდებარეობს. ეს ზონა კანონმდებლობით „ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია“ და აქ, პრაქტიკულად, ნებისმიერი სახის მშენებლობა დაუშვებელია. თუმცა, ამ ნაკვეთს რამდენიმე წლის წინ სტატუსი შეეცვალა და „სარეკრეაციო ზონა 3“ გახდა, სადაც მერიის თანხმობით სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა ნებადართულია.

2000 წელს ნაკვეთი ოფშორულ კომპანიაზე გასხვისდა, მოგვიანებით კი სახელმწიფოს დაუბრუნდა და თბილისის თვითმმართველმა ერთეულმა 2011 წელს აუქციონზე გაყიდა. აუქციონის პირობების თანახმად, მიყიდველს ორსართულიანი რესტორანი უნდა აეშენებინა საბანკეტო-საკონცერტო დარბაზით.

2011 წლის 19 ივლისს ჩატარებულ აუქციონზე ტერიტორია შპს „ოტიუმმა“ 650 000 ლარად შეიძინა. „ოტიუმის“ მფლობელი, აუქციონის ჩატარების პერიოდში, სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი "ემ გრუპი" იყო. თავის მხრივ, "ემ გრუპი"-ის თანამფლობელი არჩილ გეგენავა, რომელიც აუქციონის ჩატარების პერიოდში, საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობიდან“. მომდევნო პერიოდში, „ოტიუმის“ მფლობელი ჯერ შპს „ჰოლდინგ.ჯი“ გახდა (რომელიც არჩილ გეგენავას ძმას, ანდრო გეგენავას ეკუთვნოდა), ხოლო შემდეგ სეიშელის კუნძულებზე



ფოტო ნასა ფარაბი

■ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორია იმ სახელმწიფო ქონებისა და აქტივების ნუსხაშია, რომელთა გაყიდვითაც საქართველოს პარლამენტის მშენებლობის დიდი ნაწილი დაფინანსდა.

ბზე რეგისტრირებული კომპანია EASTWEST HOLDING LTD-ის საკუთრება გახდა.

2013 წლის დასაწყისში ეს ტერიტორია კიდევ ერთხელ გაიყიდა და ამჯერად ის შპს „კოლორიტმა“ შეიძინა, თუმცა ამ უკანასკნელის თანამფლობელი ასევე "ემ გრუპ"-ია. ამასთან, საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს „კოლორიტის“ მფლობელებს შორისაც ანდრო გეგენავაა.

„გაურკვეველია, თუ რატომ დაუქვეითდა ამ ნაკვეთს დაცვის ხარისხი ან რატომ მიიჩნია თბილისის მერიამ 2011 წლის ივნისში საჭიროდ მისი აუქციონზე გატანა. საბოლოოდ, ჯამში სახეზეა სიტუაცია, როდესაც ქალაქის მერიამ გაურკვეველი მიზეზით, სათანადო დასაბუთებისა და საჯარო განხილვის გარეშე გაასხვისა საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული დაცული ტერიტორიის ერთი ნაწილი. დამატებით ეჭვებს წარმოშობს ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საბოლოო ბე-

ნეფიციარი პარლამენტის წევრი იყო იმჟამინდელი მმართველი პარტიიდან“, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“.

ორგანიზაციაში ასევე განმარტავენ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თბილისის მერია ქალაქის სარეკრეაციო ზონების მომავლის შესახებ მნიშვნელოვნად გადაწყვეტილებებს ნაჩქარევად და სათანადო საზოგადოებრივი განხილვის გარეშე იღებს, ხოლო გადაწყვეტილების ბენეფიციარი თანამდებობის პირია. მაგალითად, 2011 წელს მერიამ მუშტაიდის პარკი 49-წლიანი იჯარით კომპანია „ჯეო გოლდს“ გადასცა, რომელსაც სარეკრეაციო ზონების მენეჯმენტის გამოცდილება არ ჰქონდა და თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ალექსანდრე ნიკოლაიშვილს ეკუთვნოდა.

რამდენიმე კვირის წინ კი ცნობილი გახდა, რომ მერია ვაკის პარკშიც გეგმავს



ფოტო ნატა ფერაძე

მშენებლობას. ყოფილი რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილას სასტუმრო უნდა აშენდეს, რაც სპეციალისტთა და მოქალაქეთა ნაწილის აზრითაც, პარკს სრულიად დაუკარგავს ფუნქციას.

რაც შეეხება მერიის ოფიციალურ პოზიციას, მათი თქმით, მშენებლობასა და ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით ქალაქში გადამეტებული აქცენტები კეთდება. ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის, გიორგი ქორქაშვილის განცხადებით, თბილისში არც ისე მძიმე სიტუაციაა, როგორც ამას არასამთავრობოები აღწერენ:

„ცოტა გაზვიადებულია ინფორმაცია, რომ იჩეხება ყველაფერი და მათ ნაცვლად რესტორნები შენდება. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, როცა მშენებლობა დაწყებული და აღნიშნულ ტერიტორიაზე ნარგაობაა, ჩვენ სხვა ადგილას ვარგვევინებთ

ხეებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ვაჭრევენებთ და მერე საკომპენსაციოს ვახდევინებთ“, – ამბობს ქორქაშვილი.

ის ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ასათიანის პარკთან დაკავშირებით გამოძიების შედეგებს ელოდება, „ციყვების“ ტერიტორიაზე კი ყველაფერი სრულიად კანონიერად მოხდა და სადავო არაფერია.

სად არის გარემოს დაცვის სამინისტრო? ეს კითხვა მთელი ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ დაისვა. მაშინაც, როდესაც გარემოს დაცვის სამინისტრომ ასათიანის პარკთან დაკავშირებით შუამავლობა ითავა, მოქალაქეები ამბობდნენ, რატომ უნდა იყოს სამინისტრო შუამავალი და არა მხარე?

გარემოს დაცვის სამინისტრომ დედაქალაქის გარემოზე ზრუნვის ფუნქცია ოფიციალურად სრულად მას შემდეგ დაკარგა, რაც თბილისის მერიაში ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური შეიქმნა.

გასულ ზაფხულს ასათიანის N 10-ში 40-ზე მეტი ხე მოიჭრა. აქ კომპანია BD Property მრავალფუნქციური კომპლექსის – ექვსი 24-სართულიანი და ორი 30-სართულიანი კორპუსის აშენებას გეგმავს.

■ ასათიანის პარკი ერთადერთი განხორციელებული ამბავი არ ყოფილა, როდესაც ქალაქში ხეები იჭრებოდა. ბოლო თვეებში ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული კუს ტბის ფერდობზე ე.წ. „ციყვების“ ტერიტორიაზე, კვების ობიექტის მშენებლობისთვის ნერგების ამოღება იყო. მოქალაქეთა პროტესტის მიუხედავად, შემოღობილი ადგილი მოსწორდა, ნერგები ამოიღეს და კომპანია მშენებლობას აგრძელებს.

2009 წლიდან დედაქალაქის მწვანე ნარგავებზე ზრუნვა და გამწვანების პოლიტიკის დაგეგმვა ამ სამსახურის ფუნქციაა. ხეების გაჩეხვისა და რეკრეაციული ზონების შემცირების გამო პროტესტიც, უმეტესად, მერიისკენაა მიმართული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძე ამბობს, რომ ამ სამსახურს სასწრაფო რეფორმირება ესაჭიროება. ურუშაძე განმარტავს, რომ ეკოლოგიის სამსახურის ფუნქციები ორ ნაწილად იყოფა. ერთია – ქალაქში არსებული მწვანე ნარგავების მოვლა, მკურნალობა, დარგვა, გამხმარის მოჭრა და, მეორე, ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და პოლიტიკის შემუშავება.

„შიდილება ითქვას, რომ პირველ ფუნქციას ეს სამსახური ასრულებს ცუდად და მეორე ფუნქციას საერთოდ არ ასრულებს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვინახავს ქალაქის გამწვანების არანაირი კონცეფცია, არანაირი სტრატეგიული დოკუმენტი, რა მდგომარეობა გვაქვს ამ კუთხით და როგორ უნდა განვითარდეს ქალაქი, რაში უნდა დაიხარჯოს 10-15 მილიონ ლარიანი ბიუჯეტი წელიწადში?“

ურუშაძე იმ ნორმების არარსებობაზეც მიუთითებს, რაზე დაყრდნობითაც, წესით, სამსახური უნდა ფუნქციონირებდეს.



ფოტო: ნათია მიძლავაძე

აგრონომები, ნორმატიული სტანდარტები, რომლებიც ყველა ნორმალურ ქალაქში ხელმძღვანელობენ, თბილისისთვის ოფიციალურად არ არსებობს.

„დღეს არავინ იცის, რა ჯიშის ხეებია ჩვენი ქალაქისთვის პრიორიტეტული, რომელი სახეობის ხეს რა ტიპის მოვლა, როგორი ფორმირება, გადაბეღვა სჭირდება. ან რის მიხედვით ფასდება, რომელია მოსაჭრელი და რომელი – არა?! ეს ყველაფერი სრულიად სპონტანურად ხდება, ცხადდება ტენდერები და ისიც გაუგებარია, რის მიხედვით. უამრავი ფაქტია, როდესაც გამხმარი ხეების გვერდით სრულიად ჯანსაღი ხეები იჭრება. ვაკის პარკში მთელი ხეივანი გადახმა იმის გამო, რომ წლების განმავლობაში, არ უტარდებოდა მკურნალობა. გაიარეთ ქალაქში, რა დღეშია ცაცხვი, ცხენისნაბლა, ფიჭვი. საერთოდ არ ჩასტარებია მკურნალობა“, – ამბობს ურუშაძე.

„უსაფრთხო სივრცის“ ხელმძღვანელი ანა გაბრიაძე ისეთ შემთხვევასაც იხსენებს, როდესაც თბილისში კონკრეტული ხეების ფიტოსანიტარულ კვლევებსა და შენამვლაზე 40 000-ლარიანი ტენდერი გამოცხადდა, მაგრამ ფირმას, რომელმაც გაიმარჯვა, სათანადო ინსტრუმენტებიც კი არ გააჩნდა.

ტენდერებზე საუბრისას ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები ორ ყველაზე მსხვილ ხარჯებს იხსენებენ. აეროპორტის გზატკეცილის გამწვანებაზე, ბალახის, ბუჩქების დარგვასა და მორწყვაზე მილიონნახევრიანი ტენდერი გამოცხადდა, რაც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე თბილისის რამდენიმე პარკზე დახარჯული თანხა.

„მეორე მსხვილი ხარჯი კი პოლიციის შენობების მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე გამოცხადებული ტენდერები იყო. გამოდის, რომ თბილისში ხალხი სასიეროდ ან აეროპორტის ტრასაზე დადის, ან პოლიციის შენობების ეზოებში“, – ამბობს ურუშაძე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელი ეკოლოგიის სამსახურის მიერ ხეების ჭრაზე ნებართვების გაცემის გაუმართავ და საკამათო სისტემაზეც მიუთითებს: „კერძო პირს ხის მოჭრაზე შიდილება მართლაც უთხრან უარი, ან დააჯარიმონ კიდევ, მაგრამ სხვა საქმეა, როდესაც საქმე მსხვილ იურიდიულ პირებს, კომპანიებს ეხებათ“.

ურუშაძე ამბობს, რომ ზოგადი დაკვირ-



ფოტო ნათია მინელაძე

ვებით, ხშირად, საზოგადოებრივ ტერიტორიებზეც, ტროტუარებზე, ჯანსაღი, მრავალწლიანი ხეები მხოლოდ იმ მიზეზითაც ხშირად მოუჭრიათ, რომ რომელიმე ბიზნესის, სავაჭრო ცენტრის ან მაღაზიის ფასადი კარგად გამოჩენილიყო.

ასეთ შემთხვევად ურუშაძე ქავჭავაძის ქუჩაზე, ყოფილი ექიმთა დახელოვნების ცენტრის, ახლა კი სავაჭრო ცენტრის წინ მოჭრილ 10-12 ხეს იხსენებს. ამ სავაჭრო ცენტრის ისტორია კი, სავარაუდოდ, კოდუების ოჯახს უკავშირდებოდა.

გარემოსდამცველები მიუთითებენ, რომ კონკრეტული კონცეფციისა და აგროსტანდარტების გარეშე, აბსურდული სიტუაციები კიდევ ხშირად გვექნება, როგორც ბარათაშვილის ქუჩაზე, სადაც 120 კვიპაროსის დარგვისთვის, მერიამ 990 000 ლარი გადაიხადა.

გამწვანების სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერებს „გამადიდებელი შუშით“ აკვირდება „უსაფრთხო სივრცეც“. ორგანი-

ზაციის ხელმძღვანელი ანა გაბრიაძე შიშობს, რომ სანამ თბილისის მერიაში ხელმძღვანელობა არ შეიცვლება, ეკოლოგიური კატასტროფის რისკის წინაშე ვიქნებით. ამასთან ერთად დასაზვერნია შესაბამისი კანონმდებლობაც.

სარეკრეაციო ზონებთან დაკავშირებულ ნორმებს თბილისის საკრებულოს დადგენილება არეგულირებს. დადგენილების თანახმად, არსებობს ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონები, რომლებიც მაღალი ხარისხითაა დაცული, როგორც კუს ტბის ფერდობები. აქ თითქმის ყველანაირი მშენებლობა აკრძალულია, გარდა ამ ტერიტორიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა.

თუმცა დანარჩენი სარეკრეაციო ზონები, პარკების უმეტესობა, მაგალითად, ვაკის პარკი, ვერის პარკი, კიკვიძის ბაღი და ა.შ. როგორც წესი, რზ2 – რეკრეაციული ზონა 2-ის სტატუსით სარგებლობს, სადაც თითქმის ყველაფრის აშენება ნებადართულია,

კუს ტბაზე ე.წ. „ციყვების“ ტერიტორიას, 2500 კვ.მ-ს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი უფრო დაბალი დაცვის სტატუსით შეეცვალა. 2011 წელს კი აუქციონზე გაიყიდა. კომპანია აქ ორსართულიანი რესტორნის მშენებლობას გეგმავს, რომელსაც საბანკეტო დარბაზიც ექნება.

■ „2009 წლიდან დღემდე არ ჩატარებულა ნარგავების პასპორტიზაცია, არ არის დამტკიცებული პარკების საზღვრები, არც ერთ პარკს არ ჰყავს ადმინისტრაცია და მათ მხოლოდ ტენდერების საფუძველზე უვლიან. დაგეგმილი სამუშაოები არ ეფუძნება აგროსტანდარტების განმსაზღვრელ დოკუმენტს (ასეთი დოკუმენტის არარსებობის გამო), რაც იწვევს ტენდერების არასწორ დაგეგმვას და, მეორე მხრივ, შეუძლებელს ხდის სამუშაოს მონიტორინგს. ქალაქში შექმნილია უმძიმესი ფიტოსანიტარული მდგომარეობა, თუმცა, არ ტარდება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებები.“

საცხოვრებელი სახლის გარდა, კაზინო იქნება ეს თუ რესტორანი.

კანონმდებლობის დახვეწასა და აგრონორმების დადგენასთან ერთად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ამ სამსახურის სასწრაფო რეფორმირების მომხრეა.

„ცხადია, რომ დღევანდელი ხელმძღვანელობა თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს და ამიტომ უნდა შეიცვალოს. ამასთან უნდა დაიხვეწოს კანონმდებლობაც და დაწესდეს ნორმები, რომელთა მიხედვითაც ეს სამსახური შესაფერისად იმოქმედებს“, – აცხადებს ურუშაძე.

ეკოლოგიის სამსახურისა და მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მოთხოვნით, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“, „მწვანე ალტერნატივამ“ და „უსაფრთხო სივრცემ“ თბილისის საკრებულოს წელს აპრილში მიმართეს და მიზეზებიც განმარტეს:

„2009 წლიდან დღემდე არ ჩატარებულა ნარგავების პასპორტიზაცია, არ არის დამტკიცებული პარკების საზღვრები, არც ერთ პარკს არ ჰყავს ადმინისტრაცია და მათ მხოლოდ ტენდერების საფუძველზე უვლიან. დაგეგმილი სამუშაოები არ ეფუძნება აგროსტანდარტების განმსაზღვრელ დოკუმენტს (ასეთი დოკუმენტის არარსებობის გამო), რაც იწვევს ტენდერების არასწორ დაგეგმვას და, მეორე მხრივ, შეუძლებელს ხდის სამუშაოს მონიტორინგს. ქალაქში შექმნილია უმძიმესი ფიტოსანიტარული მდგომარეობა, თუმცა არ ტარდება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებები“, – ვკითხულობთ ოფიციალურ განცხადებაში.

წესით, მერიის საქმიანობის რეალური კონტროლი საკრებულომ უნდა განახორციელოს, თუმცა, შეიძლება სამინისტროსაც ჰქონდეს გარკვეული ბერკეტები იმისა, რომ ზედამხედველობა განახორციელოს თბილისის გარემოს მდგომარეობაზე, ანდა მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, შეიქმნას თბილისის გარემოსდაცვითი კომიტეტი. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, პირველი პასუხისმგებელი რგოლი თვითმმართველი ერთეული უნდა იყოს და არა სამინისტრო.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ სამინისტროს რეალურად

რესურსიც არ ეყოფა იმისათვის, რომ ამგვარი მიკრომენეჯმენტი განახორციელოს და თითოეული ხის მოჭრაზე ნებართვა გასცეს, თუმცა, როდესაც დედაქალაქის გარემოზეა საუბარი, მისი აზრით, ქვეყნის გარემოსდაცვის სამინისტროს გარკვეული ბერკეტები უნდა ჰქონდეს.

„გასაგებია, რომ არ არსებობს სამართლებრივი ბერკეტი, რომლითაც სამინისტრო თვითმმართველობის საქმიანობაში ჩაერევა, მაგრამ როდესაც დედაქალაქის გარემოს შეუქცევადი ზიანი ადგება, ვფიქრობ, არსებობს გარკვეული მექანიზმები, რომელთა გამოწვევაც არის საჭირო და თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ მათი შექმნა აუცილებელი“, – ამბობს გუჯარაიძე.

ანა გაბრიადე ფიქრობს, რომ სამინისტროზე მეტად, ამ ეტაპზე, პროკურატურის აქტიურობა უფრო საჭიროა. „გაუგებარია, რატომ არ იძიებენ ამდენ გახმაურებულ საქმეს. მათი აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მით უმეტეს ახლა, როდესაც ამ გარდამავალ პერიოდში შეიძლება კიდევ უამრავი რამ გაიჩხვოს“, – ამბობს გაბრიადე.

ქალაქის გენერალური გეგმის ბოლო არსებული მონაცემების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ადგილი 5,6 კვადრატული მეტრია. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც 80-იანი წლების (13 მ2), ისე არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმას (11მ2). გარემოსდამცველების შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული გამწვანების მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნება, თუ თბილისის ძველი საზღვრებით განვიხილავთ, რადგან რამდენიმე წლის წინ თბილისის შინდისი, ტაბახმელა, ნაკვისი და სხვა სოფლები შემოუერთდა. ახლადმიერთებული რაიონები კი სასოფლო-სამეურნეო, ტყით დაფარული, სარეკრეაციო და საცხოვრებელი სარტყლებისგან შედგებოდა.

დედაქალაქის გარემოზე ზრუნვისათვის კონკრეტული მექანიზმები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ჯერჯერობით არ შეუქმნავენ.

სანამ დედაქალაქის მერია, სამინისტრო, საკრებულო თუ პარლამენტი გადაწყვეტენ, როგორ მიხედონ თბილისში გამწვანების პრობლემებს, ნატა ფერაძე საკამოდ აქტიურ, პარტიზანულ შემოდგომას გვპირდება. ■

სამხრეთ კავკასიის ხმები



ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროსა და „ლიბერალის“ ერთობლივი, ორენოვანი პროექტის ფარგლებში კავკასიელი ავტორები, მათ შორის აფხაზი და ოსი ჟურნალისტები, ყოველკვირეულად წერენ ჩვენი ჟურნალისათვის. „ლიბერალის“ სტატიები კი რეგიონის რუსულენოვანი აუდიტორიისათვის რუსულ ენაზე ითარგმნება. ორენოვანი სტატიების არქივი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე, www.liberali.ge

სტატიები მომზადებულია ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და ბიოლის ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხმების“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ჟურნალის რედაქციისა და „ბიოლის ფონდის“ პოზიციას.

ახალი პროპაგანდის ვარი

ილჰამ ალიევიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მესამედ მიიღო მონაწილეობა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. აზერბაიჯანში ჩატარებული არჩევნები დაგმო და მისი შედეგები ეჭვქვეშ დააყენა.

სემურ ქაზიმოვი

9 ოქტომბერს აზერბაიჯანში ქვეყნის პრეზიდენტად მესამე ვადით აირჩიეს ილჰამ ალიევი, რომელმაც ხმათა 85% დააგროვა. მისი მთავარი მონაწილედგე ჯამილ ჰასანლი იყო, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი, მას ხმა ამომრჩევლის 6%-მა მისცა. სწორედ ეს ციფრებია ასახული აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის შედეგებში.

იმ ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომელთაც აზერბაიჯანში ეგზიტპოლები ჩატარეს, უშუალოდ არჩევნების დამთავრებისთანავე ერთხმად აღიარეს, რომ ილჰამ ალიევი ხმათა 85-87% მიიღო. უნდა აღნიშნოს, რომ გადანაწილებულ ხმათა პროცენტული წილები თითქმის მსგავსი იყო ყველა ამ ეგზიტპოლის მიხედვით. ჯერ ოფიციალური მონაცემები არ იყო გამოცხადებული, რომ მოქალაქეების დიდი ჯგუფი ახალი აზერბაიჯანის პარტიის ოფისის წინ უკვე გამარჯვებას ზეიმობდა – ამ ზეიმს მმართველი პარტიის წარმომადგენლები და პრეზიდენტ ალიევის მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ესწრებოდნენ – არჩევნების დღის ბოლოს კი ილჰამ ალიევიმ აზერბაიჯანის მოქალაქეთა უმრავლესობას საკუთარი კაბინეტიდან პრეზიდენტად არჩევისათვის მადლობა გადაუხადა.

ოპოზიციამ არჩევნების შედეგების მიმართ



უნდობლობა გამოაცხადა. მისი განცხადებით, არჩევნები მნიშვნელოვანი გაყალბებით ჩატარდა და ეს ბაქოში თუ რეგიონში გადაღებული ვიდეომასალის დათვალიერებისას – ეს ვიდეოები ახლა ინტერნეტსივრცეში მუდმივად ტრიალებს – ჩანს, რომ ეს ასე იყო. გამოყენებულ იქნა „კარუსელის“ ტრადიციული მეთოდი, ბევრ საარჩევნო უბანში ბიულეტენებით წინასწარ გავსებული ყუთები მიიტანეს. მეტიც, ოპოზიციური და-



ფოტო: კლავდია მუსაფეაზაძე

ლების წარმომადგენელ ზოგ დამკვირვებელს საარჩევნო უბანში მოხვედრის საშუალება არ მიეცა, ოპოზიცია აცხადებს, რომ მათზე ზეწოლასაც კი ახდენდნენ. ზოგ საარჩევნო უბანზე კაბინაში ხნის მისაცემად ერთდროულად 3-4 პირი შედიოდა.

რასაკვირველია, მთავარი პრეტენზია ამ არჩევნების მიმართ ისაა, რომ ილჰამ ალიევიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მესამედ მიიღო მონაწილეობა – წინა კონსტიტუციის

თანახმად, მან ორჯერ, 2003 და 2008 წელს იყარა კენჭი და ორჯერ იქნა არჩეული. 2009 წელს აზერბაიჯანის კონსტიტუციაში გარკვეული დანარტები და შესწორებები იქნა შეტანილი, რომელთა მიღება სათანადო რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ გადაწყდა. ერთ-ერთი ასეთი შესწორების შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ ერთმა პიროვნებამ სიცოცხლის ბოლომდე დაჰყოს პრეზიდენტის თანამდებობაზე. ამის მიუხედავად, რა-

■ საარჩევნო პროცესი სიტყვის თავისუფლების და შეკრების თავისუფლების უხეში შეზღუდვებით მიმდინარეობდა. ეს კიდევ ერთი ხერხი იყო, რომლის გამოყენებითაც ალიევმა თანაბარი შესაძლებლობების კანდიდატთაგან ყველაზე მეტი უპირატესობა მიიღო.

მდენიმე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტი ახლა აცხადებს, რომ ალიევს ახალი შესწორების მიხედვით პრეზიდენტად არჩევის საშუალება არ მისცემია, რადგან მისი წინა არჩევის დროს სხვა კონსტიტუცია იყოს ძალაში, ის, რომ მან პრეზიდენტობის ფიცი სხვა, ძველ კონსტიტუციაზე დადო, ამიტომ 2009 წელს მიღებული შესწორების მიხედვით პრეზიდენტობის უფლება არ მისცემია.

და მაინც, ალიევმა ამ წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. ქვეყნის ოპოზიციურმა პარტიებმა ეროვნული საბჭო შექმნეს, რომელშიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ რეჟიმის მოწინააღმდეგე თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, მათ შორის, „მუსავატი“ და „სახალხო ფრონტი“ გაერთიანდა, შემდეგ კი, ხანგრძლივი მწვავე დისკუსიების შემდეგ, ერთიანი კანდიდატი წამოაყენა – ჯამილ ჰასანლი, მეცნიერი, ისტორიკოსი, პარლამენტის წევრი 2000-2010 წლების შუალედში.

არჩევნებში პრეზიდენტობის 10 კანდიდატი მონაწილეობდა, მაგრამ მთავარი კონკურენტები ილჰამ ალიევი და ჯამილ ჰასანლი იყვნენ. 10-დან 7 კანდიდატი მხარს მმართველ პარტიას უჭერდა. შესაბამისად, სამთავრობო პოლიტიკის კრიტიკისა და საკუთარი პლატფორმის წარდგინების სანაცვლოდ, ყველა მათგანი ოპოზიციის კანდიდატის მიმართ იჩენდა აგრესიას. ალიევი სახელმწიფო არხზე დაგეგმილ კანდიდატთა დებატებზე არც კი მივიდა, მან მის მიერ უფლებამოსილი პირები გაგზავნა. სწორედ ასევე არ მოუღიათ მონაწილეობა მას 2008 წლის არჩევნებში.

დებატებში მონაწილეობა არ ისურვა, თუმცა, სატელევიზიო გამოსვლები ალიევს მეტისმეტად ხშირად ჰქონდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო კამპანიის პერიოდში საკუთარი პროგრამის წარმოსაჩენად ყველა კანდიდატს თანაბარი დრო ეძლევა. ილჰამ ალიევს სხვა კანდიდატებზე გაცილებით მეტი საეთერო დრო მიეცა. ყოველდღიურად, რადიოთი, სახელმწიფო ტელეარხისა თუ საკაბელო არხების მეშვეობით, მას თითოეული კანდიდატისთვის გამოყოფილ 6 წუთზე გაცილებით მეტი დრო ეთმობოდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი არხები წინასაარჩევნოდ გამუდმებით უჩვენებდნენ მისი მამის, ქვეყნის წინა პრეზიდენტის, ჰაიდარ ალიევის კადრებს. ახალი აღარაფერია იმაში, რომ მას თანამედროვე

აზერბაიჯანის მამამთავრად იხსენიებენ. არჩევნების წინ გამორჩევით ესმებოდა ხაზი ჰაიდარ ალიევის განსაკუთრებულ დამსახურებებს ქვეყნის წინაშე. წინა პრეზიდენტი სწორედ ილჰამ ალიევის გაპრეზიდენტების წელს, 2003-ში გარდაიცვალა. შესაბამისად, პრეზიდენტობის კანდიდატს მისი მამის „საქმის ღირსეულ გამგრძელებლად“ მოიხსენიებდნენ.

საარჩევნო პროცესი სიტყვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების უხეში შეზღუდვებით მიმდინარეობდა. ეს კიდევ ერთი ხერხი იყო, რომლის გამოყენებითაც ალიევმა თანაბარი შესაძლებლობების კანდიდატთაგან ყველაზე მეტი უპირატესობა მიიღო.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურმა აზერბაიჯანში ჩატარებული არჩევნები დაგმო და მისი შედეგები ეჭვქვეშ დააყენა. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიამ არჩევნებიდან ერთი კვირის თავზე განმარტება გაავრცელა. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მათ 37 უბანზე საარჩევნო ყუთების ყალბი ბიულეტენებით ავსების აშკარა ფაქტები დააფიქსირეს, ხოლო საარჩევნო უბანთა უპრეცედენტო, 58%-ში ყველა შესაძლო ხასიათის დარღვევა გამოავლინეს. მათი დასკვნების საფუძველზე გადაწყდა, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფომ ეუთოს წინაშე საკუთარი ვალდებულება არ შეასრულა.

პარტია „ახალი აზერბაიჯანის“ თავმჯდომარემ, ალი აჰმადოვმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის რეაქციას ნაადრევი და მიკერძოებული უწოდა და „აზერბაიჯანის მოსახლეობის ნების უპატივცემულობაში“ დაადანაშაულა. „ჩემთვის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ეს წინასწარი ანგარიში არაობიექტური და უსამართლოა“.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებენ, რომ აზერბაიჯანში ჩატარებული არჩევნების შეფასებისას ხსენებულ ანგარიშსაც ეყრდნობოდნენ.

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო მისიებმა ამ არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. მათ განაცხადეს, რომ ილჰამ ალიევი თავისუფალი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის მეშვეობით, ხმათა გამოკვეთილი უმრავლესობით მოვიდა ქვეყნის სათავეში. ■



უნახლით მოპოვებული მოქალაქეობა

აფხაზეთის ხელისუფლება პასპორტების შემოწმებას იწყებს. აფხაზეთში რამდენიმე ათეული ათასი ქართულპასპორტიანი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ამის აღიარება ჯერ ნორმალურადაც ვერ მოხერხდა.

დემის პოლანდოვი, რადიო „თავისუფლება/თავისუფალი ევროპის“ მიმომხილველი, რადიო „ეხო კავკასიას“ აფხაზური ბლოკის ხელმძღვანელი

სკანდალი, რომელიც გალის რაიონის (ომამდელ საზღვრებში) მკვიდრთა პასპორტიზაციის გამო დაიწყო და წლების განმავლობაში არ ჩამცხრალა, თითქოს ახლა სრულდება. აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება (ალექსანდრე ანქვაბმა კი მას ხელი მოაწერა), რომლის თანახმადაც მთელ აფხაზეთში გაცემული პასპორტების მასშტაბური შემოწმება უნდა მოხდეს, რის შემდეგაც უკანონოდ გაცემული დოკუმენტების ჩამორთმევა დაიწყება. დადგენილების ტექსტის ამ ერთობ ზოგად ფორმულირებებში სავსებით კონკრეტული განზრახვა იგულისხმება: ჩამორთმევას აფხაზური პასპორტი იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აფხაზურთან ერთად საქართველოს მოქალაქეობაც აქვთ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ადამიანთაგან თითქმის 100% ეთნიკურად ქართველია, გასაგებია, თუ ვის ჩამორთმევენ აფხაზურ პასპორტებს. თუმცა

გადაწყდა, რომ ეთნიკური ნიშნით ასე მკაფიო გამოყოფას ხაზი არ გასმოდა.

ჯერჯერობით პასპორტი არავისთვის ჩამოურთმევიან და საიდუმლო არაა, რომ ხელისუფლებას საამისო სურვილი არც გააჩნია. გალის ელექტორატი ხომ იმით ფასობს, რომ ხმას ყოველთვის მორჩილად აძლევს მოქმედ ხელისუფლებას (ამაზე ადრე უკვე ვწერდი), ამის გამო კი სავარაუდოდ ყველაფერი ისე გაკეთდება, რომ პასპორტების მასობრივი ჩამორთმევა არ მოხდეს. და მაინც, ცალსახად რამის პროგნოზირება ჯერ ადრეა, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ძალთა რა თანაფარდობა იქნება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მომდევნო წლისა და რამდენიმე თვის განმავლობაში – პასპორტების კანონიერების შემოწმება და მათი ჩამორთმევა 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

■ აფხაზეთის მოქალაქეობას გალის რაიონის მკვიდრთა ერთ ნაწილს მაინც ჩამოართმევენ – ასე ვთქვათ, ქულების დასაწერად და „ფართო მასების“ დასაშოშმინებლად. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ ამ ნაწილს გაუჩნდება შესაძლებლობა აფხაზეთში ლეგალურად იცხოვროს, ისწავლოს და იმუშაოს ისე, რომ ადგილობრივი პოლიტიკის მძევლად არ იქცეს.



■ **გალის რაიონის მკვიდრთაგან თითქმის ვერავინ გრძნობს თავს აფხაზეთის მოქალაქედ. გალელები აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრირებულები არ არიან, არ არიან მზად, საჯაროდ იბრძოლონ თავიანთი სამოქალაქო უფლებების დასაცავად. თან მათ გაცილებით მეტად ანალვლებთ, თუ რას იტყვიან მათზე საქართველოში.**

თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, აფხაზეთის მოქალაქეობას გალის რაიონის მკვიდრთა ერთ ნაწილს მაინც ჩამოართმევენ – ასე ვთქვათ, ქულების დასანერად და „ფართო მასების“ დასამოშმინებლად. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ ამ ნაწილს გაუჩნდება შესაძლებლობა აფხაზეთში ლეგალურად იცხოვროს, ისწავლოს და იმუშაოს ისე, რომ ადგილობრივი პოლიტიკის მიქველად არ იქცეს.

ქართველების დაბრუნებას გალის რაიონში 1999 წელს აფხაზეთის ხელისუფლება იმ იმედით დათანხმდა, რომ ეს ნაბიჯი რესპუბლიკას დსთ-ს ქვეყნების მიერ მოწყობილი ბლოკადისგან დაიხსნიდა. რასაკვირველია, საერთაშორისო თანამეგობრობის ზენოლამაც მოახდინა გარკვეული გავლენა. ქართველები არამხოლოდ დაბრუნდნენ, არამედ თითქოს აფხაზეთის მოქალაქეებადაც იქნენ აღიარებულნი, მაგრამ აფხაზეთის პასპორტების გარეშე. „ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან“, – იმეორებდნენ აფხაზი მოხელეები. მაშინ ქართველები, რომელთაც მხოლოდ საბჭოთა დოკუმენტები და ფორმა N9 ჰქონდათ, არჩვენებშიც იღებდნენ მონაწილეობას. იმავდროულად ჩუმ-ჩუმად გალელებისთვის პასპორტების გაცემაც დაიწყო, მაგრამ ორმაგ მოქალაქეობაზე (რუსეთის მოქალაქეობა გამონაკლისი იყო სხვა დანარჩენ ქვეყნებს შორის) დანებებული აკრძალვის გათვალისწინებით, მალე მათგან იმ ფაქტის დადასტურება მოითხოვეს, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ჰქონდათ ნათქვამი.

აი, ეს განცხადება ფაქტობრივად ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს ან არ ადასტურებს, რომ ამა თუ იმ გალელს საქართველოს მოქალაქეობა აქვს. მერე რა, რომ საქართველოში ამ ქალაქს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. აფხაზეთში იგი ძალიან ბევრ რამეს ცვლის. ერთია, როცა საქმე აპატრიდებს ეხებათ (მოქალაქეობის უქონელ პირებს, რომელთა მიმართ საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს), ანუ აფხაზეთის იმ მკვიდრთ, რომელთაც საბჭოთა პასპორტები აქვთ და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ მიუღიათ, მაგრამ სულ სხვაა, როცა საქმე იმ მოქალაქეებზე მიდგება, რომლებმაც მეორე, თან, როგორც აფხაზეთში საქართველოს აღიქვა-

მენ, მტრული სახელმწიფოს მოქალაქეობა მიიღო.

საქმე მხოლოდ ფორმალობები არაა, რა თქმა უნდა. ჩემმა აფხაზმა კოლეგამ, ინალ ხაშიგმა შენიშნა, გალის რაიონში ამ ახალი დადგენილების წინააღმდეგ ხმა რატომღაც არავის აუმაღლებიაო, მაგრამ ამის მიზეზი ძალიან გასაგებია: გალის რაიონის მკვიდრთაგან თითქმის ვერავინ გრძნობს თავს აფხაზეთის მოქალაქედ. გალელები აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრირებულები არ არიან, არ არიან მზად, საჯაროდ იბრძოლონ თავიანთი სამოქალაქო უფლებების დასაცავად. თან მათ გაცილებით მეტად ანალვლებთ, თუ რას იტყვიან მათზე საქართველოში.


ერთი შეხედვით, გალელების უფლებებს დღეს თითქოს მოქმედი ხელისუფლების მომხრეები იცავენ, ხოლო ოპოზიციონერებს ნაციონალისტებს უწოდებენ. უდავოა, რომ ოპოზიციის ბანაკში ნაციონალისტებიც არიან (ქუჩის განწყობილებებზე არაფერს ვამბობ, უფრო ხშირად ანტიქართულია ხოლმე), მაგრამ ანქვების მომხრეებს აშკარად ზედმეტი მოსდით, როცა ნაციონალისტების კატეგორიას იმ ადამიანებს მიანერენ, ვინც ასეთი სრულებითაც არ არის. ესეც რომ არა, რალა უფლებების დაცვა გამოდის, თუკი გალელებს პასპორტების აღებას აიძულებენ – არა ფიზიკურად, რასაკვირველია, მაგრამ მოქალაქეობის უქონელ პირებზე სხვადასხვა აკრძალვების დანესებით (უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე, საზღვრის გადალახვაზე და ა.შ.), რაც მოქალაქეობის მიღებას სასიცოცხლო აუცილებლობად ხდის. გალელებს ამით აიძულებენ იცრუონ, როცა ადასტურებინებენ, თითქოს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი აქვთ ნათქვამი. დაბოლოს, ისე გამოდის, რომ ყოველი არჩევნების ბოლოს აფხაზეთის თავს მონეულ ყველა უბედურებაში გალელები აღმოჩნდებიან ხოლმე დამნაშავენი. მაშასადამე, არიან კი ნაციონალისტები ისინი, ვინც გალელებს საშუალებას აძლევს, არ მოიტყუონ, არ ეშინოდეთ – არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, რომელიც არფერში აინტერესებთ, ამის სანაცვლოდ კი აფხაზეთის მუდმივი მკვიდრის მკაფიო სტატუსს სთავაზობენ?

სხვა საქმეა, თუ რამდენი რამაა გასაკეთებელი, რომ ეს სტატუსი შინაარსითა

და დატვირთვით შეივსოს. ომის შემდეგ-დროინდელ აფხაზეთში ჯერაც ვერ მოხერხდა ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელზე დაყრდნობითაც საქართველოს მოქალაქეს შეეძლებოდა, რომელიმე საკითხის გამო ამა თუ იმ აფხაზეთის უწყებების მიემართა. მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსი, რომელიც მესამე ქვეყნის (რუსეთის გარდა) მოქალაქეებს თითქოსდა უნდა ეძლეოდათ, ჯერ საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მიუღია. ანუ ყველამ იცის, რომ აფხაზეთში რამდენიმე ათეული ათასი ქართულპასპორტიანი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ამის აღიარება ჯერ ნორმალურადაც ვერ მოხერხდა.

აღიარების გარდა, რასაკვირველია, კანონებში არაერთი ცვლილების შეტანა იქნება საჭირო. მთავარი კი ისაა, რომ მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის მქონე უცხოელ მოქალაქეს უფლება ჰქონდეს, საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონება საკუთარი ნებისამებრ განკარგოს (დღეს ეს უფლება არც ერთ უცხოელს არ გააჩნია). გალელებისთვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია: საკუთრება რომ გაეფორმებინათ, ისინი მაინც აფხაზეთის ვიზების და

რეგისტრაციის ამა თუ იმ განყოფილებას მიმართავენდნენ ხოლმე. რასაკვირველია, მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი საკმარისი უნდა იყოს ენგურზე საზღვრის დაუბრკოლებლად გადასაკვეთადაც. ზოგადად, მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის მქონე პირი ყველა სამოქალაქო უფლებით უნდა სარგებლობდეს, არჩეულად ყოფნის უფლების გარდა. თუ ეტალონად თანამედროვე ევროპის გამოცდილებას ავიღებთ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩევის უფლებაზეც შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ ეს გამოცდილება ჯერჯერობით ევროპაშიც კი ერთეულ შემთხვევებს ითვლის...

ზემოთხსენებული დადგენილების მიღებიდან ძალიან მალე მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის შესახებ აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებს ვესაუბრე. მათ მითხრეს, რომ კანონებში შესაბამისი ცვლილებები უახლოს მომავალში შევა, რათა ამ საკითხის მოგვარება ცივილიზებული ხერხებით გახდეს შესაძლებელი – გალელებისთვის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. 

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

წინასწარჩვენო აქტიურობა სამხრეთ ოსეთში

სამხრეთ ოსეთში საპარლამენტო არჩევნები 2014 წლის მაისშია დაგეგმილი, მაგრამ პოლიტიკური ამბიციების მქონე მოღვაწეებისა და პარტიების გააქტიურება უკვე ძალზე შესამჩნევია.

ვალერი ძუცვენი, ოსი პოლიტოლოგი

პოლიტიკური პარტიები იმდენად დიდი გზებით შეუდგნენ საქმეს, რომ სამხრეთ ოსეთის მეთაურს, ლეონიდ თიბილოვს უკვე დაუსწრებელ პოლემიკაში უწევს ჩართვა მათ ლიდერებთან. ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებთან თათბირის დროს, 7 ოქტომბერს, თიბილოვმა მისთვის ჩვეული მანერით, შეფარულად გააკიცხა პარტიათა გააქტიურება: „პარტიები ხალხს უნდა ემსახურონ, კი არ უნდა გააღიზიანონ ის. შეხედეთ ჩვენს საცოდავ ხალხს, რად გადააქციეთ? ადამიანებს აღარც თქვენი სჯერათ, აღარც არავისი, აბსოლუტურად“.

მისი ირიბი და გადაკვრით გამოთქმული საყვედურები იმითაცაა გამოწვეული, რომ დღეს განსაკუთრებით გააქტიურებული ზოგიერთი პარტიული ლიდერი თიბილოვის მთავრობის შემადგენლობაში შედის, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი ანატოლი ბიბილოვი. ეს უკანასკნელი უპირველეს ყოველისა იმითაა ცნობილი, რომ ოპოზიციის კანდიდატთან, ალა ჯიოევასთან საპრეზიდენტო პაექრობაში 2011 წელს პირწმინდად დამარცხდა.

გარდა იმისა, რომ ბიბილოვი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პარტიის, „ედინაია ოსეთიას“ ლიდერია, მას ორი წლის წინანდელი მარცხის მიუხედავად, როგორც ჩანს, ზურგს სერიოზულად უმაგრებს რუსეთი. ამიტომ თიბილოვს თავისი მინისტრის ამბიციების მოსათოკად მაინცდამაინც დიდი შესაძლებლობები არ გააჩნია.

„ედინაია ოსეთია“ მთავარ მიზნად ისახავს სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის ფარგლებში გაერთიანებას. ანუ რესპუბლიკის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად რაიმე დეტალური პროგრამის ნაცვლად, ბიბი-

ლოვის პარტია მასებს მარტივ და გასაგებ გამოსავალს სთავაზობს – რუსეთის ფედერაციაში შესვლას და სამხრეთ ოსეთის ყველა პრობლემის ერთი ხელის მოძრაობით მოგვარებას.

სამხრეთ ოსეთის მცირე რესპუბლიკის პირობებში, როცა მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რესურსი რუსეთიდან მოდის, რომელიმე მსხვილი პარტიის არსებობა ფინანსირების რუსულ წყაროებს უკავშირდება. საკმაო დამაჯერებლობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ სწორედ რუსეთის გარკვეული წრეები აფინანსებენ არა მხოლოდ „ედინაია ოსეთიას“, არამედ მის ძირითად თემას რფ-ს ფარგლებში გაერთიანების შესახებ. იმის ხსენებაც საკმარისი იქნება, რომ პარტიის ფუნქციონირების თქმით, მისი წევრების ოდენობა დღეს 2 000-ს სცდება. ეს უზარმაზარი ციფრია სამხრეთ ოსეთისთვის და იმ პარტიისთვის, რომელიც რესპუბლიკის პარლამენტშიც კი არ შედის. დღეს ძნელი სათქმელია, რას გულისხმობენ რუსი ავტორები საკუთარ სლოგანში სამხრეთ ოსეთის რუსეთში შესვლის შესახებ. ერთი მხრივ, ეს შეიძლება მხოლოდ მომგებიანი წინასწარჩვენო დაპირება იყოს, რომლის მეშვეობითაც „ედინაია ოსეთია“ და მისი რუსი მფარველები ხელისუფლებაში მოსვლას ფიქრობენ. მეორე მხრივ, ეს შეიძლება საქართველოზე ზემოქმედების მოხდენის უფრო ფართო, რუსული გეგმის ნაწილი იყოს.

რაკი საქართველოს ევროსაბჭოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ასე მძაფრად დგას პოლიტიკურ დღის წესრიგში, მოსკოვს, სავსებით შესაძლებელია, ამგვარი ბერკეტების მოსინჯვის და ქართულ საზოგადოებაზე ზეწოლის იმედი ჰქონდეს. ძალიან საეჭვოა, ამ გეგმებმა პრაქტიკულ სიბრტყეში



უახლოეს წლებში გადაინაცვლოს – თუნდაც რუსეთისათვის შესაძლებელი საერთაშორისო გართულებების გამო, თუმცა, როგორც „პიარ“ აქცია, ეს ზემოქმედების სახესებით გამოსადეგი იარაღია.

ბიბილოვის მხრიდან წამოსულ ამ გამოწვევას, სამხრეთ ისეთი მოქმედმა ხელისუფლებამ სულ მცირე, ორი პასუხი შეაგება. ერთი მხრივ, თიბილოვიც ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთის რფ-ში შესვლის მომხრეა, თუმცა აქ საუბარია რუსეთის ფედერაციის ეგიდით შეკრულ პოსტ-საბჭოთა სივრცის ამა თუ იმ გაერთიანებაში შესვლაზე. მეორე მხრივ, რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა „ედინაია ოსეთიაზე“ გამანადგურებელი იერიში მიიტანოს. 3 ოქტომბერს ინტერნეტ-რესურსმა ოსრადიო.რუ-მ მკითხველს ამცნო, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა პარტიაზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს. ამ საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად (მას კი ისეთი რეპუტაცია აქვს, თითქოს მოსკოვში ინფორმაციის სანდო წყაროები ჰყავს), მოსკოვის მხარდაჭერამ ანატოლი ბიბილოვს ისე ავნო, რომ ახლა მის წინააღმდეგ უკვე ცხინვალის ხელისუფლებაც ილაშქრებს. კერძოდ, 2013 წლის ივლისში, მოსკოვის მიერ სამხრეთ ოსეთისთვის განზრახ მოწყობილი ფინანსური შიშის პირობებში, რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ რესპუბლიკის რსს სამინისტროს 3 მლნ.-ზე მსხვილი დახმარება დაუფარავად და დემონსტრაციულად გამოუყო. იმის სანაცვლოდ, რომ ბიბილოვს ღიად დაუპირისპირდეს, ამ ინფორმაციის

თანახმად, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ უბრალოდ სამსახურებიდან დაათხოვნინა იმ საინფორმაციო საშუალებებში მომუშავე არაერთი პირი, რომლებიც საგანგებო სიტუაციათა მინისტრსა და მის პარტიას ინფორმაციული მხარდაჭერით უზრუნველყოფდნენ.

უკანასკნელი გამწვავებები სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში იმის მანიშნებელია, რომ მოსკოვი ცდილობს, რესპუბლიკაში ხელისუფლება შეცვალოს. რესპუბლიკის რუსი კურატორები მძაფრი ქმედებებისთვის მზად არ არიან, ამის მაგიერ იმედოვნებენ, რომ რესპუბლიკის პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებენ, მას მაქსიმალურ რესპექტაბელობას შესძენენ და საჭირო ცვლილებებს ამის მეშვეობით მოახდენენ. ამავე დროს, ჩნდება სამომავლოდ ასამოქმედებელი „პიარ“ თემა საპარლამენტო არჩევნებში პრომოსკოვური კანდიდატისათვის მიმზიდველობის მისანიჭებლად და საქართველოზე ზემოქმედების მოსახდენად. სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თემა ამიერიდან და მინიმუმ მთელი მომდევნო წლის განმავლობაში, პერიოდულად ამოტივტივდება ხოლმე ზედაპირზე. ასეა თუ ისე, რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნები, წესითა და რიგით, საკმაოდ საინტერესო მოვლენად უნდა იქცეს, რადგან სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური ბრძოლა უკვე ახლავე იძენს სერიოზულ მასშტაბებს. ■

გამოქვეყნებულია www.liberali.ge-ზე, 11.10.2013

■ რესპუბლიკის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად რაიმე დეტალური პროგრამის ნაცვლად, ბიბილოვის პარტია მასებს მარტივ და გასაგებ გამოსავალს სთავაზობს - რუსეთის ფედერაციაში შესვლას და სამხრეთ ოსეთის ყველა პრობლემის ერთი ხელის მოძრაობით მოგვარებას.

ჩრდილოეთ ოსეთის ახრევენი ყველასთვის ახ ახის

ჩრდილოეთ ოსეთი ჩრდილო კავკასიის მესამე ისეთი რეგიონია, რომელმაც რესპუბლიკის მეთაურის თავად არჩევაზე უარი თქვა და ეს არჩევანი რუსეთის ფედერაციის მეთაურს მიანდო.

ვალერი ძუცევი, ოსი ექსპერტი, კანადა

3 ოქტომბერს ჩრდილოეთ ოსეთის საპარლამენტო საბჭომ ხმათა უმრავლესობით დაუჭირა მხარი იმ ნორმების შეცვლას, რომელთა მიხედვითაც რესპუბლიკა მეთაურს ირჩევს. დეპუტატების წინადადებით, საყოველთაო არჩევნები ჩრდილოეთ ოსეთში სხვა – რუსეთის პრეზიდენტის მიერ დანიშნვის პროცედურით შეიცვლება. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთი ჩრდილო კავკასიის მესამე ისეთი რეგიონი გახდება, რომელმაც რესპუბლიკის მეთაურის თავად არჩევაზე უარი თქვა და ეს არჩევანი რუსეთის ფედერაციის მეთაურს მიანდო. სექტემბერში ინგუშეთის და დაღესტნის მოქმედი მეთაურები დანიშნენ ხელახლა საკუთარ თანამდებობებზე, იმის მიუხედავად, რომ იუნუსბეკ ევკუროვს ინგუშეთში და რამაზან აბდულატიპოვს – დაღესტანში სერიოზული ოპოზიცია ჰყავდათ, როგორც საზოგადოებაში, ისე ადგილობრივ ელიტებში.

რუსეთის ფედერაციაში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებსა და რუსულ რეგიონებს შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა გაჩნდა. უნდა ითქვას, რომ 2012 წელს პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის გადაწყვეტილებით, რუსეთში რეგიონების მეთაურების საყოველთაო არჩევნებში არჩევის წესი აღდგა. თუმცა წელიწადი არ იყო გასული, რომ ვლადიმერ პუტინმა რეგიონებს პირდაპირ არჩევნებზე უარის თქმის „უფლება მისცა“. დღევანდლამდე ამ „უფლებით“ მხოლოდ ინგუშეთი და დაღესტანი „სარგებლობდნენ“. ჩრდილოეთ ოსეთი შეიძლება მალე რუსეთის კიდევ ერთ არასანდო რეგიონად იქცეს.

ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ჩრდილოეთ ოსეთში ყოველთვის უყვარდათ რუსეთთან განსაკუთრებულ ურთიერთობაზე ხაზის გასმა. ახლა კი პრაქტიკულად ისე გამოდის, რომ მასსა და არასაიმედო კატეგორიაში შემავალ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს შორის განსხვავებაც არ ყოფილა. მოსკოვი მაინცდამაინც არ ცდილობს იმის დამალვას, რომ სწორედ ის ირჩევს, რომელ რეგიონებს ექნებათ საკუთარი გუბერნატორების არჩევითი წესით ყოლის უფლება, და რომლებს – არა. აგვისტოში, მაგალითად, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, მედვედევმა, სტავროპოლის მხარის ერთ-ერთ ახალგაზრდულ ბანაკს რომ სტუმრობდა, „ცოტა არ იყოს, განსხვავებული პოლიტიკური კულტურა“ ახსენა, რომელიც თურმე ზოგიერთ რეგიონში „დროებით“ პირდაპირი არჩევნების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. რუსი ექსპერტები განმარტავენ, კრემლი ამ „ცოტა არ იყოს, განსხვავებულ პოლიტიკურ კულტურაში“ ჩრდილოკავკასიური არჩევნების არაპროგნოზირებადობას გულისხმობს. ანუ იმას, რომ ამ რეგიონში არჩევნები რეალურ არჩევნებად შეიძლება გადაიქცეს, რომლით მანიპულირებას მოსკოვი ვერ შეძლებს.

ჩრდილოეთ ოსეთის ახლანდელი ლიდერის, თაიმურაზ მამსუროვის მეორე ხუთწლიანი ვადა 2015 წლის დასაწყისში გადის. მამსუროვი მესამე ვადისთვის მზადყოფნის შესახებაც აცხადებდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მოსკოვი მას ამ ნაბიჯს არ მოუწონებს. რესპუბლიკის ახლანდელი მეთაური უკანასკნელი ყოფილი



ლეონიდ თიბილოვი

„კომსომოლა“, რომელიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთს ედგა სათავეში. როგორც ჩანს, ახლა ყველა პოტენციური კანდიდატი პოლიტიკოსების მეტ-ნაკლებად ახალი თაობის წარმომადგენელი იქნება.

ახლა საკითხავია, როგორ ზეგავლენას მოახდენს არჩევნებზე უარის თქმა საკუთრივ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში. ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერის არჩევის წესი საბოლოოდ ჯერ განსაზღვრული არ არის, მაგრამ რესპუბლიკის პარლამენტში ძალთა ახლანდელი გადანაწილებით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებას ამ კანონის „გატანის“ ძალა შესწევს. ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, აქ საგრძნობი დისონანსი შეიქმნება – ჩრ-

პრობლემა არ გააჩნია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იქ დესტაბილიზაცია პრინციპულადაა შეუძლებელი. უკანასკნელი წლების იქაური მოვლენები მონიშნავენ, რომ თუ ისლამური მინისტრები ძალების პრობლემა არ ყოფილა, სამაგიეროდ პოლიტიკური ბანდიტიზმი ყვაოდა. მაგალითად, 2008 წელს რესპუბლიკაში მეხვიით გავარდა ვლადიკავკაზის მერზე, ასევე სერგეი ტარკოევზე, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და მთავრობის მეთაურზე შეიარაღებული თავდასხმის ამბავი. ჩრდილოეთ ოსეთის შსს-ში მაშინ სკანდალს სკანდალი მოსდევდა, რადგან გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, ყაზბეკ ბეკმურზოვის ლეიბლი ძმა ადამიანების გატაცებათა და მკვლელობათა სერიაში იყო გარეული. ესეც რომ არა, არც მთავრობასა და შსს-ს ხელმძღვანელობასაც აქვთ მარტივი ურთიერთობა. რაკი ჩრდილოეთ ოსეთის შსს მხოლოდ ნომინალურად ითვლება ოსურ სტრუქტურად, სინამდვილეში კი მოსკოვს ემორჩილება, დაძაბულობა რესპუბლიკის ხელისუფლებასა და პოლიციას შორის ხანდახან შთამბეჭდავ მასშტაბებს იღებს. შსს-სადმი მიმართული კრიტიკის შემდეგ, ამ წლის ივლისში ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარეზე, სტანისლავ კესაევზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

რაც უფრო მატულობს განსხვავება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებს შორის, მით მეტად დაიწყებენ საკუთარი სიტუაციის შედარებას ამ რესპუბლიკების მოსახლეობა და ელიტები სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან. იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ფაქტობრივად რუსეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებიან, ავტონომიურობა მაინც მათზე გაცილებით მეტი აქვთ. რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ მეზობლების ავტონომიურობის შემყურე ეს რესპუბლიკები კიდევ უფრო მეტად დააფასებენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და უმატებენ მცდელობებს, რუსეთში პოლიტიკური კრიზისის გამწვავების შემთხვევაში, მოსკოვისაგან მაქსიმალური პოლიტიკური ავტონომიურობა, რუსეთისაგან გამოყოფაც კი მოითხოვონ. ■

გამოქვეყნებულია www.liberali.ge-ზე, 24.10.2013



თაიმურაზ მამსუროვი

■ ხელისუფლების არჩევითობა სამხრეთ ოსეთში და ელიტების სრული უძრაობა – ჩრდილოეთ ოსეთში აუცილებლად გამოიწვევს ამ ორ მონათესავე ტერიტორიას შორის არასასურველი შედარების სურვილს.

დილოეთ ოსეთში პრეზიდენტის დანიშვნადობასა და მეზობელ სამხრეთ ოსეთში მის არჩევითობას შორის. აშკარაა, რომ სამხრეთ ოსეთში არჩევნები კრემლის პატრონაჟქვეშ ჩაივლის, და მაინც, აქ არჩევნებში სივრცე გარკვეული ინტრიგისთვის მაინც რჩება და მოსკოვი იძულებულია, ადგილობრივი მოსახლეობის განწყობებს ანგარიში გაუწიოს. ხელისუფლების არჩევითობა სამხრეთ ოსეთში და ელიტების სრული უძრაობა – ჩრდილოეთ ოსეთში აუცილებლად გამოიწვევს ამ ორ მონათესავე ტერიტორიას შორის არასასურველი შედარების სურვილს.

პრობლემის სხვა მხარეა სიტუაცია თვით ჩრდილოეთ ოსეთში. რესპუბლიკას, ინგუშეთისა და დაღესტნისგან განსხვავებით, შეიარაღებული „მინისტრები“ ძალების

უფლება, ხოხანის სომხეთში პატიმრებს უზღუდავად

სომხეთის კანონმდებლობის მიხედვით პატიმრებს აქვთ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლება, მაგრამ დამოუკიდებელი კომისია, როგორც წესი, მათ უარით ისტუმრებს.

კარინე ასატრიანი



შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი სისტემის წყალობით სომხეთში ვადაზე ადრე გათავისუფლების შანსი მინიმუმადე შეუმცირდათ მათ, ვისაც ამის იმედი ჰქონდა.

კანონმდებლობა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ვადაზე ადრე გათავისუფლების მთხოვნელთა მხოლოდ 30% აღწევს სასურველ შედეგს.

„ეს სომხეთის სისხლის სამართლის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარეა. მსჯავრდებულთაგან ყველაზე მეტი საჩივარი სწორედ ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე მომუშავე კომისიის გამო მოგვდის“, – ამბობს სომხეთის პელსინკის ჯგუფის წევრი, უფლებათა დამცველი ავეტიკ იშხანიანი.

2011 წელს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ განცხადება 895 მსჯავრდებულმა დაწერა, ამათგან 583-ს უარი ეთქვა. 2012 წელს ასეთი განცხადება 868 იყო, მათგან 552-ის თხოვნა არ დაკმაყოფილდა.

უფლებათა დამცველმა ავეტიკ იშხანიანმა საინტერესო კანონზომიერება შენიშნა, როცა ხსენებული განცხადებების შესწავლა დაიწყო – უარს, როგორც წესი, ისეთ პატიმრებს არ ეუბნებოდნენ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნის სულ რამდენიმე თვეა ჰქონდათ დარჩენილი, მაშინ, როცა სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, პი-

რობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნის შეტანა მაშინაა შესაძლებელი, როცა პატიმარს მისჯილი ვადის ნახევარი ამოეწურება (დანამატის სიმძიმის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს მთლიანი ვადის 1/2 ან 2/3). ასეთ შემთხვევაში სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში შეისწავლოს მსჯავრდებულის განცხადება.

სომხეთში გადაწყვეტილება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ სამი ორგანოს - სისხლის სამართლებრივ-აღმასრულებელი დაწესებულების ადმინისტრაციის, დამოუკიდებელი კომისიის და სასამართლოს - მონაწილეობით მიიღება.

დამოუკიდებელ კომისიას აქვს უფლება, განმცხადებელს ახსნა-განმარტებების გარეშე უთხრას უარი, მაშინაც კი, როცა მსგავსი დაწესებულება განცხადებას დადებით წერილობით სვლას აძლევს. გადაწყვეტილება, რომელიც 2006 წლის პრეზიდენტის განკარგულებას ეფუძნება, გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იშხანიანი ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, რა სტანდარტებითა და პარამეტრებით ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი კომისია ასეთ დროს. მსჯავრდებულებისთვის გამოცანად რჩება, რა შეუძლიათ ან აღარ შეუძლიათ მათ მოიმოქმედონ საიმისოდ, რათა ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ.

მსჯავრდებული რუბენ ა. სასჯელალსრულებ-

ბის დაწესებულებაში სამაგალითო ქცევის პატიმრად ითვლებოდა. იმ 3 თვისა და 9 თვის განმავლობაში, რომელიც 7-წლიანი ვადიდან უკვე მოხდელი ჰქონდა, არც ერთ დარღვევაში არ ყოფილა შენიშნული, პატიმრობის დროს ისწავლა ინგლისური და ესპანური ენები.

სომხური კანონმდებლობის თანახმად, მას ასეთი მონაცემების გამო უფლება ჰქონდა, ვადის 1/2-ის შემდეგ გათავისუფლებულიყო. თუმცა, დამოუკიდებელმა კომისიამ მისი გათავისუფლება მიზანშეუწონლად ჩათვალა და განცხადება არ დააკმაყოფილა. მსჯავრდებულის იმედს არ კარგავს და სექტემბრის ბოლოს ხელახლა აპირებს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ თხოვნის დაწერას. სახლში მას მარტოხელა ხნიერი დედა ელოდება, რომელიც ამასთან მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.

პატიმარ ა. აივაზიანის მშობლები დროდადრო პრეზიდენტის რეზიდენციასთან დგებიან, რათა საკუთარი შვილის პრობლემა ხილული გახადონ – არც ერთი რგოლი, რომელთაც მისი გათავისუფლება ხელეწიფებათ, ამ გადაწყვეტილებას არ იღებს.

„პატივცემული პრეზიდენტო, თქვით თქვენი თანხმობა, რომ ჩვენი ვაჟი ვადაზე ადრე გათავისუფლონ“, – ამბობს აშოტ აივაზიანი, პატიმრის მამა.

მათ შვილს 14 წელი ჰქონდა მისჯილი, ვადის 2/3 მან უკვე მოიხადა, შესაბამისად, სომხური კანონმდებლობის თანახმად, აქვს უფლება, გათავისუფლებას ელოდოს. როცა მისი არა ერთი განცხადებიდან უკანასკნელზეც პასუხად უარი მიიღო, აივაზიანმა პროტესტის ნიშნად პირი და თვალები ამოიკერა. მის მშობლებს ხშირად ეკითხებიან, თუ რად არ მიმართავენ სასამართლოს. „განა სასამართლო დამოუკიდებელია?“ – ამბობს მსჯავრდებულის მამა, „ისიც ხომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელოდება“.

უფლებადამცველი ავეტიკ იშხანიანი თვლის, რომ ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის მიღება პატიმრების ქცევაზე მძიმედ აისახება. მისი თქმით, როცა პატიმარმა იცის, რომ გათავისუფლების მხრივ შეღავათს არ უნდა ელოდოს, დისციპლინირებულ ქცევაში დაინტერესებული აღარაა. გარდა ამისა, ხშირი უარი ციხეების გადავებასაც იწვევს. „8 პატიმრისთვის განკუთვნილ საკანში ხანდახან 20 ადამიანი ზის“, – ამბობს იშხანიანი.

სომხეთში ამ მომენტისათვის 4 780 მსჯავრდებული იხდის სასჯელს.

ერთ-ერთი პატიმრის დედის, მარგარიტა

აკოპიანის აზრით, სომხეთში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება პრაქტიკულად აღარ არსებობს. მისი თქმით, ვერ იხსენებს, რომ ვინმეზე ასეთი რამ გაეგოს. მაშ, რა არის იმის მიზეზი, რომ ეს სისტემა ქვეყანაში უუნარო გამოდგა? უფლებადამცველი მიქაელ დანიელიანი ამ კითხვას ძალიან იკვირებს. „სომხეთში ვცხოვრობთ!“ – მაძლევს მოკლე და ამომწურავ პასუხს.

შარშან საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა“ სომხეთის რესპუბლიკაში ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემის შესახებ გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვის საფუძველზე და ეუთო-ს ერევნის ოფისის მხარდაჭერით სათანადო ანგარიში მომზადდა. დოკუმენტი მხოლოდ არსებული პრობლემების კონსტატირებას კი არ ახდენს, წინადადებებსაც შეიცავს ვითარების გამოსასწორებლად.

ანგარიშის ავტორების აზრით, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემა სომხეთში სერიოზულ რეფორმირებას მოითხოვს. მთელ რიგ სამართლებრივ აქტებში ცვლილებებია შესატანი, უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებიც ძველი წევრებისგან უნდა გათავისუფლდეს და ახალი სპეციალისტებით უნდა დაკომპლექტდეს, რომელთაც ახალი უფლებამოსილებები და ქმედების ახალი ინსტრუმენტები მიეცემათ.

გაითვალისწინებს კი სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება ამ წინადადებებს? ჰელსინკის კომიტეტის თავმჯდომარე ავეტიკ იშხანიანი ამბობს, რომ ყოველთვის, როცა უფლებადამცველები ამ საკითხს აყენებენ, ხელისუფლება მათ სასამართლო-სამართლის სისტემაში მოსახდენი რეფორმების პაკეტს უფრიალებს, რომელთა განხორციელების დროდ 2016 წელია მითითებული.

როგორც კი საუბარი ადამიანების ბედზე ჩამოვარდება, ბ-ნი იშხანიანი წონასწორობას კარგავს: „მათი ბედ-იღბლის უგულებელყოფა დიდი შეცდომაა. მსჯავრდებულებთან ასე მოპყრობა არ შეიძლება. თითოეული მათგანი ჩვენი მოქალაქეა, ადამიანია“, – ამბობს ის და დასძენს, რომ ადამიანს იმედის უფლება აქვს, იმედის წართმევა – არაადამიანობაა. იშხანიანი დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიტყვებს გვახსენებს: „მაჩვენეთ თქვენი ციხეები, და გეტყვით, როგორ საზოგადოებაში ცხოვრობთ.“

გამოქვეყნებულია www.liberali.ge-ზე, 27.10.2013

■ 2011 წელს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ განცხადება 895 მსჯავრდებულმა დაწერა, ამათგან 583-ს უარი ეთქვა. 2012 წელს ასეთი განცხადება 868 იყო, მათგან 552-ის თხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მასწავლებელი ჩახახიც ნახაში

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სერტიფიცირებას არაფრისმომცემი უწოდა. განათლების სამინისტრო პედაგოგებისთვის კარიერული ზრდისა და შეფასების ახალ სქემაზე მუშაობს. სკოლაში მოტივირებული და კარგი მასწავლებლების შესანარჩუნებლად და ახალი, პროფესიონალი კადრების მოსაზიდად კი სახელმწიფოს უფრო კომპლექსური მუშაობა მოუწევს.

ლიკა ზაკაშვილი



ილუსტრაცია სურვილი ქვემოთ / შიდაში

ნინო ფანჩულიძე 52-ე საჯარო სკოლის პედაგოგია. საღამოს 7 საათზე, თბილისში, ერთ-ერთი კაფეში შეხვდით. შეხვედრა ისე დავუნიშნე, არ გამიფრთხილებია, რომ მასთან ინტერვიუს ასაღებად და ზოგადი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ მივდიოდი. ზუსტად ვიცოდი, რომ ნინოს ჩართული ჩამწერის დანახვა არ შეაშინებდა. არც სკოლაზე და განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ საუბარს შეუშინდებოდა.

ვისაც ერთხელ მაინც უცდია საქართველოში, საჯარო სკოლის პედაგოგებთან სკოლის პრობლემებზე ლიად საუბარი, იცის, რას ნიშნავს ეს. რა თქმა უნდა, არსებობენ გამონაკლისები და ჩემს შემთხვევაში ეს გამონაკლისი 52-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ნინო ფანჩულიძეა.

ნინო სკოლაში 2003 წლიდან მუშაობს. მისი პედაგოგიური კარიერა ერთ-ერთ კერძო სკოლაში, გახანგრძლივებულ კლასში მუშაობით დაიწყო. კერძო სკოლაში სამი წელი იმუშავა. თვეში 20 ლარს იღებდა.

„თეორიული ცოდნა არაფერს მოგცემს, თუ ბავშვებთან მუშაობის სურვილი არ გაქვს. ბავშვებს თანატოლად ვღებულობ. როცა შენს მიმართ სიყვარულს ავლენენ, ურთიერთობა მზრუნველობით ხდება. სანამ ყველა არ ისწავლიდა, ვერ ვისვენებდი. არავინ არ მაძალბებდა. 20 ლარზე ვმუშაობდი. სამი წელი ვიმუშავე ამ ანაზღაურებით. შემდეგ 80 ლარამდე გამიზარდეს“. – იხსენებს ნინო.

2010 წლიდან საჯარო სკოლაში ასწავლის, იმ დროიდან, როცა პირველად ჩატარდა მასწავლებელთა სერტიფიცირება. 2010 წლიდან, ზოგადი განათლების სისტემაში არსებობენ სერტიფიცირებული და არასერტიფიცირებული პედაგოგები. სერტიფიცირებული მასწავლებელთა წარმატებულობის განსამზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახდა.

როგორც ნინო ამბობს, თავად პედაგოგები, პედაგოგის წარმატებულობას სერტიფიკატის ფლობით არ განსაზღვრავენ. სერტიფიკატს დიდ მნიშვნელობას მშობელი და სკოლის დირექცია ანიჭებს.

„მე უნარებში არც მოვზადებულვარ, ისე ჩავაბარე. პედაგოგების უმეტესობა სერტიფიცირებას პროფესიული განვითარების შესაძლებლობად არ აღიქვამს. ბევრისგან მიმიღია რჩევა: ჩააბარე, მოიშორე, კლასში მაინც არავინ გამოწმებს“, – ამბობს ნინო.

ნინო ფანჩულიძის განწყობა თითქმის ემთხვევა პედაგოგთა იმ 30%-ის აზრს, რომლებიც სერტიფიცირების საჭიროებას ვერ ხედავენ.

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ 2012 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სადაც 1901 პედაგოგი გამოიკითხა, პედაგოგთა 30.1 პროცენტი სერტიფიცირების საჭიროებას საერთოდ ვერ ხედავს. მკვლევართა აზრით, ეს პროცენტი საგულისხმოა. 2008 წელთან შედარებით, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სერტიფიცირება საჭირო არ არის, გაიზარდა. 2008 წლის კვლევით პედაგოგთა 19 პროცენტი ვერ ხედავდა სერტიფიცირების საჭიროებას.

გამოკითხულთა თითქმის მესამედი, 32 პროცენტი აღიარებს, რომ სერტიფიცირება დროული და აუცილებელია. მხოლოდ 4.2 პროცენტი მიიჩნევს, რომ სერტიფიცირების პროცესის დაწყება 2010 წლიდან დაგვიანებული იყო. 27 პროცენტი ამბობს, რომ სერტიფიცირება საჭიროა, მაგრამ არა ამ ეტაპზე.

განათლების ექსპერტის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის, გიორგი გახელაძის თქმით, მასწავლებლების წარმატებულობა თეორიული გამოცდებით ვერ გაიზომება, რადგან მასწავლებლობა პრაქტიკული პროფესიაა, ტესტებით კი პედაგოგების პრაქტიკულ საქმიანობას ვერ ვამომწმებთ.

მასწავლებელთა შეფასების სისტემა რომ დასახვეწია, ამაზე დღეს ყველა თანხმდება. გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, მაია მიმინოშვილმა „ლიბერალთან“ მიმდინარე წლის აგვისტოში მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ პედაგოგის პრაქტიკული საქმიანობის კომპონენტი შეფასების მიღმა და პედაგოგის ბედი ერთი გამოცდით არ უნდა წყდებოდეს.

ჟურნალისტებთან 21 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე, სერტიფიცირებას „არაფრისმოძვემი“ უწოდა განათლების ახალმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

მისი თქმით, სულ მალე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პედაგოგებისთვის კარიერული ზრდისა და შეფასების ახალ სქემას წარმოადგენს, რომელიც უფრო სამართლიანი იქნება. მინისტრის თქმით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი კარიერის განვითარების საფეხურების მიხედვით განისაზღვრება.

ნინო ფანჩულიძე, კოლეგებთან ერთად, ელოდება ამ ახალი სქემის პრეზენტაციას,

■ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ 2012 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სადაც 1901 პედაგოგი გამოიკითხა, პედაგოგთა 30.1 პროცენტი სერტიფიცირების საჭიროებას საერთოდ ვერ ხედავს. მკვლევართა აზრით, ეს პროცენტი საგულისხმოა. 2008 წელთან შედარებით, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სერტიფიცირება საჭირო არ არის, გაიზარდა. 2008 წლის კვლევით პედაგოგთა 19 პროცენტი ვერ ხედავდა სერტიფიცირების საჭიროებას.

■ „არ ხდება არც პოზიტიური და არც ნეგატიური გამოცდილების გაცვლა. თითქოს ამისთვის არავის სცალია. ერთი სული აქვთ, როდის გაიქცევიან სკოლიდან. სკოლაში ახალგაზრდა, მოტივირებულ ადამიანს შეიძლება პროფესიული ზრდის სურვილი გაუქრეს. ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ. სახელმწიფომ კომპლექსურად უნდა იმუშაოს პრობლემის მოგვარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლა დაკარგავს მოქმედ პედაგოგთა კორპუსში საუკეთესოებს და ახალგაზრდა ნიჭიერი კადრის მოზიდვაც გაუჭირდება.“ – ამბობს ნინო.

თუმცა მიაჩნია, რომ მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე სახელმწიფომ უფრო კომპლექსურად უნდა იფიქროს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნაზე ზრუნვაა. მისივე თქმით, მასწავლებლის მოტივირებისა და კარიერული ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა სასკოლო გარემოა. მასწავლებელს სკოლის ადმინისტრაცია ყველა საჭირო რესურსით უნდა ამარაგებდეს.

„გაკვეთილზე შედეგს მხოლოდ ცარციტ ვერ მიაღწევ. საკუთარი სახსრებით, ხშირად ვყიდულობ ფლაერებს, ვამზადებთ პლაკატებს“, – ამბობს ნინო.

მისივე თქმით, ქართული ზოგადი განათების სისტემაში კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა არ არსებობს.

„არ ხდება არც პოზიტიური და არც ნეგატიური გამოცდილების გაცვლა. თითქოს ამისთვის არავის სცალია. ერთი სული აქვთ, როდის გაიქცევიან სკოლიდან. სკოლაში ახალგაზრდა, მოტივირებულ ადამიანს შეიძლება პროფესიული ზრდის სურვილი გაუქრეს. ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ. სახელმწიფომ კომპლექსურად უნდა იმუშაოს პრობლემის მოგვარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლა დაკარგავს მოქმედ პედაგოგთა კორპუსში საუკეთესოებს და ახალგაზრდა ნიჭიერი კადრის მოზიდვაც გაუჭირდება.“ – ამბობს ნინო.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლის პროფესიის „ვირტუალური“ იმიჯი წინააღმდეგობაშია რესპოდენტთა წამორდგენასთან ამ პროფესიის ემპირიული ღირებულების შესახებ. რესპოდენტთა უმრავლესობა, ერთი მხრივ, თვლის, რომ პედაგოგობა საპატიო პროფესიაა და მას არა ხელმოცარული, არამედ წარმატებული ადამიანები ირჩევენ, თუმცა, მეორე მხრივ, პედაგოგებს არ სურთ, რომ მათი ოჯახის წევრებმა მუშაობა სკოლის მასწავლებლად დაიწყონ.

„უნდა ვეძებოთ მიზეზები, რაც დღეს საშუალო განათლების სისტემის და კონკრეტულად, სკოლების წინაშე დგას. ამ პრობლემებს შორის, გამოკითხვის შედეგებით, უმწვავესია დაბალი ხელფასების პრობლემა“. ასევე პრობლემატურია „არსებული სახელმძღვანელოების დაბალი დონე, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე, მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის, პედაგოგთა პროფესიის არაპრესტიჟულობა და სხვ.“ – ვკითხულობთ კვლევაში.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, ანაზღაურების ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ალტერნატიულ სამსახურზე არ იფიქრონ. იგივე ანაზღაურებით, სხვა სამსახურის შეთავაზების შემთხვევაში, მასწავლებელთა უმრავლესობა (სულ მცირე 52.6%) არ აპირებს სკოლის დათმობას. თუმცა, როცა მასწავლებლებს უკეთესად ანაზღაურებად სხვა სამსახურს სთავაზობენ, რომელიც მათ ინტერესებს პასუხობს, ისინი მაღალანაზღაურებადი სამსახურის სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებას. ყოველი მესამე პედაგოგი (31.4%) სამსახურის გამოცვლას უპირობოდ თანხმდება, ხოლო დამატებით ყოველი მეოთხე სამსახურის შეცვლისკენ იხრება.

აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევით გამოვლინდა ერთგულ პედაგოგთა ის ნაწილი – თითქმის 29 პროცენტი, რომელიც მასწავლებლობას არც ერთ სხვა სამსახურში არ გაცვლიდა, თუნდაც უკეთესი ანაზღაურების შეთავაზების სანაცვლოდ.

ჯამში, იმ მასწავლებელთა ხვედრითი წილი, რომლებიც სხვა სამსახურში გადასვლას უკეთესი ანაზღაურების პირობებში არ გამოორიციხავენ, მაინც – 71.2 პროცენტია.

პედაგოგთა ეს ჯგუფი, სასურველ ანაზღაურებად, თვეში, საშუალოდ, დაახლოებით 710 ლარს ასახელებს. სხვა სამსახურში გადასვლის მომზადებული ფინანსური პირობა გაცილებით მეტი – თვეში, საშუალოდ, დაახლოებით 955 ლარია.


„მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის კვლევის“ მიხედვით, 2018 წლისათვის ქვეყანაში 20 000-მდე ახალი მასწავლებლის მომზადება იქნება საჭირო, იმ დაშვებით, რომ არსებული კონტინგენტი მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას დატოვებს სამსახურს.

ექსპერტების თქმით, პროფესიონალი მასწავლებლების დეფიციტის შესასვებად იმ სახელმწიფო პროგრამების გაძლიერებაა მნიშვნელოვანი, რომლებიც საუკეთესო კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისკენ იქნება მიმართული. სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული განათლების სისტემების კვლევა აჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიღწევები მნიშვნელოვნად იზრდება იქ, სადაც ძირითადი აქცენტი პედაგოგის პროფესიაში მოტივირებული, მაღალი მოსწრების კურსდამთავრებულთა მოზიდვასა და მათ შემდგომ განვითარებაზე კეთდება.

ქართულმა განათლების სისტემამაც უნდა მოიფიქროს, როგორ შეინარჩუნოს ნინო ფანჩულიძე სკოლაში. ■

ბიოხიზი ზიზზიზაქა

12 წლის



ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ფიქრი ერთ-ერთი იმ მთავართაგანია, რაც ადამიანმა ხშირად უნდა აკეთოს. მე ყოველწამს რაღაცაზე ვფიქრობ, რაღაცას ვიაზრებ. ფიქრი ადამიანის ტვინს ავითარებს, რაც უფრო მეტს ფიქრობ, მით უფრო კარგად აზროვნებ და კიდევ უფრო მეტს იფიქრებ.

ჩემი ნახატებიც ფიქრის შედეგია... ზოგისთვის ალეგორიულია, მაგრამ არა ჩემთვის. მე სრულიად ვერ ვხვდები,

რას ვხატავ. ძალიან დიდი ხანია ვხატავ, ხელი განაფულია იმაში, რომ ყველა თავში გაელვებული აზრი ნახატში ასახოს და უკვე აღარც ვცდილობ, ნახატი საინტერესო, ლამაზი ან აზრიანი გამოვიდეს. ეს ყველაფერი თავისთავად ხდება.

ამ ნახატში რაღაცები იბადებიან და მერე ისევ საკუთარ სანყისს უბრუნდებიან. ■



ფოტო: ლუბან სარაძე

დედები, ჩემთვის ახალი ზღვარია

უკვე წლებია ქვეყანაში მარტოხელა დედების პრობლემა დგას, თუმცა ეს პრობლემა არც სახელმწიფოს და არც საზოგადოების მხრიდან საჯაროდ აღიარებული არ არის. ქვეყნის კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც მარტოხელა დედის სტატუსს განმარტავდეს და სახელმწიფოს ავალდებულებდეს იზრუნოს მარტოხელა დედების სოციალურ კეთილდღეობაზე. გარდა იმისა, რომ მათთვის არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემა და მთელ რიგ სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ, მარტოხელა დედები სიღარიბის მაღალ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან. ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანაში მარტოხელა დედების რაოდენობა 31 000 აღწევს.

თათია ხალიანი



ნანუკა სხვადასხვა ტრავმებით, ნაადრევად დაიბადა. აქვს ეპილეფსია, მიკროცეფალია და ცერებრალური დამბლის ნიშნები. მისი მკურნალობა საკმაოდ ძვირი ჯდება, რისი საშუალებაც დედას არ აქვს. მარტოხელა დედა რამდენიმე წელი უშედეგოდ ითხოვდა სოციალურ დახმარებას. ორი თვის წინ კი სოციალური სააგენტოდან დადებითი პასუხი მიიღო. მისი შემოსავალი მხოლოდ სოციალური დახმარებისა და ნანუკას ასლარიანი პენსიისგან შედგება. იმის გამო, რომ ნანუკას მუდმივი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება, მაკა მუშაობას ვერ ახერხებს. ხანდახან მეზობლებს და ნაცნობებს სარეცხს ურეცხავს, ან სახლს ალაგებს, ისინიც ოც ან ოცდაათ ლარს უხდიან.

თითქმის ერთი თვეა ნანუკა საჯარო ბაღში დადის, თუმცა მხოლოდ დღის ორ საათამდე. რადგან, როგორც მაკა ამბობს, რთული ქცევების და სპეციალური საჭიროებების გამო ნანუკას ბაღში გაჩერება უჭირს.

“არავინ მყავს დამხმარე, არც ოჯახის წევრები, არც სხვა ვინმე. ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჩემი შვილი კარგად იყოს, მაგრამ ვერსად ვტოვებ, რომ ვიმუშაო. უამრავი წამალი სჭირდება, მუდმივად ექიმის კონტროლი, ამისთვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვმუშაობდე, რომ ეს შევძლო,” - ამბობს მაკა.

ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე დიდი ხანია მარტოხელა დედების პრობლემებზე მუშაობენ. მათ არაერთი მარტოხელა დედა აკითხავთ, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის საჭიროებები აქვთ. უმეტეს შემთხვევაში, ისინი საკუთარი ოჯახის წევრების და საზოგადოების გულგრილობის შედეგად უსახლკაროდ რჩებიან. სახელმწიფოს მხრიდან კი მათთვის განსაკუთრებული დახმარების პროგრამა არ არსებობს. უფრო მეტიც, სახელმწიფოს ისიც კი არ აქვს განსაზღვრული, მარტოხელა დედებს რა კატეგორიის ადამიანები წარმოადგენენ. არასამთავრობო ორგანიზაციებში მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ჯერ უნდა აღიაროს ამ ადამიანების არსებობა და შემდეგ უკვე განსაზღვროს შესაბამისი სოციალური პოლიტიკა.

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელში“ ამბობენ, რომ მათი გამოცდი-

კანონმდებლოაში შესატანი ცვლილებები

პარლამენტის მიერ ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში „საქართველოს შრომის კოდექსში“ შევა შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

▶ მე-17 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით აიკრძალება ორსული ან ახალნამშობიარევი ქალის, მარტოხელა დედისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

▶ მე-19 მუხლის თანახმად, დასაქმებულ მარტოხელა დედას მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. მიცემული აღნიშნული შესვენება მარტოხელა დედას სამუშაო დროდ ეთვლება და უნაზღაურდება.

▶ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შეიზღუდება მარტოხელა დედის სამსახურიდან გათავისუფლება ბავშვის 5 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში.

▶ ცვლილებები შევა ასევე კანონში „სოციალური დახმარებების შესახებ“ საქართველოს კანონის ემატება ნორმა, რომლის მიხედვით, ამავე კანონით გათვალისწინებული სოციალური პაკეტის დანიშნვის საფუძველი შეიძლება იყოს პირისათვის მარტოხელა დედის სტატუსის ქონა.

▶ ცვლილებები შევა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, რომლის მიხედვითაც, მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირის მიერ სასამართლოსადმი მამობის დადგენის თაობაზე სარჩელით მიმართვისას, სასამართლოს შეუძლია შესაბამისი სასამართლო პროცესის დასრულებამდე გადაავადოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) მიღებისათვის საექსპერტო დანებსებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ საექსპერტო დანებსებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურების საკითხი გადაწყდება ამ კოდექსის 53-ე – 55-ე მუხლების შესაბამისად.

ერთ პატარა, უფანჯრო ოთახში, სადაც მხოლოდ საწოლი და კარადა დგას, 28 წლის მაკა ხუთი წლის შვილთან, ნანუკასთან ერთად მარტო ცხოვრობს. ნანუკას მამამ ისინი ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე თვეში დატოვა. ოთხ წელზე მეტია მაკამ ეს ოთახი ორმოცდაათ ლარად იქირავა და მას შემდეგ აქ ცხოვრობს. მაკა თავისი შვილის მამასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილა, თუმცა ბავშვს მამამ გვარი მისცა.

ლების საფუძველზე მარტოხელა დედის პრობლემა ერთი კონკრეტული ქალის პრობლემა აღარ არის და ორგანიზაციას ათასობით მარტოხელა დედა აკითხავს. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყო საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც მარტოხელა დედებისთვის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფდა.

„ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ-მა ქსელმა“, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოსა“ და USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისტემური ცვლილებების ხელშეწყობა მარტოხელა დედებისთვის, სოციალური და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შეეხება კანონმდებლობაში „მარტოხელა დედის“ სამართლებრივი სტატუსის ასახვას, ასევე, მსგავსი კატეგორიის პირებისათვის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შექმნას.

უპირველესად „მარტოხელა დედის“ სტატუსი განისაზღვრება. ცვლილებების მიხედვით, მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ქორწინების გარეშე ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი და მის დაბადების მონაცემებში არ არის ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ. ასევე, ის ქალი, ვისაც ჰყავს აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში. თუკი ქალი დაქორწინდება, მას მარტოხელა დედის სტატუსი ავტომატურად შეუწყდება.

„ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ექსპერტი იურიდიულ საკითხებში გაია გოგიბერიძე ამბობს, რომ 1995 წლის მთავრობის განკარგულებაში არსებობდა ჩანაწერი, რომელიც ადგენდა, ვინ შეიძლება ჩათვლილიყო მარტოხელა დედად, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ განკარგულება გაუქმდა და აღარ მოქმედებდა. შესაბამისად, მსგავსი სტატუსის განსაზღვრის წესი რეგულირების მიღმა დარჩა.

„უნდა განისაზღვროს, თუ ვინ ჩათვლება მარტოხელა დედად და როგორია მარტოხელა დედის საკანონმდებლო განმარტება. თუ არ ვიცით, ვინ არიან ამ კატეგორიის ადამიანები, დახმარებას ვერ გავუწევთ, ამიტომ პირველი ეტაპი

სწორედ ეს არის. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მიდგომები არსებობს, მაგრამ ყველგან მიიჩნევა, რომ ეს არის გარკვეულწილად მონყვლადი ჯგუფი და მათ გარკვეული დახმარება სჭირდებათ. აქ არ არის საუბარი მარტო გარკვეულ მატერიალურ დახმარებაზე, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის შეღავათები, იგივე დასაქმებასთან დაკავშირებით“, – ამბობს გაია გოგიბერიძე.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ქვეყნის მთელ რიგ კანონებში და მათ შორის შრომის კოდექსში ცვლილებებს გულისხმობს, განხილვის პროცესშია. სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან

■ ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, 2000 -2012 წლების ჩათვლით, საქართველოში 31 801 ბავშვია დაბადებული, რომელთა დაბადების მონაცემებში მამის გრაფა ცარიელია. 2012 წლის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ქვეყანაში 18 528 ბავშვი დაიბადა, აქედან მხოლოდ დედის განცხადებით, სამშობიაროდან 1 411 ბავშვი გაიყვანეს.

განხილვის შემდეგ, პროექტი პარლამენტს წარედგინება. როგორც სამუშაო ჯგუფში ამბობენ, სტატუსთან დაკავშირებით შეთანხმება არსებობს, მაგრამ გარკვეული ცვლილებები უშუალოდ ბიუჯეტთან არის დაკავშირებული, ამ ეტაპზე სწორედ ასეთი ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს.

თუკი ეს ცვლილებები დამტკიცდება, მაკა მარტოხელა დედის სტატუსის გარეშე დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ მას ქორწინების გარეშე ჰყავს შვილი, ნანუკას მამამ გვარი მისცა, შესაბამისად, ის ამ სტატუსით ვერ ისარგებლებს. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მარტოხელა დედის სტატუსის განსაზღ-

ვრას უკავშირდება, ინიციატივაზე მომუშავე ჯგუფისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს ქალების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრს“. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს არა მარტოხელა დედის, არამედ მარტოხელა მშობლის სტატუსი.

ორგანიზაციის დამფუძნებელი და ექსპერტი გენდერულ საკითხებში ელენე რუცესკაია ამბობს, რომ მნიშვნელოვანია მარტოხელა მშობლის ან მარტოხელა მომვლელის სტატუსი იყოს განხილული, რადგან ხშირად არა მხოლოდ დედა, არამედ მარტოხელა შეიძლება იყოს ბებიაც, მამაც და მომვლელიც.

„მართალია, დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დედებს. ხშირად, როცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იბადება, მამა ტოვებს შვილს და ქალს მარტო უხდება ბავშვის აღზრდა. მას არ აქვს არანაირი შეღავათები და კომპენსაციები. რომც ჰქონდეს პროფესია, ვერ გადის სამსახურში, რადგან ვერ ტოვებს შვილს. მნიშვნელოვანია ამ პრობლემაზე დაიწყო საუბარი“, – ამბობს ელენე რუცესკაია.

ორგანიზაციამ ევროპის თერთმეტი ქვეყნის შრომითი კანონმდებლობა განიხილა, სადაც ცალკე არსებობს მარტოხელა მშობლებისთვის განსაკუთრებული პირობები შრომით ურთიერთობებში, ან კანონმდებლობა უფრო შეღავათიან პირობებს ითვალისწინებს. როგორც ორგანიზაციაში ამბობენ, ამ ქვეყნების შრომითი კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით, ბევრ ქვეყანაში გვხვდება არა მარტოხელა დედის, არამედ მარტოხელა მომვლელის ცნება. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ ამ საკითხზე დისკუსია უნდა გაგრძელდეს და საზოგადოება შეჯერდეს საერთო აზრზე, ამისათვის აუცილებელია მიზნობრივი ჯგუფების ჩართვა, ყველა მხარის მოსაზრების შეჯერება და ანალიზი.

„ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ რეგიონალური კოორდინატორი ელისო ამირეჯიბი ამბობს, რომ სტატუსი ყველა ქალს სჭირდება, ვინც მარტო ზრდის შვილს, თუმცა ამ შემთხვევაში იმდენად დიდი რიცხვი გამოდის, რომელსაც სახელმწიფო ვერ გასწვდება.

„უნდა გამოიყოს კატეგორიები ამ ქალე-
ბს შორის, როგორც სოციალური, ასევე
სამართლებრივი დახმარების კუთხით“, –
ამბობს ელისო ამირეჯიბი.

ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინ-
ფორმაციის საფუძველზე, 2000 -2012
წლების ჩათვლით, საქართველოში 31 801
ბავშვია დაბადებული, რომელთა დაბადე-
ბის მონობაში მამის გრაფა ცარიელია.
2012 წლის მონაცემებით, ქორწინების გა-
რეშე ქვეყანაში 18 528 ბავშვი დაიბადა,
აქედან, მხოლოდ დედის განცხადებით, სამ-
შობიაროდან 1 411 ბავშვი გაიყვანეს.

„ეს არ არის მხოლოდ უარყოფილი ქალი
და ბავშვი, არამედ ეს არის უამრავი თანმ-
დევნი პრობლემა, რომელიც მას მოჰყვება.
ეს არის არასრულფასოვნების განცდა,
სტიგმა, სიღარიბე, მხარდაჭერის სისტემის
არარსებობა“, – ამბობს ელისო ამირეჯი-
ბი.

როგორც ქალთა უფლებების დამცვე-
ლები ამბობენ, მარტოხელა დედები მძი-
მე სოციალურ მდგომარეობასთან ერთად
ყველაზე მეტად განიცდიან საზოგადოე-
ბის, საკუთარი ოჯახის წევრების დამოკი-
დებულებას, რომ ისინი მიტოვებულები
არიან, ამიტომ ხშირად მათ სჭირდებათ
რეაბილიტირება, ღირსების აღდგენა და
მამის გრაფაში ბავშვის მამის ვინაობის და-
ფიქსირება.

2011 წლის ბოლოდან სამოქალაქო კო-
დექსში შესული ცვლილებების შემდეგ
საქართველოს კანონმდებლობა იძლევა
საშუალებას, მამობა სასამართლო წესით
დადგინდეს. თუკი მამა შეიღზე უარს
იტყვის, დედას შეუძლია სასამართლოში
სარჩელი შეიტანოს და სავარაუდო მამას
გენეტიკური ანალიზის ჩატარება სასამარ-
თლოს წესით მოსთხოვოს. თუკი მოპასუხე
მხარე ანალიზის ჩატარებაზე მინც უარს
განაცხადებს, მისი "მამობა" ავტომატუ-
რად დადგინდება.

მამობის დამტკიცება ნიშნავს, რომ მას
გარკვეული პასუხისმგებლობებიც ეკის-
რება, მაგალითად, ალიმენტის გადახდა –
შემოსავლის დაახლოებით 20-25 პროცენ-
ტი. თუმცა, როგორც ელისო ამირეჯიბი
ამბობს, ასეთ შემთხვევაშიც, აღსრულების
მექანიზმი არ არსებობს, ანუ მამა გადაი-
ხდის თუ არა ალიმენტს ამაზე პასუხს არა-
ვინ მოსთხოვს.

გარდა ამისა, დნმ-ის გენეტიკურ ანალი-

**„ქალაქობისგან დაცვის
ეროვნული ქსელის“ მიერ
ჩატარებული კვლევის
შედეგები**

კვლევაში მონაწილეობა 60 ქალმა
მიიღო. 60-დან 38 ქალი იყო უმუშევარი.
ბევრმა მათგანმა, რომელსაც ბავშვის და-
ბადების დროს თვეში 30-დან 300 ლარა-
მდე ხელფასი ჰქონდა, დაკარგა სამუშაო
ადგილი. ბავშვის დაბადების შემდეგ 17
ქალი ცხოვრობდა თავშესაფარში და 19
ნაქირავებ ბინაში.

ბავშვის დაბადებამდე რესპონდენ-
ტების უმეტესობა, 52 ქალი (გარდა 8 ქა-
ლისა, რომლებიც ცხოვრობდნენ მარტო
ან თავიანთ ქმრებთან ერთად), ბავშვის
დაბადებამდე ცხოვრობდა მშობლების
სახლში. მათ არ გააჩნდათ არანაირი
პირადი საკუთრება (ორი ქალის გარდა,
რომლებსაც მემკვიდრეობით გადაეცათ
ბინა).

რესპონდენტთა უმრავლესობა ბავშ-
ვის სავარაუდო ბიოლოგიურ მამასთან
არარეგისტრირებულ ურთიერთობაშია.
რამდენიმე რესპონდენტი ჯვარდნაწერი-
ლია. ბავშვის სავარაუდო ბიოლოგიურ
მამასთან ქალების ურთიერთობის ზო-
გადი ხანგრძლივობა 3-დან 6 თვემდეა.
მამაკაცთან ურთიერთობა უმეტესობამ
დაფხმძიმების შემდეგ შეწყვიტა.

60 გამოკითხულიდან მხოლოდ 8
რესპონდენტმა თქვა, რომ ბიოლოგიუ-
რი მამის რეაქცია პოზიტიური იყო. 52
მამაკაცს კი, რესპონდენტების თქმით,
შემდეგი სახის რეაქცია ჰქონდა: კაცები
იხზოვდნენ აბორტის გაკეთებას, მიმარ-
თავდნენ ქალების წინააღმდეგ ფიზიკურ
ძალადობას, სრულიად წყვეტდნენ ქალ-
თან და მის მომავალ შეიღთან ურთიერ-
ობას და უარს ამბობდნენ ბავშვის შვი-
ლად აღიარებაზე.


60-დან 42-ს არ უნდოდა აბორტის
გაკეთება, 18-ს სურვილი ჰქონდა, მაგრამ
ზოგს ფული არ ჰქონდა და ზოგისთვის
უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა.

კვლევის მიხედვით, 60 ქალიდან 20-მა
აღნიშნა, რომ ფინანსურად არავინ ეხმარე-
ბოდა. შეიღმა ქალმა თქვა, რომ პერიოდუ-
ლად ბიოლოგიური მამა ეხმარება, აქედან
ორი იღებს ალიმენტს. 8 ქალი დახმარებას
იღებს თავშესაფრის წევრებისგან. 60-დან
25 ქალს მუდმივად ან პერიოდულად ეხმა-
რება ოჯახი. თუმცა, როგორც ისინი ამბო-
ბენ, ეს დახმარება მინიმალურია.

ზი 1600 ლარი ღირს. მართალია, ნაწილს
მოპასუხე იხდის, მაგრამ მარტოხელა დე-
დისთვის, 800 ლარიც საკმაოდ დიდი თან-
ხაა, რომლის გადახდასაც ხშირად ვერ
ახერხებენ. ამას „ქალაქობისგან დაცვის
ეროვნული ქსელის“ მიერ ჩატარებული
ახალი კვლევა აჩვენებს, რომელიც დნმ-ის
ტესტით მამობის დადგენისას მარტოხელა
დედებში მატერიალურ და არამატერია-
ლურ სირთულეებს იკვლევდა. კვლევაში
მონაწილეობა 60-მა ქალმა მიიღო. რო-
გორც კვლევამ აჩვენა, მთავარი სირთულე
დნმ-ის ტესტით მამობის დადგენისას ქა-
ლების ფინანსური მდგომარეობაა.

კვლევაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში
სპეციფიკური სოციალური პროგრამები
ამ კატეგორიის ადამიანებისთვის არ არ-
სებობს და საქართველოში მარტოხელა
დედას მატერიალური დახმარების მიღება
მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი
სოციალურად დაუცველი ოჯახების მო-
ნაცემთა ბაზაში მოხვდება. ამასთანავე,
ეს სოციალური დახმარება არა მხოლოდ
სიმბოლურია, არამედ გენდერულად არა-
სენსიტიურიცაა და არ ითვალისწინებს ქა-
ლებისა და, კონკრეტულად, მარტოხელა
დედების სპეციფიკურ საჭიროებებსა და
გამოცდილებას.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მრჩევე-
ლი გენდერულ საკითხებში თამარ საბე-
დაშვილი მიიჩნევს, რომ ყველა მოწყვლადი
ჯგუფი ქვეყნის სოციალური პოლიტიკის
პრიორიტეტი უნდა იყოს. მისი თქმით,
მარტოხელა დედების ჯგუფი მრავალფე-
როვანია და ყველას ერთნაირი პრობლე-
მები შეიძლება არ ჰქონდეს, ამიტომ უნდა
დაიგეგმოს კომპლექსური პოლიტიკა, რო-
მელიც შეეხება როგორც განთლების სი-
ტემას, ისე სოციალურ მომსახურებას და
ჯანდაცვას.

„უნდა ვიცოდეთ, რა კონტიგენტზეა
საუბარი. ჯერ უნდა გამოიკვეთოს ოჯახე-
ბის რაოდენობა, შემდეგ უკვე ზუსტად გა-
ნისაზღვროს, ვის სჭირდება დახმარება,
ვინ არის უფრო მოწყვლადი ჯგუფი, უნდა
ჩატარდეს საჭიროებების შეფასება. მარ-
ტოხელა დედებს უფრო მეტი საჭიროებები
აქვთ, რაც მოუგვარებელია. არსებობს
საკითხები, რომლებსაც შესწავლა სჭირდე-
ბა და მათი მოგვარება ნამდვილად სახელ-
მწიფოს პასუხისმგებლობაა“, – ამბობს თა-
მარ საბედაშვილი. 

რა სურთ ქალებს სოფლად?

სოფლად მცხოვრები ქალების დღე საქართველოში

„ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის წინსვლას. საქართველოში ეს უდიდესი რესურსი ჯერაც არ არის სათანადოდ გამოყენებული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეგიონებში. ამიტომაც გაეროს განვითარების პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს სოფლად მცხოვრები ქალების ხელშეწყობას“, – ნილს სკოტი, გაეროს მუდმივი კოორდინატორი/გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში.



15 ოქტომბერს, სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღეს, კაჭრეთში შეიკრიბა 50-ზე მეტი ფერმერი და საკრებულოს წევრი ქალბატონი. ლონისძიების ორგანიზატორი იყო გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).



მთვარისა ჯანგიძე

საკრებულოს წევრი, ყვარელი

„მინდა ვურჩიო სოფლად მცხოვრებ ქალბატონებს, იამაყონ იმით, რომ ქალები არიან, არასოდეს დაიხიონ უკან სასიკეთო და საქმიანი ნაბიჯის გადადგმისას, სჯეროდეთ, რომ ყველაფერს შეძლებენ“.



ნუნუ გოციაშვილი

ფერმერი, დაბა წაღვერი

„ვთვლი, რომ წარმატებულად გავაგრძელებ მოღვაწეობას და ხუთ წელიწადში უფრო გავაფართოებ ჩემს მეურნეობას და ვაწარმოებ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს“.



ეკა ბუზარიაშვილი

საკრებულოს წევრი, საგარეჯო

„ქალისათვის წარმატების მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანია სწორად დასახული მიზანი და საქმიანობა, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს“.



ნანული ქიტოშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ თანამშრომელი, სოფელი კატრეთი

„წარმატების მისაღწევად ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ოჯახის მხარდაჭერა“.



ნინო მელიქიძე

ფერმერი, სოფელი დაბა

„პოლიტიკაშიც და ბიზნესშიც ქალის ჩართულობა აუცილებელია, რადგან ქალი გამოირჩევა საქმის ერთგულებით“.



ცირა გრიგალაშვილი

ფერმერი, სოფელი დაბა

„სოფლად მცხოვრებ ქალებს ვურჩევდი უფრო აქტიურად ჩაერთონ სამეურნეო საქმიანობაში და გაერთიანდნენ წარმატებისთვის, მაგალითად შექმნან ფერმერ ქალთა ასოციაცია“.



ნათელა პაპუნაშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ დირექტორი, სოფელი კატრეთი

„ხუთი წლის შემდეგ ალბათ უკვე პენსიაზე გასული ბებია ვიქნები. უკვე 15 წელია ვწერ წერილებს ჩემს ჯერ არდაბადებულ შვილიშვილს ცხოვრებისეულ საკითხებზე. როცა რეალურად ბებია გაცხდები, უფრო თბილი და ტკბილი ვიქნები, როგორც ჩემი ბებიები იყვნენ“.



მანანა მეტრეველი

კახეთის ფერმერ ქალთა ასოციაციის წევრი, ქალაქი წნორი

„ფერმერობა საკმაოდ რთულია, რადგან აქ ფულის შოვნა მალე არ ხდება. ბევრი შრომაა საჭირო. ფერმერ ქალთა ასოციაცია შევქმენით, რათა ყველას ვუთხრათ - დროა საქმე ვაკეთოთ, საქართველოში ახალი სოფლის მეურნეობა და ახალი ტექნოლოგიები უნდა დავნერგოთ“.



ირინე ფხოველიშვილი

კახეთის ფერმერ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე, სოფელი ვაქირი

„საკრებულოში ქალის როლი ძალიან დიდია. ქალი უფრო მოქნილი და დიპლომატიურია. ალღოთი ხვდება კრიზისულ სიტუაციას და ცდილობს მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს“.





ჭიათურა

მინის ზემოთ და მინის ქვეშ

ჭიათურის მალაროებში მუშებს საკმაოდ რთულ პირობებში უხდებთ მუშაობა. ყოველდღიურად მინის ქვეშ გატარებული 8 საათი და მძიმე ფიზიკური შრომა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მუდმივ საფრთხეს უქმნის. თუმცა მანგანუმის მომპოვებელი სამუშაოები იმ ადამიანებსაც აზარალებს, ვისაც შახტებთან უშუალო შეხება არ აქვთ. სშირი მინისქვეშა აფეთქებები შახტების თავზე მცხოვრები ოჯახების სახლებსა და კარ-მიდამოს ძალიან აზიანებს.

გიორგი გოგუა






ქიათურის დიდი ნაწილი საბაგირო გზებითაა დაქსელილი.



ქალაქში ყველაზე პოპულარული და მოსახერხებელი ტრანსპორტი საბაგირო კაბინებია.



დისპეჩერი საბაგირო სიგნალს ელოდება, რომ საბაგირო კაბინა ერთი სადგურიდან მეორეში გაამგზავროს.



ბაბუცა აბაშიძე თავისი ძველი, ბეტონით ნაგები სახლის წინ გრძელ სკამზე ზის. ოქტომბერია. ჩამოცვენილი ხილის შეგროვებას ცოტა ხნის წინ მორჩა და ისვენებს. სამოცდათვრამეტი წლის მოხუცისათვის სახლ-კარის დალაგება არცთუ ადვილი საქმეა, რადგან დამხმარეც არავინ ჰყავს: შვილები დიდი ხანია, მასთან აღარ ცხოვრობენ, ქმარი ხუთი წლის წინ გარდაეცვალა – მას შემდეგ მარტოა. მხოლოდ მეზობლები თუ შემოუვლიან, ისიც იშვიათად. მისი საცხოვრებლის ირგვლივ ყველა სახლი ან ნაწილობრივ, ან მთლიანად დანგრეული და ცარიელია. უა-



ერთადერთი, რაც საბაგიროს განახლებაზე მაინიშნებს, სხვადასხვა ფერის საღებავის ფენებია, რომელიც კაბინის გაცრეცილ კედლებზე მოჩნს.

ხლოესი მეზობლის ეზო კი დაახლოებით ათი წუთის სავალზეა.

ჭიათურის ამ პატარა უბანში ქალაქის ცენტრიდან მისასვლელი უახლოესი გზა გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული საბაგიროა. ხის სქელი კარებით, მაღალი ჭერითა და კედლებზე ლაქებად შემორჩენილი მუქი მწვანე საღებავით ძველ, დიდი ხნის გაურემონტებელ სადგურში საბაგიროს მგზავრები ათ წუთში ერთხელ კაბინის მოსვლას ელოდებიან. მტვრის სქელი ფენით დაფარული მოუვლელი კედლები წლების წინ ნახევრად თეთრი, ნახევრად მუქი მწვანე უნდა ყოფი-

ლიყო – ისევე, როგორც საბჭოთა დროინდელი საჯარო დაწესებულებების უმეტესობა. ახლა კი მტვრისგან მრუმე ფერი დაჰკრავს.

მგზავრები ძირითადად ან მაღაროს მუშები არიან, ან მათი ოჯახის წევრები. ეს სადგური ქალაქის ცენტრთან ორ მაღაროს, „გამარჯვებასა“ და „ოცდახუთს“ აკავშირებს. ბაბუცა აბაშიძე სწორედ ამ უკანასკნელის თავზე ცხოვრობს. მის დასახლებასაც, სადაც ოდესღაც ათეულობით ოჯახი ცხოვრობდა, „ოცდახუთი“ ჰქვია. დღეს იქ მცხოვრები ოჯახებიდან სულ რამდენიმე ადამიანიღა შემორჩა – ძირითადად ორმოცდაათს

გადაცილებულები. ახალგაზრდები აქ აღარ არიან – ვისაც შეეძლო, მალაროს სიახლოვეს ცხოვრების სირთულეს გაექცა. დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ან წასასვლელი არსად ჰქონდათ, ან სახლ-კარი მისატოვებლად ვერ გაიმეტეს. „აფეთქებები ჩვენთან ბუნებრივი მოვლენასავითაა – ყოველდღიურ რყევებსა და ხმაურს ისე შევეჩვიეთ, როგორც მზის ამოსვლას ან წვიმას“, – ამბობს ლეიზა ჩაჩანიძე, ბაბუცა აბაშიძის მეზობელი, რომლის სახლიც, ისევე როგორც ყველა იქაურის, დაბზარული და ჩამონგრეულია.

ქარია. საბაგიროს კაბინა, რომელიც სადგურ „ოცდახუთს“ უახლოვდება, მსუბუქად ირყევა. 50-იანი წლების შემდეგ საბაგირო გზა ერთხელაც არ გარემონტებულა. ერთადერთი, რაც განახლებაზე მიანიშნებს, სხვადასხვა ფერის საღებავის ფენებია, რომელიც კაბინის უკვე კარგა ხნის წინ გაცრეცილ კედელზე მოჩანს. სადგურთან მიახლოებასთან ერთად მანგანუმის ნარჩენებისგან გაშავებული მდინარის (გადამუშავებული მასალა ქარხნებიდან პირდაპირ ყვირილაში იყრება) ხმაურს მალაროს რომელიღაც დანადგარის მონოტონური რახრახი ანაცვლებს. როგორც ჭიათურელები ამბობენ, მდინარე მხოლოდ მაშინ იწმინდება, როდესაც მანგანუმის გადამამუშავებელი ქარხნები არ მუშაობს.

შუადღის სამი საათია. მუშების ერთი ჯგუფი ცვლას ამთავრებს, სხვები კი ადმინისტრაციის ჩაბნელებულ ოთახში ცვლის უფროსის მითითებებს ისმენენ. შემდეგი რვა საათი – ოთხის ნახევრიდან თორმეტის ნახევრამდე – შახტაში უნდა გაატარონ. ჭერიდან ჩამოსული წყლისაგან დალაქავებული შენობის სუსტად განათებულ დერეფანში დაგვიანებული მუშები დროგამოშვებით თუ ჩაივლიან, რომ სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვან, „პაიკა“, ანუ საკვების დღიური პორცია აიღონ და დანარჩენებს შეუერთდნენ. საკვების რაციონი იმ რამდენიმე ცვლილებათა შორისაა, რომლებიც მალაროელების შარშანდელ გაფიცვას მოჰყვა. ახლა საკვებად მესამედის ნაცვლად მთელი თავი უური აქვთ. „პაიკას“ შარშანდელს შემდეგ ძეხვის ნაჭრები და დესერტად პატარა ნამცხვარიც კი დაემატა.

რამდენიმე წუთში შემდეგი ცვლა დაიწყება და მალარო ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. მუშები შახტას ნელ-ნელა ტოვებენ. ნაწილი გარეთ მუშაობს, მალაროდან ამოღებული მანგანუმი ჯერ უნდა დაამტვრიონ, შემდეგ ამ ნატეხებით რკინის ორტონიანი





ქმრის გარდაცვალების შემდეგ ბაბუცა აბაშიძე მალაროს თავზე, დასახლება „25“-ში, თავის ძველ სახლში მარტოდ მარტო ცხოვრობს.



მინისქვეშა აფეთქებები მალაროს თავზე აშენებულ სახლებს ძალიან აზიანებს.



ბაბუცა აბაშიძის სახლის კედლები დაზარულია, თუმცა ამის გამო მას კომპენსაცია არასდროს აუღია.



პატარა ჩინური ელმავალი, რომელმაც სავსე ვაგონები ტურბინამდე უნდა წაიღოს, მწყობრიდანაა გამოსული, ამიტომ მუშებს მათი ხელით გაგორება უწევთ.

ვაგონები უნდა გაავსონ: დღის გეგმა შესასრულებელია. პატარა ჩინური ელმავალი, რომელმაც წესით სავსე ვაგონები გადაამუშავებელ ტურბინამდე უნდა წაიღოს, დიდი ხანია მწყობრიდანაა გამოსული, ამიტომაც მანგანუმისაგან სახეგაშავებულ მუშებს მათი ხელით გაგორება უწევთ.

დატვირთული ვაგონი რელსებზე მიმედ მირახრახებს. ტურბინა, სადაც ტვირთი უნდა ჩაიცალოს, კლდეზე გადგმული გრძელი ფიცრული ნაგებობის ბოლოშია. მორყეულ იატაკზე ფიცრები ერთმანეთისგან იმდენადაა დაშორებული, რომ უზარმაზარი ხრამი ეგრევე ჩანს; ვაგონების მოძრაობა კი მთელ ამ კონსტრუქციას განუწყვეტლივ არყევს. თუმცა მანგანუმის ტურბინაში ჩა-

ცლისაგან გამონვეული რყევა და ხმაური ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რასაც მალაროს მინისქვეშა აფეთქებები იწვევს. ეს განსაკუთრებით მალაროს თავზე მცხოვრებ მოსახლეობას აწუხებს, რომელთა შორის თვით მუშების ოჯახებიც არიან. მათი სახლები და კარ-მიდამო მინისქვეშა რყევების შედეგად იმდენად ზიანდება, რომ უმეტეს შემთხვევაში იქ ცხოვრება შეუძლებელია.

ზოგმა ოჯახმა, ვინც სახლ-კარის დაზიანების გამო მიღებული კომპენსაციით ახალ საცხოვრებელში გადასვლა შეძლო, იქაურობა დატოვა. ლუიზა ჩაჩანიძის სახლის ერთი მხარე მინისქვეშა აფეთქებების შედეგად მთლიანად ჩამოინგრა. ხეხილისა და ვენახის დიდი ნაწილიც გაუხმა, თუმცა როგორც ამ-



მალარო „25“.



მუშები მალაროზე დღის განმავლობაში 3 ცვლად, 7-8 საათის განმავლობაში მუშაობენ.



ტურბინა, სადაც გადასამუშევრელი მანგანუმი უნდა ჩაიცალოს, ძველი, არამყარი ფიცრული ნაგებობის ბოლოშია.

ბოზს, კომპენსაციით მიღებული 9000 ლარი კარ-მიდამოს აღსადგენადაც არ ეყო.

ზოგ ოჯახს კი დაზიანების საზღაური საერთოდ არ მიუღია. „გვითხრეს, სახლი გრანიტზეა აშენებული და დაზიანების საფრთხე ნაკლებიაო“, – ამბობენ ისინი. კომპენსაცია არც ბაბუცა აბაშიძეს ერგო. მალაროელი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი, სოციალური დახმარებაც მოეხსნა. და რადგანაც წასვლის არც საშუალება აქვს და არც სურვილი, დღემდე კედლებდაბზარულ, ალაგ-ალაგ ჩაზნექილიატაკიან სახლში ცხოვრობს.

ოთახში შედის, ძველი ხის მაგიდის უჯრიდან მუყაოს ყუთს იღებს, რომელიც სოცია-

ლური დახმარების მიღების თაობაზე მის მიერ დაწერილი განცხადებებით და მათი პასუხებითაა სავსე. ქალაქების დასტის სიღრმიდან ერთი ფურცელი ამოაქვს. პრეზიდენტის 2007 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული წერილი:

„მრავალი წლის განმავლობაში გულითადად ემსახურეთ ჩვენს სამშობლოს, რისთვისაც მინდა, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ...

...ჩემი მიზანი და პიროვნული ღირსების საკითხია თქვენი ღვაწლის სათანადოდ დაფასება...

ბედნიერ შობა-ახალ წელს, ჯანმრთელობას, სიკეთეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ!“



ყუჩადღაზა, ნიბნია! ნიბნაზი თჳჯანს სსოჳხაზას თაჳდაყიხა აყანაზან!

ასეთ წარწერას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის თვალუწვდენელი ტერიტორიის არა ერთ კუთხეში მოკრავდით თვალს. მაინის ფრანკფურტი ანუ მაინ-ჰეტენი, როგორც მას ხუმრობით უწოდებენ, ევროპის ფინანსური მექაა. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი კი საგამოფენო-სავაჭრო ცენტრია, სადაც ყოველი წლის ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა იმართება.

რუსუდან გორგილაძე

ორიოდე სტატისტიკური მონაცემი მიახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად: 100-ზე მეტი ქვეყნის 7000-ზე მეტი საგამომცემლო და კულტურული დაწესებულება 400 000-ზე მეტ წიგნს, მულტიმედიასა და კომპიუტერულ პროგრამას წარუდგენს 300 000-ზე მეტ დამთავალიერებელს.

წიგნის ბაზრობის ისტორია 1574 წლიდან იწყება. მას შემდეგ, რაც იოჰან გუტენბერგმა ფრანკფურტის მახლობლად, მაინცში, პირველი სტამბა დააარსა, ადგილობრივ გამომცემლებს ამქარი შეუქმნიათ და პირველი ბაზრობაც გაუმართავთ. ფრანკფურტის ბაზრობას კონკურენციას მეჩვიდმეტე საუკუ-



განმავლობაში აქაურობა ცნობისმოყვარე მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ფრანკ-ფურტის ნიგნის ბაზრობის ყურადღების ცენტრში კი საპატიო სტუმარი ქვეყანაა. ამ ტრადიციას 1976 წელს ჩაეყარა საფუძველი. პირველი საპატიო სტუმარი მაშინ მთელი ლათინური ამერიკა იყო. წელს ეს პატივი ბრაზილიას ხვდა წილად.

საპატიო სტუმარ ქვეყანას უთმობენ მთავარ შენობას. გამოფენის მოსაწყობად მის განკარგულებაში გადადის 2000 კვ. მეტრამდე ფართობის მქონე პავილიონი. იმართება სტუმარი ქვეყნის საგანგებო ლიტერატურული ღონისძიებები: ნაწარმოებების კითხვა, საჯარო განხილვები, სამხატვრო გამოფენები, სპექტაკლები, რადიო და სატელევიზიო გადაცემები და სხვ.

სტუმარ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა მთელი სისავსით და მრავალმხრივად წარმოადგინოს თავისი კულტურა და შემოქმედება. უამრავი ადამიანი ეცნობა სტუმარი ქვეყნის ლიტერატურას. სხვადასხვა ღონისძიება ტარდება როგორც ბაზრობის ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ. ძნელია წარმოიდგინო ამაზე უკეთესი საშუალება შენი ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციისათვის.

საქართველო ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის 2017 წლის საპატიო სტუმარ ქვეყნად განიხილება. გადამწყვეტილება პრაქტიკულად მიღებულია, ოფიციალურ დოკუმენტზე ხელი 2013 წლის ნოემბერში უნდა მოაწერონ.

შანსი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეძლევა, მართლაც უნიკალურია. მოსამზადებლად დრო ცოტაა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის სწორად იქნება გამოყენებული და არც ერთი დღე უქმად არ დაიკარგება. უნდა ითარგმნოს და უცხოეთის გამომცემლობებში გამოიცეს ქართული ლიტერატურის ათეულობით ნიმუში. ამას კი, ყველაზე ცოტა, ბევრი დრო, დაულალავი შრომა და მაღალი კვალიფიკაცია ესაჭიროება. უცხოური გამომცემლობების პოვნა და მათი დარწმუნება არ არის ადვილი საქმე. ამასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს ავტორებსა და ადგილობრივ გამომცემლობებს, რადგან ეს წარმატების აუცილებელი პირობაა.

კულტურის სამინისტროში უცხოური გამომცემლობებისათვის ქართული ნაწარმოების თარგმანების ხელშეწყობის საგანგებო პროგრამა ფუნქციონირებს, რომელსაც წარმატებით ახორციელებს მედეა მეტრეველი.

ნიდან მხოლოდ ლაიფციგის ნიგნის ბაზრობა უწევდა, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა განმანათლებლობის ეპოქაში შეიძინა.

ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა მეორე მსოფლიო ომით გამონეული წყევტის შემდეგ 1949 წელს კვლავ განახლდა. მისი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ის მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ფორუმი, რომელზეც გამომცემლები, ავტორები, ლიტერატურული აგენტები, ნიგნებით მოვაჭრეები, მთარგმნელები, მეცნიერები, მხატვრები, ილუსტრატორები, დიზაინერები, ჟურნალისტები და უბრალოდ ნიგნის მოყვარულები იკრიბებიან. აქ ეწერება ხელი უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებებს საავტორო უფლებების, ლიცენზიებისა და საერთაშორისო გაყიდვების შესახებ. აქ შეგიძლიათ მოუსმინოთ ავტორებს, დაათვალიეროთ საგამომცემლო დარგის ტექნიკური, მხატვრული და ინტელექტუალური მიღწევების უახლესი ნიმუშები.

გერმანიის, ამ უზარმაზარი ქვეყნის, ყველა წამყვან ტელევიზიას თავისი პავილიონი აქვს ბაზრობის ტერიტორიაზე. ხუთი დღის

■ 11 ოქტომბრის
სალამოს ფრანკფურტის
სავაჭრო ცენტრის
კონგრეს ჰოლში დიდი
ზეიმი გაიმართა. ათას
ორასი მაყურებელი
რამდენიმე ნომინაციის
ფინალისტთან ერთად
მოუთმენლად ელოდა
საბავშვო, საყმანვილო
და ახალგაზრდული
ლიტერატურების 2013
წლის პრემიების ლაურეატების
გამოცხადებას. ახალგაზრდული
ლიტერატურის ნომინაციაში
პრემია მოიპოვეს ქართველმა
მწერალმა თამთა მელაშვილმა და
მთარგმნელმა ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა
რომანისათვის „გათვლა“.

2013 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე კულტურის სამინისტროსა და გამომცემელთა ასოციაციის ხელშეწყობით ქართველი გამომცემლების, მწერლებისა და მთარგმნელების დელეგაციით წარსდგა. ბაზრობას კულტურის მინისტრი ბატონი გურამ ოდიშარია და მისი მოადგილეები, ქალბატონები მარინე მიზანდარი და მანანა ბერიკაშვილი სტუმრობდნენ. ბაზრობაზე იმყოფებოდნენ ასევე სამინისტროს თანამშრომლები მედეა მეტრეველი და ირინე ჭოლოშვილი და გამომცემელთა ასოციაციის წარმომადგენლები ქეთევან კილურაძე და თამარ ბაბუაძე. საქართველოს სტენდი მეხუთე პავილიონში იყო განთავსებული.

ჩვენი დელეგაციის ერთი ნაწილი, ძირითადად ავტორები, სასტუმრო „გოეთეში“ დასახლდით (აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა?).

9 ოქტომბერს გაიმართა ბესო ხვედელიძის გერმანიაში გამოცემული მოთხრობების კრებული „თავის გემო“ (მთარგმნელი ანასტასია კამარაული) პრეზენტაცია ავტორისა და მთარგმნელის მონაწილეობით. ღონისძიებას პუბლიცისტი ინზა ვილკე უძღვებოდა.

იმავ დღეს დოქტორმა მანანა თანდაშვილმა (მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი) საზოგადოებას ბონდო მაცაბერიძის გერმანულად ნათარგმნი ზღაპრები (მთარგმნელი ანასტასია კამარაული) წარუდგინა. ავტორმა და მთარგმნელმა უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს.

ეს დღე ხუთი ქართველი ავტორის შემოქმედებისა და ნაწარმოებების წარდგენით გაგრძელდა. ქართველი პროზაიკოსები ნატო დავითაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, ირაკლი სამსონაძე, ზურაბ ქარუმიძე და კოტე ჯანდიერი ოდერის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე კარტოზიამ წარადგინა.

10 ოქტომბერს მანანა თანდაშვილმა შეკრებილთა წარუდგინა პოეტები ზვიად რატიანი და გიორგი კეკელიძე, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ლექსები, ხოლო გიორგი კეკელიძემ დამსწრეთ გააცნო ასევე თავისი მოსაზრებები თანამედროვე ქართული პოეზიის შესახებ.

იმავ დღეს ოთარ ყარალაშვილმა მის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროექტის შედეგების პრეზენტაცია გამართა და დამსწრეთ ახალგაზრდა ქართველი მხატვრების

მიერ ილუსტრირებული 30-მდე საბავშვო წიგნი გააცნო.

სალამოს საქართველოს სტენდი სტუმრებით გაივსო. მიღება მისასალმებელი სიტყვით საქართველოს კულტურის მინისტრმა გახსნა. მან ყველა სტუმარს დიდი მადლობა გადაუხადა ქართული წიგნის მიმართ გამოჩენილი ინტერესისათვის და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც მომავალი საპატიო სტუმრის სტატუსი აკისრებს ჩვენს ქვეყანას. გაიმართა ჩემი წიგნის - „კერძთაყვანისცემა“ - ინგლისური ვერსიის (მთარგმნელი თამარ ჯაფარიძე, რედაქტორი ფ. ჯ. ჰილარი) პრეზენტაცია. ამის შემდეგ სტუმრებმა ქართული ღვინო და ნუგბარი დააგემოვნეს.

11 ოქტომბერს შედგა საქმიანი შეხვედრა ბაზრობის ორგანიზატორებთან, უცხოელ გამომცემლებთან და სხვა სტუმრებთან. თანამედროვე ქართული ლიტერატურის, საქართველოში საგამომცემლო საქმის პერსპექტივებისა და კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის პროგრამის შესახებ დამსწრეთა წინაშე მიმოხილვებით წარდგინდა ალექსანდრე კარტოზია, ბაკურ სულაკაური და მედეა მეტრეველი.

ამავ დღეს შედგა შეხვედრა ნიკო ფიროსმანის შესახებ შექმნილი ორი ჟანრობრივად განსხვავებული წიგნის ავტორებთან, შორენა ლებანიძესთან („ეს მე ვარ – ფიროსმანი“) და გიორგი კაკაბაძესთან („ნიკო ფიროსმანი“). ამ შეხვედრას ზურაბ ქარუმიძე უძღვებოდა.

12 ოქტომბერს ჩატარდა შეხვედრა ანა კორძაია-სამადაშვილთან, რომლის მოთხრობების კრებული „მე, მარგარიტა“ სულ მალე, ამ წლის ბოლოს, გამოვა გერმანიაში.

არ ვიცი, რამდენი დრო და ენერჯია სჭირდება ადამიანს იმისათვის, რომ ზედაპირული წარმოდგენა მაინც შეიქმნას ამ უზარმაზარ სივრცეში შეკრებილ ერთმანეთზე უკეთეს წიგნებსა და ადამიანებზე, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ იმ შთაბეჭდილებების გადასამუშავებლად, რომლებიც პირადად მე მივიღე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, კიდევ კარგა ხანი დამჭირდება.

და ყველაზე მთავარი. 11 ოქტომბრის სალამოს ფრანკფურტის სავაჭრო ცენტრის კონგრეს ჰოლში დიდი ზეიმი გაიმართა. ათას ორასი მაცურებელი რამდენიმე ნომინაციის ფინალისტთან ერთად მოუთმენლად ელოდა საბავშვო, საცმანვილო და ახალგაზრდუ-





ფოტოგრაფია: კაპიტალიზმი

ლი ლიტერატურების 2013 წლის პრემიების ლაურეატების გამოცხადებას. ახალგაზრდული ლიტერატურის ნომინაციაში პრემია მოიპოვეს ქართველმა მწერალმა თამთა მელაშვილმა და მთარგმნელმა ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა რომანისათვის „გათვლა“.

იქაც კი, დარბაზში, მიუხედავად იმ დაუვინყარი განცდისა, ძნელი წარმოსადგენი იყო ამ გამარჯვების მასშტაბი: გერმანიის მოსახლეობა 82 მილიონია!

ამ ვირტუალური აგრესიის საუკუნეში რა არ კეთდება წიგნის მიმართ ინტერესის შესანარჩუნებლად. „წიგნის ჭიების“, „წიგნის მჭამელების“ და ათასნაირი სხვა წიგნის მოყვარულთა ახალგაზრდული კლუბები ჟიურის აყალიბებენ და თავიანთ პრემიას გადასცემენ მათ მიერ არჩეულ ავტორებს. წინადადება მაქვს, ჩვენც შევექმნათ, მაგალითად, გუტენბერგის პატივისმცემელთა ან ვახტანგ მეექვსის მოყვარულთა კლუბები.

ყურადღება, წინ 2017 წელი გველოდება!

თამთას და ნათიას ამბავმა ძალიან გაგვახარა ყველა. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ სა-




ქართველოს ჯგუფის წევრებს შორის ძალიან კარგი ატმოსფერო სუფევდა, სოლიდარული, კეთილგანწყობილი, მოკლე, ისეთი, საერთო წარმატებისათვის რომ არის აუცილებელი.

ასე მგონია, რომ წიგნები ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერს თავ-თავის ადგილას აყენებენ! 📖

შეო სილაშაძე

2013 წელს ჩატარებული CineDoc-ის
საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული
მხატვრული ფოტოს ნომინაციაში.



ფოტო გადაღებულია რუსთაველზე, სადაც მრავლად არიან ღარიბი და უსახლკარო ადამიანები. ახლა მათი პრობლემა ცივი ზამთარია, სახელმწიფო კი უსახლკაროებზე არ ზრუნავს. ეს ბოშა ქალია ბავშვით. 



www.ucnobifm.ge



WWW.LIBERALI.GE

გვიკავშირდით სოციალურ ქსელებში

გვიკავშირდით



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



გვიკავშირდით

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გვიკავშირდით



<http://youtube.com/LiberaliMagazine>